WWW.SAERTOGAZETI.ORG

# საერთო გაზეთი

№11 (245) ● 3-9.IV.2013 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● www.saertogazeti.org; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

## სკანდალური ინფორმაცია – 19 აპრილს „ნაციონალები“ სისხლიან პროვოკაციას გეგმავენ?

„მოქალაქეთა კავშირიც“, „ნაც.მოძრაობაც“ და „რესპუბლიკური პარტიაც“ სამთავე „თავისუფლების ინსტიტუტიდანაა“ გამოჭედილი, გამოდის, რომ „თავისუფლების ინსტიტუტი“ ხელისუფლებაშიცაა და ოპოზიციაშიც

## სომხები „სომხური ძეგლების“ ოშკისა და იშხნის სომხური ეკლესიისთვის გადაცემას ითხოვენ

## ლაურა ღაჟავამ დიდი ფული ნარკობიზნესით იშოვა?

გია გულუას და გია თელიას მკვლელობის კვალი ღაჟავა-კოდუებისკენ მიდის?

## „ვირთხები“ ჭიჭიკო ბენდელიანს საფლავში ჩაუძვრნენ და ნახევარი მილიონი „ამოაცალეს“

ქალთა კონსულტაციის გვერდით „მრავალპროფილიანი“ ბორდელია გახსნილი?

## „ჩარეცხილებიდან“ „ძონძებამდე“











## კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა ახალი ხელისუფლების შეცდომა იყო – ამით მათ „ნაც.მოძრაობის“ პოლიტიკური რეაბილიტაცია დაიწყეს

„რესპუბლიკურმა პარტიამ“ დღესდღეობით მოხსნა 1 ოქტომბრის გამარჯვების სრული ნალები

## მივმართავ ბატონ ბიძინა ივანიშვილს – ფხიზლად იყავით, სექტანტებს მფარველები თქვენს ხელისუფლებაშიც ბევრი ჰყავთ...

„ბოლომდის დამთმენი გადარჩება“?!

## „უამრავი რამ მაქვს სათქმელი, მაგრამ ცოდო ხართ შენც და ხალხიც“...

რუსეთთან ურთიერთობა მაშინ შეიძლება მოგვარებულად ჩაითვალოს, როცა გუგუთიშვილის ჩეჩმა თავის ადგილას დაბრუნდება

## ძალიან მიკვირს, რომ დღევანდელი ხელისუფლება საერთოდ არ ლაპარაკობს აგვისტოს ომის გამოძიებაზე

დედაქალაქის არქიტექტურული ბრწყინვალება და სიღატაკე

## რედაქტორის სვეტი

**„ძმაო, მოდი და ნუ გაბრაზდები,
ფერი იცვალეს არამზადებმა —
მიდის სპექტაკლი — „არამზადების
ანგელოზებად გადამზადება“.**

ამ ოთხ სტრიქონში გასაოცარი არაფერია, რომ არა ერთი გარემოება — ეს სტრიქონები 23 წლის წინათ დამიწერია და გამომიქვეყნებია, რაც იმას ნიშნავს, რომ 23 წლის წინათაც თითქმის იგივე სიტუაცია ყოფილა ქვეყანაში, რაც ახლაა.

თითქოს არაფერი შეცვლილა ამ 23 წლის განმავლობაში, თითქოს ყველაფერი ისეა ახლაც, როგორც ამ 23 წლის წინათ იყო.

სწორედ ამიტომ მიესადაგება ასე ზუსტად დღევანდელ ვითარებას ეს 23 წლის წინანდელი სტრიქონები.

23 წელია, არამზადების ანგელოზებად გადამზადების უწყვეტი პროცესი მიდის საქართველოში.



**ვახტანგ ხარჩილავა**

ქვეყანა კი არა არამზადების გადასამზადებელ-გადასაკეთებელი „ცეხია“ თითქოს.

„არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითაო“, — გვასწავლის ანდაზა, მაგრამ ჩვენ მაინც ვხეხავთ და ვხეხავთ, ვაპრიალებთ და ვაქათქათებთ ათას ცოდვაში ამოვლებულ ყორნებს.

— ბოლო დროს ცოტა გათეთრდნენ და უფრო კონსტრუქციულები გახდნენო, — გვაიმედებს არამზადების ანგელოზებად გადასამზადებელი კურსების და ყორნების გამთეთრებელი „ცეხის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი და მას მისი ჰამქრის სხვა წევრებიც უბამენ მხარს — კი, კი, ნელ-ნელა იწყებენ გათეთრებას ეს გუშინდელი ყორნებიო.

ფრთხილად იყავით, ფრთები არ ამოუვიდეთ და არ გაგიფრინდეთ ეს თქვენგან ნახეხ-ნაპრიალები ყორნები.

მეორე კარგი ანდაზაც გვაქვს ქართველებს —„კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებსო“.

არც ამ მეორე ანდაზისა სჯერა ვინმეს და კუზების გასწორებას აქვე, პარლამენტის შენობად წოდებულ სარკოფაგში აპირებენ.

მაგიური სიტყვა, კოაბიტაცია, უებარი საშუალება აღმოჩნდა კუზების გასასწორებლად, ყორნების გასათეთრებლად და არამზადების გადასამზადებლად.

აბი გლუკოზისა არ იყოს, ყველა სნეულებას ეს ერთი სიტყვა შველის, ყველა ავადობას ეს სიტყვა არჩენს — კუზსაც ასწორებს, ყორანსაც ათეთრებს და არამზადასაც ანგელოზად აქცევს.

ასეა თუ ისე, არამზადების გადამზადების 23-წლიანი ციკლი წარმატებით გრძელდება — ჯერ იყო კომუნისტები დემოკრატებად გადაინათლნენ, და „მოქკავშირი“ დაირქვეს, მოგვიანებით, „მოქკავშირიდან“ „მოქკავშირელთა“ ერთი ნაწილი გამოიპარა და „ნაციონალებად“ მოგვევლინენ, ახლა „ნაციონალების“ ბანაკიდან აპირებენ ვიღაც-ვიღაცები ათესვას და ახალი ნიღბის მორგებას.

რაღაც უსასრულო ჯაჭვია, ერთმანეთზე მტკიცე რგოლებით გადაბმული, რომლის გაწყვეტა ვერა და ვერ შესძლო ქართველმა ხალხმა...

სიტყვა ჯაჭვმა ერთი ფრაგმენტი გამახსენა „ამირანის ეპოსიდან“:

„წლიდან წლამდის ყურშა ლოკავს ამ ჯაჭვს. ამირანს ხელში ურო უჭირავს. დიდ ხუთშაბათდღეს მოფრინდება ერთი ბოლოქანქარა ჩიტი და ჩამოჯდება ჯაჭვზე, ამირანი დასცემს უროს. ჩიტი გაფრინდება, ჯოხი კი ისევ ჩაერჭობა მიწაში.

ყურშა ლოკავს ჯაჭვს, სადაცაა უნდა გაწყდეს, მაგრამ დიდ ხუთშაბათ დღეს მჭედლები უროს დაჰკრავენ გრდემლზე და ჯაჭვი ისევ მთელდება. მას შემდეგ ამირანი იალბუზის მთაზეა მიჯაჭვული“

მე 23 წლის წინათ რაღაც რომ წავიბჟუტურე, ის გამიკვირდა და აგერ, საუკუნეების წინათ რომ დღევანდელობის ზუსტად ამსახველი ამბავია მოთხრობილი, გასაკვირი დ გასაოცარი სწორედ ეგ არის...

# კათოლიკოს-პატრიარქის განცხადება



ბოლო დროს კვლავ განახლდა მსჯელობა რეგიონული და უმცირესობების ენების შესახებ ევროპული ქარტიის თაობაზე, რაც, ჩვენი აზრით, მიუღებელია, რადგან იგი გამოიწვევს სეპარატისტული მოძრაობის გაძლიერებას და ქვეყნისათვის ახალი უმძიმესი პრობლემების შექმნას. ვიდრე ჩვენთან ეროვნულ უმცირესობებში სახელმწიფო ენის ცოდნის საკითხი არ მოგვარებულა და ვიდრე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არ აღმდგარა, პარლამენტის მიერ ამის რატიფიცირება დაუშვებლად მიგვაჩნია.

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II**
**31.03.2013**

# სომხები „სომხური ძეგლების“ ოშკისა და იშხნის გადარჩენას და სომხური ეკლესიისთვის გადაცემას ითხოვენ



„რუსეთის ჯავახური დიასპორა“ სომხეთის კათოლიკოს-პატრიარქ გარეგინ მეორეს ღია წერილით მიმართავს, სადაც ქართული სამონასტრო კომპლექსები იშხანი და ოშკი სომხეთის სამოციქულო ეკლესიის ნაწილებად არის მოხსენიებული და ეკლესიის წინამძღოლს მათი დაბრუნებისთვის აქტიურად მოქმედებას სთხოვენ.

„თქვენო უწმინდესობავ! როგორც თქვენთვის ცნობილია, თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქრისტიანული სიწმინდეების კუთვნილების, რესტავრაციისა და გადაცემის საკითხი სომხებისა და განსაკუთრებით ოსმალეთის იმპერიის მიერ სომეხთა გენოციდის მსხვერპლთა მემკვიდრეების უსაზღვრო შეშფოთებას იწვევს. საუბარი ეხება (მათ შორის) სამონატრო კომპლექსებს იშხანს, ოშკსა (ოშკივანკს) და ბანაკს.

ჩვენი აზრით, იქმნება რეალური საშიშროება ჩვენი ერის ისტორიული მემკვიდრეობის მისაკუთრებაზე. ეს რომ არ მოხდეს, ჩვენ უნდა დავიცვათ ეს ბურჯები, რომლებიც მთელს ჩვენს უდიდეს ერს აერთიანებს. ერთ-ერთ ასეთ მთავარ და მყარე საფუძველს სომხური წმინდა სამოციქულო ეკლესია წარმოადგენს.

...დარწმუნებულნი ვართ, რომ იურიდიულად ამის მიღწევა შესაძლებელია და მისი დაწყება უკვე დღეიდან, საჯაროდ განცხადებით არის აუცილებელი. თითოეულ სომხურ ეკლესიას საკუთარი მიწა, სასაფლაო ჰქონდა და ვიმეორებთ, რომ ის ეკუთვნოდა არა ოსმალეთის იმპერიას, არამედ სომხეთის სამოციქულო ეკლესიას. ასეთი პოზიციის არარსებობა საბჭოთა პერიოდში ყველასთვის გასაგებია, თუმცა დღეს, გაჩუმება და უმოქმედობა არ შეიძლება აიხსნას. ჩვენი ეკლესია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრია და ჩვენ ამის სამართლებრივი საფუძველი გვაქვს.

თქვენო უდიდებულესობავ! ნება მოგვეცით გითხრათ, რომ თუ ჩვენი წმინდა სამოციქულო ეკლესია ასეთ ნაბიჯს გადადგამს, მაშინ დაე იყოს დარწმუნებული, რომ მას მთელი ერი მხარს დაუჭერს“, — ნათქვამია განცხადებაში.



მიმრთვაში ნახსენებ ქართულ ძეგლებს რომ თავი დავანებოთ, სომხური „ისტორიული წყაროების“ მიხედვით ვარძიას თურმე „ვარძუნიქ“ ჰქვია და ქართველებს გადაგვიკეთებია სახელი. ასევე: ტაბაწყურის ეკლესიას — თაბაძლურ, კოხტასთავს „კოლთაპერტ“, ყუმურდოს ეკლესიას — კუმბირდა (X საუკუნის ძეგლია, მისი ქართველი ხუროთმოძღვარიც ცნობილია, მისი მღვდელმთავარი ჯერ კიდევ VI საუკენეში ხსენდება), ხერთვისს — ხრთვის და ა.შ ასპინძის რაიონი კი, რომელზეც უკვე თვალია დადგმული, სულაც „ასბნჩალის“ რაიონია.

**„საერთო გაზეთი“**
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება
შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# სკანდალური ინფორმაცია — 19 აპრილს „ნაციონალები“ სისხლიან პროვოკაციას გეგმავენ?

## „საერთო გაზეთი“ იმ სცენარს შიფრავს, რომლითაც შეიძლება 19 აპრილის მოვლენები წარიმართოს

ახალი საკონსტიტუციო ცვლილებებით, მართალია, მიხეილ სააკაშვილს დიქტატორული უფლებები კი შეუკვეცეს, მაგრამ მას ქვეყნის ასარევი კიდევ იმდენი ბერკეტი აქვს დარჩენილი, რომ ორ საქართველოს ეყოფა მოსანიავებლად.

„მიხეილ მავნეს“, სხვა მრავალ უფლებათა შორის, უფლება აქვს გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა, რის შემდეგაც ის ავტომატურად ხდება სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი და გადაწყვეტილებათა ერთპიროვნული მიმღები, თუმცა საგანგებო მდგომარეობა რომ გამოაცხადო, ჯერ საჭიროა ქვეყანაში მართლაც შეიქმნას საგანგებო, ექსტრემალური სიტუაცია.

როგორც „საერთო გაზეთის“ კარგად ინფორმირებული წყარო იუწყება, 19 აპრილს „ნაციონალები“ სწორედ ამ ექსტრემალური სიტუაციის „დადგმას“ აპირებენ, რის შემდეგაც „მიხეილ მავნემ“, შეიძლება, საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადოს.



19 აპრილს, რუსთაველის პროსპექტზე, პარლამენტის ძველი შენობის წინ „ნაცმოძრაობა“ საკმაოდ მრავალრიცხოვან მიტინგს გეგმავს.

მათ იმედი აქვთ, რომ მიტინგზე 9-10 ათასი ადამიანი მაინც მოვა, ეს კი სრულიად საკმარისი რაოდენობაა იმისთვის, რომ განხორციელდეს ის სცენარი, რომელიც კარგა ხანია „ნაცმოძრაობის“ „საიდუმლო“ ლაბორატორიაში მუშავდება.

კაცმა რომ თქვას, ამ სცენარში მაინცდამაინც ახალი არაფერია, ის კი არა,თითქმის ერთი-ერთში იმეორებს მოვლენათა იმ სიუჟეტურ ქარგას, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში მეტრო „რუსთაველთან“ ოპოზიციის მიერ გამართულ მიტინგზე განვითარდა.

ეს ამბავი 1991 წლის 2 სექტემბერს მოხდა.

მიტინგზე, რომელსაც ოპოზიცია მართავდა, სროლა გაისმა.

დაიჭრა მიტინგის ერთ-ერთი მონაწილე, ეს ფაქტი კი ზვიად გამსახურდიას და მის ხელისუფლებას დაბრალდა, თუმცა დანამდვილებით არავინ იცის, სინამდვილეში რა მოხდა.

ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ პროვოკატორმა თვითონ მიიყენა თვითდაზიანება ფეხის არეში და მისთვის არავის არ უსვრია.

საწინააღმდეგოს ამბობდნენ მიტინგის ორგანიზატორები და ზვიად გამსახურდიას მშვიდობიანი მომიტინგეებისთვის იარაღით ანგარიშსწორებაში ადანაშაულებდნენ.

— სისხლისმელი! დიქტატორი! ჩაუშესკუ! — ამ ეპითეტებით ამკობდნენ ოპოზიციონერები გამსახურდიას და მის დაუყოვნებლივ გადადგომას მოითხოვდნენ.

საპროტესტო გამოსვლებმა პერმანენტული ხასიათი მიიღო, სიტუაცია უკიდურესად დაიმუხტა და ფეთქებადსაშიში გახდა.

ფაქტობრივად, 2 სექტემბერის იმ ერთ გასროლას მოჰყვა ის უბედურება, რასაც სამოქალაქო დაპირისპირება ჰქვია.

პროვოკატორი უკვალოდ გაქრა — დღემდე არავინ იცის, ვინ იყო ეს ადამიანი, არავინ იცის, რა ვითარებაში, როგორ დაიჭრა, ვინ დაჭრა, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ერთმა გასროლამ სათავე დაუდო ძმათამკვლელ ომს, ქვეყნის ნგრევას და გაპარტახებას.

აი, ასე, ფაქტობრივად, არაფრისგან და არაფრის გამო დაინთო სამოქალაქო ომის ცეცხლი.

„ნაცმოძრაობამ“ შესანიშნავად იცის 2 სექტემბრის ტრაგიკული ამბის ნიუანსები.

ის კი არა, როგორც ამბობენ, იყო მთავარი რეჟისორი და წამყვანი არტისტი, „ნაცმოძრაობა“ კი „მასოვკის“ როლს ასრულებდა.

აი, ასეთი გაქანების, ასეთი ფანტაზიის კაცი, დაბადებით პროვოკატორი და ავანტურისტი, რა თქმა უნდა, 19 აპრილს გულხელდაკრეფილი არ დაელოდება.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ის ახალ, მზაკვრულ სიუჟეტს ამზადებს და, როგორც ჩვენი წყარო აცხადებს, ამ სიუჟეტის ქარგა სწორედ 1991 წლის 2 სექტემბრის ამბებზე იქნება აგებული.

19 აპრილის მომიტინგეთა შორის გამოჩნდებიან პროვოკატორთა ჯგუფები, ვითომ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები, რომლებიც შეეცდებიან არეულობა შეიტანონ მიტინგის მსვლელობაში — გამოიწვიონ ხელჩართული დაპირისპირება, ჩხუბი, აყალ-მაყალი, გაწევ-გამოწევა, რასაც შეიძლება მოჰყვეს გასროლაც...



„ნაცმოძრაობის“ ზოგიერთი წევრი უშუალოდ მონაწილეობდა ამ პროცესებში და საბრძოლო „ნათლობა“ სწორედ იქ, „რუსთაველის მეტროდან“ „ლენინის მოედნამდე“ გაჭიმული ფრონტის ხაზზე მიიღო.

„ნაციონალებს“ რომ პროვოკაციების დაგეგმვასა და დადგმაში ბადალი არ ჰყავთ, ეს მიმდინარე წლის 8 თებერვალსაც კარგად გამოჩნდა.

„ნაციონალების“ მოღვაწეობის მთელი ეს ცხრაწლიანი პერიოდი, ფაქტობრივად, პროვოკაციების უწყვეტი ჯაჭვია, დაწყებული „ვარდების რევოლუციიდან“ და დამთავრებული 2013 წლის 8 თებერვლით.

ამ პროვოკაციებიდან ზოგი ლოკალური, მცირემასშტაბიანი ხასიათისა იყო, ზოგიერთი კი ისეთი დიდი მასშტაბების, როგორიც 2008 წლის აგვისტოს ომი გახლდათ.

სააკაშვილმა მოდელირებული, ვირტუალური „რეალობა“ შექმნა, სადაც „წარმატებულ“, „დემოკრატიულ“, „პროდასავლურ“ ხელისუფლებას სასტიკად „ებრძოდნენ“ „ქვეყნის მტრები“ — მის მიერვე შეთხზული „შპიონები“, „აგენტები“. ის თვითონვე თხზავდა და მერე თვითონვე „აღმოაჩენდა“ ხოლმე „შეთქმულებებს“, „ტერორისტულ დაჯგუფებებს“, „იატაკქვეშა ორგანიზაციებს“.

სააკაშვილმა ქვეყანა კინო და ტელეგადაღებების მოედნად აქცია, სადაც თვითონ ყოველივე ამის გაფორმება და გაპიარება კი, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმეა.

საქმე, ალბათ, სამოქალაქო დაპირისპირებამდე არ მივა (ამის უფლებას სააკაშვილს მისი უცხოელი პატრონები არ მისცემენ), მაგრამ შესრულდება „ნაცმოძრაობის“ მთავარი ამოცანა, რაც ბიძინა ივანიშვილის და ზოგადად, ახალი ხელისუფლების სრულ დისკრედიტაციას ისახავს მიზნად.

ბიძინა ივანიშვილი — დიქტატორი, ბიძინა ივანიშვილი — არადემოკრატი, რომელიც პოლიტიკურ ოპონენტებს მუშტი-კრივით და ტყვიით უმასპინძლდება — აი, ასეთი „დასკვნა“ წარედგინება საერთაშორისო თანამეგობრობას, რომელიც, ჩვენი აზრით, სიამოვნებით დაიჯერებს ამ ყალბი, ფალსიფიცირებული სურათის ნამდვილობას.

„ნაციონალები“, გავრცელებულ ხმებს თუ დავუჯერებთ, რეგიონებში მიტინგზე წამოსაყვან ხალხს კრებენ და საკმაოდ სერიოზულ თანხებს ხარჯავენ „მოხალისეთა“ წასახალისებლად.

მოქალაქეთა აქტიური მობილიზება ხდება თბილისშიც და აქაც დიდძალი თანხა იხარჯება დაქირავებული „მხარდამჭერების“ მოსაზიდად.

ქვეყანაში, სადაც 800 000-მდე სიღარიბის ზღვარზე მყოფი ადამიანი და 300 000-მდე „წამალდამოკიდებული“ მოქალაქე ცხოვრობს, ფულის ამღები რომ მრავლად გამოჩნდება, ფაქტია.

„საერთო გაზეთი“-ს წყაროს ინფორმაციით, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებშიც სისტემატურად იმართება ე.წ. „ზონდერების“ შეკრებები, რომლებიც სათანადო ინსტრუქციებს და მითითებებს იღებენ „ნაცმოძრაობის“ „პოლიტხელებისგან“, თუ როგორ უნდა იმოქმედონ ამა თუ იმ სიტუაციაში.

არ არის გამორიცხული, უცნობმა „პირებმა თავდასხმები დაიწყონ როგორც „ნაცმოძრაობის“ წევრებზე, ასევე „ნაცმოძრაობის“ ოფისებზე, ეს ყველაფერი კი „ქართულ ოცნებას“ დაბრალდეს.

მას შემდეგ, რაც სიტუაცია უკიდურესად დაიძაბება, სააკაშვილი საგანგებო მდგომარეობას გამოაცხადებს, რაც მას საშუალებას მისცემს მთელი ძალაუფლება, დროებით მაინც, კვლავ ხელში აიღოს და ისეთი გადაწყვეტილებები მიიღოს, რაც „ქართულ ოცნებას“ სერიოზულ დარტყმებს მიაყენებს და პროცესებზე მის კონტროლს და გავლენას საგრძნობლად დაასუსტებს.

აი, მაშინ დაიწყებს „ნაცმოძრაობა“ ახალი ულტიმატუმების და ახალი მოთხოვნების წამოყენებას და შეეცდება პოლიტიკურ ოპონენტს თავისი ნება უკარნახოს.

თუ ეს მოხდა, სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ საგრძნობლად განიმტკიცებენ პოზიციებს და „ქართულ ოცნებას“ ბევრ ისეთ პრინციპულ საკითხებში დაათმობინებენ, რაც მშვიდ და კოაბიტაციურ ვითარებაში შეუძლებელი იქნებოდა.



ძნელი სათქმელია, რა უნდა მოიმოქმედოს და რა პრევენციული ზომები უნდა მიიღოს „ქართულმა ოცნებამ“ ამ პროვოკაციების თავიდან ასაცილებლად.

ერთმა ექსპერტმა ნახევრადხუმრობით ასეთი რამ თქვა:

— თუ გინდა სააკაშვილს აჯობო, მის წინააღმდეგ უნდა იმოქმედო ზუსტად ისე, როგორც თვითონ იმოქმედებდა ამა თუ იმ სიტუაციაში.

მე თუ მკითხავთ, ყურადსაღები რჩევაა...

**გიორგი გამეზარდაშვილი**

# „ვირთხები“ ჭიჭიკო ბენდელიანს საფლავში ჩაუძვრნენ და ნახევარი მილიონი ამოაცალეს

არასოდეს მსმენია, რომ რომელიმე თანამდებობის პირს საკუთარი თავისთვის, წლებისა თუ თვეების განმავლობაში 200 პროცენტი პრემია გამოეწერა, ეს კანონდარღვევა ტიტულოვან ქაღალდზე გადაეტანა, ბრძანების სახე მიეცა და ზედ საკუთარი ხელმოწერაც გაეკეთებინა. ყველამ კარგად ვიცოდით ისიც, რომ სახელმწიფოს ყველა ჩინოვნიკი ჰპარავდა „რაცხას“, მაგრამ ამგვარ ჩინოვნიკებს, ერთი დღეც იქნებოდა, კონტროლის სამსახური დაადგებოდა თავზე და...

დღეს ვითარება სხვაგვარადაა, მაგრამ, ვფიქრობ, მაინც უპრიანი იქნება ზეპირსიტყვიერების მაგივრად ამჯერადაც უტყუარი დოკუმენტებით ვიხელმძღვანელოთ და შემდეგ, თავად განსაჯე მკითხველო, იქ გმირთა მოედანზე ვინ იყო საცემი და დასაპატიმრებელი – ვეტერანები თუ მათი ე.წ. „მაღალი სარდლობა“?!



დავიწყოთ იმით, რომ თითოეულ ვეტერანს სახელმწიფოს მხრიდან 22 ლარის ოდენობის დახმარება ეძლევა... არსებობენ ისეთი ვეტერანებიც, რომლებიც ამ დახმარებას მავანთა განზრახულობით ვერ იღებენ, რადგან ერთმა „ბრძენმა“ პრემიერმა (როგორიც ნიკა გილაური ბრძანდებოდა) ვეტერანთა ხელახალი რეგისტრაციის შემდეგ ასეთი ბრძანება გამოსცა: ვეტერანი, რომელიც 2010 წლის 5 ნოემბრამდე არ წარმოადგენს შესაბამის პლასტიკურ ბარათს, სახელმწიფო სუბსიდიას ვერ მიიღებსო. არადა, ვეტერანთა რეგისტრაცია 1 ნოემბერს დასრულდა, ანუ პლასტიკური ბარათები დროულად ვერ გაიცა და დახეთ, რა ვითარება შეიქმნა? ნაწილი ვეტერანებისა სარგებლობს აღნიშნული სუბსიდიით, ხოლო ნაწილი ვერა! ანუ, ერთი და იგივე კანონით ნაწილი ვეტერანებისა სარგებლობს სახელმწიფო სუბსიდიით ვეტერანების მეორე ნაწილი კი დისკრიმინირებულია, რაც კონსტიტუციის უხეში დარღვევაა. მეტიც, სააკაშვილის ხელისუფლების დროს ვეტერანთა დეპარტამენტში 350 ვეტერანის პლასტიკური ბარათი შეგნებულად იყო ჩაკეტილი სეიფში და ამ ადამიანებს უფასო მგზავრობა პენსია და ჰოსპიტლის მომსახურება კვლავაც „მავანის“ გამო აკრძალული ჰქონდათ.

2003 წლის შემდეგ ვეტერანთა სოციალური გარემო საგრძნობლად გაუარესდა, რადგან მიხეილ სააკაშვილს სძულდა ისინი, სძულდა და ამიტომ, გაუსაძლისს ხდიდა მათ ყოფას... არასოდეს, არც ერთ თათბირზე თუ სამთავრობო სხდომაზე არ დამდგარა საკითხი, თუნდაც ჰოსპიტალის უახლესი ტექნიკით აღჭურვის შესახებ, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ვეტერანთა დეპარტამენტისთვის მილიონობით ლარის გამოყოფაზე უარს არ ამბობდა, რადგან „იქ“ თავისი ერთგული მსახურები ჰყავდა დასაპურებელი და ფეხებზე არ ეკიდა ჩვენი ჯიბეებიდან ამოღლეტილი ფულები მიშას?

ახლა ვეტერანთა დეპარტამენტის თავმჯდომარედ ვინ დანიშნა არ იკითხავთ? ვინ და... საკუთარი დაცვის წევრი ნუგზარ ცაგარეიშვილი, რომელსაც 2300 ლარი ხელფასი ჰქონდა ყოველთვიურად და რომელიც ასევე ყოველთვიურად 200 პროცენტიან პრემიებს ინიშნავდა არარსებული „ჩატარებული საქმიანობის“ გამო. ანუ ბატონი ცაგარეიშვილი იმიტომ, რომ სააკაშვილის „კაცი“ იყო, ვეტერანებს ძალუმად იკიდებდა ფეხებზე და ყოველთვიურად 6900 ლარს ღებულობდა, ხელფასისა და პრემიის სახით, როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, დიდ „საბიუჯეტო განცხრომაში“ იყვნენ ნუგზარ ცაგარეიშვილის მოადგილე ჯანდრი უბირია, დავით მელიქიძე, მთავარი ბუღალტერი ირმა ჯაყელი, ილია შარაშენიძე, კუკური ბუხრაშვილი და ბევრი სხვანი, მაგრამ ამ შემადგენლობას ჰყავდათ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც თანამშრომლებს თვალით არ უნახავთ წლების განმავლობაში, მაგრამ საბუღალტრო უწყისებში, კარგა გვარიანი შრომითი ანაზღაურება ჰქონიათ გამოწერილი. თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომელთაც, მართალია 200-პროცენტიან პრემიებს და მაღალ ხელფასს კი უწერდნენ უწყისში, მაგრამ რეალურად მიღებულ თანხას იქვე, მეორე ოთახში „აწერდნენ“ უფროსები, „ეგ ფული ხომ კარგად იცი, შენ არ გეკუთვნისო?“ მოკლედ, ამ ჩვენს ვეტერანთა დეპარტამენტში „გულაობდნენ და გულაობდნენ“ გაურკვეველი სტატუსის ზოგიერთი ჩინოვნიკები, მაგრამ მთელ ამ ისტორიაში ყველაზე ძალიან იცით, რაზე გავბრაზდი? რაზე და... როდესაც სახელმწიფო ჯილდოზე წარდგენილ პირებს, ამა თუ იმ ხარისხის ორდენებს გადასცემენ ხოლმე, ამ ორდენებს გარკვეული თანხაც ემატება, ზედ, მაგრამ თურმე ნუ იტყვით ფულად თანხას, როგორც წესი არ აძლევდნენ გარდაცვლილის ოჯახს და მხოლოდ ორდენს და ფუტლიარს ატანენ თან! ვეტერანთა დეპარტამენტში ძალიან ბევრ ადამიანს ვიცნობ და სწორედ ამ ადამიანებმა მიამბეს, რომ ჩვენი ჟურნალისტის, გარდაცვლილი დათო ბოლქვაძის დედას (ასევე ჟურნალისტ ლია ისიანს) ფულადი ჯილდო 1000 ლარი „მოუტეხეს“ და მხოლოდ ვახტანგ გორგასლის სახელობის ორდენი გაატანეს სახლშიო.

ახლა მეორე მსოფლიო ომში გმირულად დაღუპული ადამიანებით როგორ შეიძლებოდა ფულის შოვნა, არ იკითხავთ? როგორ და... როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, „ფაშიზმზე გამარჯვების დღის 9 მაისის აღნიშვნასთან დაკავშირებით –„ნაჩალნიკობა“ 80 პროცენტიან პრემიებს იღებდა, „შნირები“ – ხვიშტს, ხოლო თავად ვეტერანები საერთოდ არაფერს.




ეგ კიდევ არაფერი... ახლა, მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ქართველი გმირებით როგორ შოულობდნენ ფულს „ვეტერანთა მთავარსარდლობა“, ხომ საინტერესოა?

მთელმა საბჭოთა კავშირმა იცოდა ქართველი ჯარისკაცის ჭიჭიკო ბენდელიანის საგმირო საქმეები და ისიც ყველამ ვიცოდით, რომ ბენდელიანის საფლავი – უკრაინაში, ქერჩში იყო. როგორც გვსმენია, ქართველი გმირის საფლავს მადლიერი უკრაინელები დიდი პატივით ეპყრობოდნენ, უვლიდნენ, ნებისმიერ სეზონზე ყვავილებით ამკობდნენ და ა.შ. მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლებამ უფრო „დიდი პატივისათვის“ ჭიჭიკო ბენდელიანის ნეშტის სამშობლოში გადმოსვენება განიზრახა და ამას წინ რომ ვეღარაფერი აღუდგებოდა, არა? ჰოდა, ამიტომაც ჯერ უკრაინის ხელისუფლებასთან მოლაპარაკება აწარმოა, შემდეგ ტელევიზორში გამოხტა, ხედავთ, რა მაგარი ვარო და სულ ბოლოს ვეტერანთა დეპარტამენტსაც მიადგა. აბა, ჰე, 2008 წლის 30 აპრილს უკრაინაში წადით და 6 მაისს აქ იყავით ნეშტთან ერთადო. მართლაც, ვეტერანთა დეპარტამენტის „ბრწყინვალე შემადგენლობა“ 7 დღის განმავლობაში არაერთგზის სტუმრობდა უკრაინას, მაგრამ მდიდარი და წარმატებული ხელისუფლების ემისრები რომ იყვნენ, ხომ უნდა დასტყობოდათ, არა? ამიტომაც 6-კაციანი დელეგაციისთვის დღიურ ხარჯად 1365 აშშ დოლარი გამოიწერეს და ამგვარად დელეგაციის 5 წევრისთვის სამივლინებო „ჯიბის ფულად“ 245 აშშ დოლარი ოფიციალურად გაიფორმეს კიდეც. ხოლო მთლიანად ეს „მივლინება“ 13 764 აშშ დოლარი ბიუჯეტს.

დელეგაციის მეექვსე წევრი, გმირი ბენდელიანის ქალიშვილი – ჯულიეტა ბენდელიანი გახლდათ, მაგრამ ვეტერანთა წუწკმა „ნაჩალნიკობამ“ ქალბატონი ჯულიეტასთვის დღიურ სამივლინებო ხარჯად მხოლოდ 140 დოლარი გაიმეტა, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ „მოტეხილ“ დოლარებზე, რომელიც ჭიჭიკო ბენდელიანის სამშობლოში გადმოსასვენებლად გამოყო მაშინდელმა ხელისუფლებამ. ჩემი დიდი მცდელობის მიუხედავად, კანცელარიის თავდაცვის თუ ჯანდაცვის სამინისტროდან ვერაფრით ვერ მოვიპოვე დოკუმენტი, სადაც ნათლად იქნებოდა დაფიქსირებული – თუ რამდენი ათასი ლარი დაუჯდა სახელმწიფო ბიუჯეტს, გმირი ქართველის სამშობლოში გადმოსვენება, კულუარული ინფორმაციით, თურმე ნახევარ მილიონ ლარზე მეტი ყოფილა! როგორც ყველას გვახსოვს, 2008 წლის 6 მაისს ჭიჭიკო ბენდელიანი სამშობლოში გადმოასვენეს და საბურთალოს სასაფლაოზე, ერთ-ერთ განაპირა ზოლში დაკრძალეს, მაგრამ აქ უეჭველად უნდა დავსვა ერთი შეკითხვა: ქ. ქერჩისგან განსხვავებით, აქ თბილისში ვინმემ იცის, სად არის ეს სასაფლაო? როგორც უკვე მოგახსენეთ, უკრაინელები ლამისაა ყოველდღიურად უვლიდნენ გმირი ქართველის საფლავს და 2008 წლის შემდეგ, სააკაშვილის ხელისუფლებას, ერთხელ მაინც თუ გახსენებია, ანდა საფლავის ქვა თუ დაუდგამთ სამშობლოში გადმოსვენებული გმირისთვის? ხომ ყველამ ვიცით, რომ ჭიჭიკო ბენდელიანის და სხვათა ნეშთების გადმოსვენება ჯერ კიდევ გაუსვენებელ სააკაშვილებს პიარად რომ სჭირდებოდათ და სხვა არაფრისთვის? თუმცა, რატომ? როგორც „საერთო გაზეთის“ მიერ მოპოვებული დოკუმენტებით კარგად ჩანს, თურმე, ფულის გასაკეთებლადაც ჭირდებოდათ და დღიური, სამივლინებო თანხების გასაზრდელადაც და ეს მაშინ, როცა ცოცხალი, ან ცოცხალ-მკვდარ დღევანდელ გმირებს სახლში პურის ფული არ ჰქონდათ, წამლის ფული არ ჰქონდათ და ვეტერანთა ნახევარზე მეტი ოფიციალური სტატისტიკით – სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფებოდნენ.

რამდენი პატრიოტი, მართლაც სამშობლოსათვის თავდადებული ვაჟკაცი დაიღუპა გაჭირვებით და უმადურობით ვიცით? ანდა დღეს რამდენი მათგანია ლოგინად ჩავარდნილი, მშიერი და უპოვარი, ვიცით?

ქვეყანას, რომელსაც თავისი ვეტერანებისათვის არ ეცალა, სძულდა, კლავდა და სცემდა მათ – განა ქვეყანა ერქვა?

ჰოდა, რომ არ ერქვა, ამიტომაც ხდებოდა ასეთი ამბები, მაგრამ ყველაზე საგანგაშო ის არის, რომ დღეს ვეტერანთა დეპარტამენტში კვლავ მიშა სააკაშვილისა და ბაჩო ახალაიას დამნაშავე, სახელმწიფო ბიუჯეტის მიზნობრივად მიმთვისებელი კადრების დაბრუნება თუ გამაგრების „სამუშაოები“ მიმდინარეობს და მერწმუნეთ, თუ ახალმა ხელისუფლებამ დროულად არ ამოსდო ლაგამი, თუ პროკურორატურამ დროულად არ შეისწავლა ვითარება და ფინანსთა სამინისტრომ დროულად არ შეუშვა იქ თავისი პოლიცია – უამრავი მამხილებელი დოკუმენტის განადგურება მოხდება (თუ არ მოხდა უკვე) და მერე „ნაცები“ რომ დაიწყებენ გოდებას „პოლიტიკური ნიშნით“ გვდევნიანო, გვიანი არ იყოს.

მივმართავთ ახალ ხელისუფლებას: „საერთო გაზეთი“, როგორც ყოველთვის, „ნაცებისა“ თუ „ნაცების ბიძაშვილების“ მამხილებელ რამდენიმე უტყუარ დოკუმენტს დღესაც აქვეყნებს და იმედს იტოვებს, რომ სისხლის სამართლის დანაშაულზე, პროკურატურა სწრაფ რეაგირებას მოახდენს.

**ირინე გოგოსაშვილი**
555 25 43 35

# რუსეთთან ურთიერთობა მაშინ შეიძლება მოგვარებულად ჩაითვალოს, როცა გუგუთიშვილის ჩეჩმა თავის ადგილას დაბრუნდება

## ხელისუფლება მდინარის პირას უნდა დაჯდეს და დაელოდოს მდინარე მტრის გვამს როდის ჩამოატარებს

*გვესაუბრება ექსპერტი კავკასიის საკითხებში* ***მამუკა არეშიძე:***

**— ბატონო მამუკა, ევროპას დიდი ხანია ჩვენს მიმართ ბატონყმური, ჭკუისდამრიგებლური დამოკიდებულება აქვს. როგორი უნდა იყოს რეალურად, ურთიერთობის ფორმები?**

— დავიწყოთ იქედან, რომ 90-იან წლების დასაწყისში საქართველოში ძალიან რთული ვითარება შეიქმნა — ეროვნული მოძრაობის შეჩერების მიზნით რუსეთმა სერიოზული მექანიზმები ჩართო, რამაც სისხლიანი კონფლიქტები გამოიწვია. საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ ძალიან უხეში შეცდომები დაუშვა, საბოლოო ჯამში იქამდე მივედით, რომ აფხაზეთი და სამხრეთ-ოსეთი დავკარგეთ, რუსეთთან კი უმძიმესი დამოკიდებულება ჩამოგვიყალიბდა. ამას ერთი საინტერესო ეპიზოდი დაერთო, რაც ქართულმა საზოგადოებამ არ იცის — 1994 წელს საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის ახლებურად დაწყების ჩარჩო-ხელშეკრულება მომზადდა, რასაც პრეზიდენტებმა — ელცინმა და შევარდნაძემ ხელი მოაწერეს, მაგრამ დოკუმენტის რატიფიცირება რუსეთის დუმის მიერ არ მოხდა. მახსოვს, მაშინ რუსი სამხედროები ლამის აჯანყდნენ იმიტომ, რომ ჩარჩო-ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით, რუსეთი საქართველოს არმიის მშენებლობაში ეხმარებოდა. ასეა თუ ისე, რუსეთმა ამ დოკუმენტის რატიფიცირება არ მოახდინა. მოგეხსენებათ, გეოპოლიტიკაში ცარიელი ადგილი არ არსებობს — ამ ადგილას აუცილებლად ვიღაც უნდა გაჩნდეს. რუსეთმა, მაშინ საქართველოს დახმარება, თანამშრომლობა არ მოინდომა, სამაგიეროდ ეს ამერიკელებმა მოინდომეს. ამ დოკუმენტის არარატიფიცირების შემდეგ ამერიკელები ჩვენთან და საერთოდ რეგიონში, ძალიან აქტიურად გამოჩნდნენ და დაიწყო გრანდიოზული პროექტების რეალიზაცია, რასაც ბაქო-ჯეიჰანი ჰქვიოდა. დასავლეთმა, მთლიანად რეგიონში პირდაპირი, სახელმწიფო, კერძო ინვესტიციების, გრანტების სახით უზარმაზარი ფული ჩადო. აქედან გამომდინარე, დასავლეთს განწყობა გაუჩნდა შემდეგი პრინციპით ემოქმედა — ვინც ფულს იხდის მუსიკასაც ის უკვეთავს.

ნურც ის დაგვავიწყდება, რომ 1998 წლის მარტში საქართველომ ევროსტრუქტურებში გასაწევრიანებლად და ბევრი ქართველი ისტორიული, პოლიტიკური მოღვაწის ნანატრი ოცნების ასასრულებლად, რამდენიმე არასასურველ დოკუმენტს მოაწერა ხელი. მათ შორისაა, ცნობილი რეგიონალური ენების ქარტია — ჩვენ მოვაწერეთ ხელი და თანაც ფართხა-ფურთხით. ძალიან კარგად მახსოვს ის პერიოდი, როდესაც იმისთვის, რომ ევროპარლამენტში ჩვენი გაწევრიანება სომხეთზე და აზერბაიჯანზე უფრო მალე მომხდარიყო და ამით გვეტრაბახა, ამიტომ ახალგაზრდა რეფორმატორების ჯგუფმა განსაკუთრებით სააკაშვილის აქტიურობით, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ამ დოკუმენტზე პირველებს მოგვეწერა ხელი, ისე, რომ ეს დოკუმენტი საერთოდ არ წაგვიკითხავს. კარგად მახსოვს, მაშინ ელდარ შენგელაიამ მოაწერა ხელი. ასე, რომ, ჩემო კეთილო, თუ რამ გვჭირს, პირველ რიგში, თავად ვართ დამნაშავენი და არა დასავლეთი. მთავარი დამნაშავე ყოველთვის საკუთარ თავში უნდა ეძებო.

ევროპაში არიან სხვა პარტიები, რომლებიც „ევროპულ სახალხო პარტიას“ ვერ იტანენ. მას სახელწოდება აქვს ასეთი, თორემ იგი არაა კონსოლიდირებული პარტია. ესაა პარტიათა კონგლომერატი, რომლებიც, სხვათა შორის, მხოლოდ ევროპარლამენტის სივრცეში თანამშრომლობენ. მაგალითად, რაც გერმანელებმა კვიპროსის კრიზისთან დაკავშირებით მოაწყვეს, „ევროპის სახალხო პარტიის“ ფრანგი, იტალიელი თუ შვეიცარიელი ოჯახის წევრებისთვის არ შეუთანხმებიათ. ანუ აქაც ცალსახა მდგომარეობაა, მაგრამ ასეა თუ ისე, „ევროპის სახალხო პარტია“ ჩვენდამი კრიტიკულადაა განწყობილი. მისი ზოგიერთი წევრი, რომელიც ამ დოკუმენტს აწერს ხელს, აბსოლუტურად არაა სოლიდარული იმ პათოსისა, რომელიც ამ წერილშია მოყვანილი.



**— თუ ახალი ხელისუფლება ქვეყანას მხოლოდ იმიტომ ლუპავს, რომ რუსეთთან დალაპარაკებას აპირებს, თვითონ ევროპა ხომ ყოველთვის ამისკენ მოგვიწოდებდა — რუსეთს დაელაპარაკეთო.**

— მართალი ხართ, ევროპა მართლაც თვითონ მოგვიწოდებდა რუსეთს დავლაპარაკებოდით, სწორედ ანგელა მერკელმა სთხოვა ნინო ბურჯანაძეს პუტინის გვერდით მდგარიყო. ევროპელები ერთი ხელით სხვას გვთხოვენ, მეორეთი გვეუბნებიან — ნამეტანს ნუ იზამთო. ჩვენ უკეთ ვიცით რა უნდა ვქნათ და რა — არა, მაგრამ იძულებულნი ვართ ზოგიერთ შემთხვევაში, დასავლეთს ანგარიში გავუწიოთ და ამის გამო ზოგჯერ მათ ნათქვამს დავეთანხმოთ. რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობის ფორმას — დასავლეთს, განსაკუთრებით ევროპას ჩვენს გამო რუსეთთან დაკავშირებით მუდმივი თავის ტკივილი, არ სჭირდება. ასეთივე მიდგომას ამჟღავნებს ძველი ევროპა აღმოსავლეთ-ევროპული ქვეყნების მიმართ. მაგალითად, თქვენ რომ ევროპარლამენტის სამზარეულო იცოდეთ, ძველი ევროპელი წარმომადგენლები გეტყვიან — ყელში ამოგვივიდა ბალტიისპირელების და პოლონელების გაუთავებელი ანტირუსული პოლიტიკა, ეს ხელს გვიშლისო. ამ ყაყანის ფონზე, რომელიც ევროპარლამენტშია გამართული, ძველი ევროპა თავის გეგმებს მაინც ახორციელებს ისე, როგორც სჭირდება.

ასე, რომ აუცილებელია რუსეთთან ურთიერთობის ფორმატი შევცვალოთ, რაც შეიძლება მოქნილი გავხადოთ. კეთილ ნებას ვხედავთ, მაგრამ ეს არაა სწორი კეთილი ნება. იმიტომ, რომ ერთი მხრივ აქ აგზავნიან ემისრებს, მაგრამ მეორე მხრივ მავთულხლართებს ავლებენ მოსახლე ამირან გუგუთიშვილის ეზოში, ისე რომ ჩეჩმა მავთულხლართის იქით რჩება. აი, ამ ჩეჩმის იქით დატოვება — ესაა რუსის საქციელის სიმბოლო — როცა ერთი ხელით სხვას აკეთებ და მეორეთი აჩვენებ ვინ არის მდგომარეობის ბატონ-პატრონი. თუ გუგუთიშვილის ჩეჩმა თავის ადგილას არ დაბრუნდა, გამიჭირდება ხალხს ავუხსნა რატომ ვამბობ — ძველი გვახსოვს, მაგრამ ვიყურებით მომავლისკენ.

**— მაგრამ მაინც რით აიხსნება ევროპისგან ჩვენი ლანძღვა-გინება და რუსეთთან დალაპარაკების სურვილის გამო შეშფოთება, მაშინ როცა მათ თავად ამ ქვეყანასთან შესანიშნავი ურთიერთობა აქვთ?**

— ტრიბუნასთან ერთად დგომა, ღიმილი და მხარზე ხელის მოთათუნება ომის დაწყება ჰქვია, მაშინ შეიძლება სამხრეთ-კავკასიაში ყველაფერი მოხდეს. დღეს ასეთი მდგომარეობაა — რუსეთმა 2015 წლისთვის ევრაზიული კავშირის შესაქმნელად მზადება დაიწყო. დასავლეთის ხელდასმით, უფრო სწორედ ჩუმი თანხმობით, იგივეს შექმნა თურქეთმაც დაიწყო. ორივე შემთხვევაში „ევრაზიულ კავშირში“ სამხრეთ-კავკასია იგულისხმება. საინტერესო სიტუაციაა შემდეგი თვალსაზრისით, რუსეთს ჰყავს ერთგული მოკავშირე სომხეთი, თურქეთს — აზერბაიჯანი, შუაში გამოკვეხებული ჰყავთ საქართველო, რომელთანაც ნორმალური ურთიერთობა უნდა დაამყარონ იმისთვის, რომ სამხრეთ-კავკასიაში ორი ერთთან სიტუაცია შექმნან. ამიტომაა, რომ დღეს ჩვენ სხვა სიტუაციისგან განსხვავებით ხელთ ათიანი კოზირი გვაქვს, ანუ უკვე ვაჭრობა შეგვიძლია, უბრალოდ ეს ჭკვიანურად უნდა გაკეთდეს. ხომ ხედავთ

ბა არ ნიშნავს, რომ მათ შესანიშნავი ურთიერთობა აქვთ. როცა რუსეთს დაჭირდა, ევროპას გაზი გადაუკეტა, როცა ევროპას დაჭირდა — რუსეთის ეკონომიკას კვიპროსის ხელოვნური კრიზისით საშინელი დარტყმა მიაყენა. ეს არ არის კარგი, არამედ მუდმივი მეტოქეობრივი ურთიერთობაა, რომელიც არასდროს დამთავრდება, სანამ ისინი თანაბარ დონეზე იქნებიან.

**— მაგრამ ხომ არ მოქმედებს რუსეთი „ევროპის სახალხო პარტი-**




**ის“ ხელით. ანუ ინტერესი ხომ არ არის სიტუაციის დაძაბვა და შემდეგ რუსეთის აქ შემოსვლა. ხომ არ აწყობს ევროპას რუსეთის საქართველოში შემოსვლა. რით აიხსნება, რომ მათ ჩვენი რუსეთთან ურთიერთობა არ აწყობთ?**

— რუსეთი ამ ეტაპზე, საქართველოში შემომსვლელი არაა. მას სერიოზული პრობლემები აქვს. რაც შეეხება რუსეთისა და საქართველოს დაპირისპირებას, ამის ინსპირირება დასავლეთს, ამ ეტაპზე, არ სჭირდება. ვიდრე დღის წესრიგში ირანის საკითხია, არავის არაფერი არ აწყობს, გარდა ირანის თემის მოგვარებისა. ირანის წინააღმდეგ თუ ბოლო ნაბიჯი გადაიდგა, რასაც რუსები დელეგაციებს აგზავნიან, თურქებმაც სასწრაფოდ ბათუმში დანიშნეს შეხვედრა — ჩახუტება და მთელი ამბავი იყო. მოკლედ, იმასთან დაკავშირებით, თუ საით გაიხედავს საქართველო საბოლოო ჯამში, დიდი ხმაურია ატეხილი. როგორ იქცევა ამ დროს საქართველოს ხელისუფლება? — პირველ თვეებში ხომ დაუშვა უხეში შეცდომები დასავლეთში პიარ-კომპანიების დახურვით, ელჩების დონეზე დავრჩით, რომელთაგან ნახევარი „ნაციონალების“ ყურმოჭრილი მონა იყო. ახლა ხელისუფლება გონს მოვიდა, ამ საქმეში სერიოზული ძალები ჩართო და რეზულტატიც მივიღეთ. მთავარი დადებითი ისაა, რომ ხელისუფლებამ ახალი მიდგომების დემონსტრირება მოახდინა, აკეთებს განცხადებებს, მაგრამ არცერთი დოკუმენტის შექმნაზე ზრუნვა არ დაუწყია, ანუ ტოტალური ზონდაჟის პოლიტიკა შექმნა. ეს არაა ცუდი, ანუ ყველა ის ქვეყანა თუ პოლიტიკური ძალა, რომელიც სამხრეთ-კავკასიით დაინტერესებულია მუდმივი საფიქრალის რეჟიმში ჰყავს. ახლა არის კარგი დრო ვაჭრობისთვის.

**— ახლა ახსენეთ, ხელისუფლება გონს მოვიდაო. ამაში თუნდაც ის ხომ არ იგულისხმება, რომ როგორც იქნა ევროპას ჩვენც ცოტა მკაცრი ტონით დაველაპარაკეთ და დინებას მკვდარი თევზებივით არ მივდიეთ?**

— ქართული ხელისუფლების პოზა მინდა შემდეგი იყოს — არც დინების წინააღმდეგ მიდიოდეს და არც დინებას მიჰყვებოდეს, არამედ მდინარის პირას ისხდნენ და ელოდნონ, როდის ჩაატარებს მდინარე ჩვენი მტრის გვამს. ეს ყველაზე კარგი პოზაა, როცა მდინარის პირას აქტიურად ელოდები, როდის ჩაატარებს იგი მტრის გვამს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ყველა, სამხრეთ-კავკასიას და საქართველოს თავისი ინტერესებისთვის იყენებს. ჩვენს მარიფათზე, კონსოლიდირებაზე, ქვეყნის სიძლიერეზეა დამოკიდებული, რამდენად ვაიძულებთ სხვებს ჩვენს ინტერესებს გაუწიონ ანგარიში. ვინ იბრძვის დღეს საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში? — ევროკავშირი, პლუს აქ წარმოდგენილი რამდენიმე ქვეყანა და პირველ რიგში, გერმანია, რუსეთი, აშშ, ირანი და თურქეთი. ქვემო ქართლში სამი ქვეყანა —

**ირანი, თურქეთი და აზერბაიჯანი ებრძვის ერთმანეთს, მარტო 9 უცხო ქვეყნის საელჩო. სამსახური მუშაობს საქართველოს ტერიტორიაზე.**

ამ უზარმაზარ პოლიტიკურ ბორშჩში რაციონალური სწორი ხაზი უნდა შეირჩეს. ამის გაკეთება ძალიან რთულია, მაგრამ შესაძლებელი. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი საქართველოს ხელისუფლებაში შემსრულებლების, პროფესიონალების, სერიოზული დეფიციტია, მას ეს მაინც ხელეწიფება. ივანიშვილმა საკადრო თვალსაზრისით სერიოზული ნაბიჯები უნდა გადადგას და გარშემო ბევრად უფრო წონიანი, გონიერი ხალხი შემოიკრიბოს, რათა ქვეყანა კრიზისიდან გამოვიდეს. საუბრის დღევანდელი თემა ძალოვანი სტრუქტურები არაა, მაგრამ რაც იქ ხდება თმები ყალყზე დაგიდგებათ. ასევე, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით. ეს ყველაფერი ხვალ და ზეგ აუცილებლად იჩენს თავს, ეს ხელისუფლების ავტორიტეტზე მოქმედებს. ბიძინა ივანიშვილს, ხშირ შემთხვევაში ჰგონია, რომ მას როგორც ფლაგმანს, უკან მიჰყვებიან ისე, როგორც თვითონ მიდის წინ — ამ დროს, არ მიჰყვებიან უკან. იმიტომ, რომ ფლაგმანის გემბანი ყოველთვის დალაგებული, მოწესრიგებული და ბრძოლისთვის მზად უნდა იყოს. ფლაგმანი თვლის, რომ სხვა გემებზეც იგივე მდგომარეობა უნდა იყოს, მაგრამ არ არის სხვა გემებზე იგივე მდგომარეობა — ნაგავს მიაქვს გემბანი. ნაგავი კი ბრძოლაში ხელს აუცილებლად შეგიშლის.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24




# ძალიან მიკვირს, რომ დღევანდელი ხელისუფლება საერთოდ არ ლაპარაკობს აგვისტოს ომის გამოძიებაზე

**ნინო ბურჯანაძე:**

...სიტყვა კოაბიტაცია უკვე დასაცინ და გამაღიზიანებელ სიტყვად იქცა. კოაბიტაცია შეიძლება იმ პოლიტიკურ ძალასთან, რომელმაც წააგო არჩევნები, მაგრამ არ აქვს ჩადენილი დანაშაული. პოლიტიკურ ძალას, რომელსაც აქვს დანაშაული ჩადენილი ქვეყნის და ხალხის წინაშე, რომელმაც დაკარგა ტერიტორიების 20 პროცენტი, რომელმაც დაარღვია ყველა ის დანაპირები, რომელსაც აძლევდა საქართველოს მოსახლეობას და მსოფლიოსაც, მხედველობაში მაქვს დემოკრატიული გარდაქმნების დაპირებები, ძალა, რომელსაც ჰყავდა ასობით პოლიტიკური და ათასობით უკანონო პოლიტიკური პატიმარი, როგორ შეიძლება ასეთი პოლიტიკური ძალა ჩაითვალოს ნორმალურ პოლიტიკურ პარტიად და როგორ შეიძლება ასეთ ძალასთან კოჰაბიტაცია. თანამშრომლობა დამნაშავე ძალასთან დანაშაულია.

რაც შეეხება ნაციონალების ხმებს საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, საინტერესოა, თუ დაგვჭირდება, დამნაშავეებთან უნდა ვითანამშრომლოთ?! ყოველთვის არსებობს სხვა გზა.



გარკვეული შეცდომა დაშვებული იქნა ჯერ კიდევ 1 ოქტომბერს, როცა გარკვეული ეიფორიის შედეგად "ნაციონალურ მოძრაობას" დაუკანონდა ხმების ის რაოდენობა, რომელიც რეალურად არ მიუღია. დარწმუნებული ვარ, საზოგადოება დამეთანხმება იმაში, რომ ნაციონალურ მოძრაობას არ მიუღია მოსახლეობის 40%-ის ხმა. ფაქტია, რომ "ქართულმა ოცნებამ" გაცილებით მეტი ხმა მიიღო, ვიდრე აქვს პარლამენტში. თავიდანვე უნდა ყოფილიყო ამაზე რეაგირება უნდა თქმულიყო, რომ არავითარი თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები საქართველოში არ ჩატარებულა, რადგან არჩევნები არ გახლავთ მხოლოდ არჩევნების დღე, ეს არის მისი წინმსწრები პროცესებიც, ხოლო ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს წინასააარჩევნო პერიოდი, რომელიც საოცარი დარღვევებით მიდიოდა. თანაც ნაციონალური მოძრაობა გაიმეორებდა ხაშურის ინციდენტს, რომ არა მოსახლეობის უპრეცედენტო აქტივობა.

სხვათა შორის, 1 ოქტომბერმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩვენი სიტყვები, რომ ძალა ხალხშია და თუკი ქუდზე კაცი გამოვიდოდა საკუთარი უფლებების დასაცავად, ხელისუფლება ხალხზე ძალადობას ვერ გაბედავდა.

აჯობებს გამოსავალზე ვისაუბროთ და არა შეცდომებზე, რათა არ აღმოვჩნდეთ ჩასაფრებულის პოზიციაში. უპირველს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ არსებობდა გზა, რომელიც მოაგვარებდა იმ პრობლემას, რაც საკონსტიტუციო ცვლილებებით მოგვარდა, ეს არის პრეზიდენტის იმპიჩმენტის გზა. ამაზე კომპეტენტურად ისაუბრა მინდია უგრეხელიძემ. მან შეგვახსენა, რომ თუკი დაიწყებოდა სრულიად სამართლიანად, არა პრეზიდენტის პოლიტიკური დევნა, არამედ იმპიჩმენტის პროცედურა, რაც პრეზიდენტს მოუსპობდა პარლამენტისა და მთავრობის დათხოვნის საშუალებას. გარდა ამისა, არის კიდევ ერთი სწორი გზა, ეს არის ობიექტური და სწრაფი გამოძიების ჩატარება. ის, რომ ყოფილი ხელისუფლება ბედავს მსგავსი ტონით ესაუბროს საკუთარ მსოახლეობას, ბედავს იმას, რომ იმ ადგილზე, სადაც სრულიად უდანაშაულო ადამიანების სისხლით მორწყა რუსთაველი და მერე გადარეცხილ რუისთაველზე ალლუმი ჩაატარა, და დღეს ვანო მერაბიშვილი ბედავს ამ ადგილზე მიტინგის დაანონსებას, ეს არის იმის ბრალი, რომ ამ 6 თვის განმავლობაში, რომლიც გამოძიებისათვის საკმარისი ვადა იყო, არ გამოძიებულა ისეთი რეზონანსული საკითხები, როგორიცაა 26 მაისი. რომ მომხდარიყო გამოძიება და წარდგენოდათ ბრალი ყოფილ მაღალჩინოსნებს, რაც ნამდვილად არ გახლავთ პოლიტიკური დევნა, არამედ გახლავთ სამართლიანი, ობიექტური პრეტენზიები, მაშინ ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა, დღეს ისინი ამდენს ვერ გაბედავდნენ. საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი ეს დანაშაულებანი - ესაა იგივე 26 მაისი, 7 ნოემბერი, ვაზაგაშვილის, რობაქიძის, გირგვლიანის საქმე და კიდევ ათაასობით ჩამორთმეული ქონების საქმე. საზოგადოების მთავარი მოთხოვნა და მოლოდინი ხომ სამართლიანობის აღდგენა იყო. მე არ ვიცი არც ერთი შემთხვევა, რომ რომელიმე ჩვენს თანამოქალაქეს ერთი ავტოფარეხი ან ჯიხური მაინც დაბრუნებოდეს. არ ვიცი არც ერთი შემთხვევა, რომ ბიზნესმენებს დაბრუნებოდეთ წართმეული ბიზნესი, რომელიც სპეციალურად იყო დატერორებული.

ვანო მერაბიშვილი ხშირად კი არ უნდა დადიოდეს დაკითხვაზე, ციხეში უნდა იჯდეს! და არა მარტო ვანო მერაბიშვილი. და ნამდვილად არ ვიცი, რა არის მის თავისუფლების მიზეზი. ვიცი, რომ პროკურატურაში შეიქმნა ჯგუფი, რომელიც შეისწავლის ცალკეული პროკურორების შესაძლო ბრალეულობებს. არ არის გამორიცხული ეს იყოს საბოტაჟი. არ მინდა ამას ხელისუფლების უნიათობა ვუწოდოთ, რადაგან მართლა სისხლხორცეულად ვართ დაინტერესებული ხელისუფლების ყოველი ნაბიჯი ეფექტური იყოს.

ნაციონალური მოძრაობა აპირებდა 30 წელი ხელისუფლებაში დარჩენას. ამიტომ დიდად არ იწუხებდნენ თავს, თუნდაც შეეკერათ საქმეები, რითაც უდანაშაულო ხალხს ციხეში სვამდნენ, ქონებას ართმევდნენ. იგივე 26 მაისი ავიღოთ. ნამდვილად ვამაყობ, რომ 26 მაისს რუსთაველის გამზირზე ვიდექი ჩემს თანამებრძოლებთან ერთად, რადგან 26 მაისმა განაპირობა პირველი ოქტომბრის გამარჯვება. რომ არა 26 მაისი, ეს გამარჯვება არ დადგებოდა. 26 მაისი და მისი შემდგომი პერიოდი იყო გარდამტეხი. ეს აბსოლუტური ჭეშმარიტებაა. „სახლსო კრების" წარმომადგენლები აქტიურად ვეხმარებოდით ყველა რეგიონში, ყველა უბანში „ქართულ ოცნებას".

სხვათა შორის ბ-ნმა საყავრელიძემ გააკეთა ძალიან სწორი შეფასება, აქამდე ნაცმოძრაობა იყო ბანდა და ახლა გახდა პოლიტიკური პარტიაო. ესაა სამწუხარო.

...ბატონმა ივანიშვილმა საკმაოდ ნათელი ფორმულირება გააკეთა თავის პირველ განცხადებაში, რომ იგი პოლიტიკაში მოვიდა სწორედ 26 მაისი მოვლენების გამო. მე რომ სხვაგვარად მოვქცეულიყავი, მაშინ 26 მაისი არ იქნებოდა, ალბათ, ის 26 მაისი, რომელიც იყო. შესაბამისად, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში არ მოვიდოდა და "ნაციონალური მოძრაობა" დარჩებოდა ხელისუფლებაში 30 წელი. 26 მაისი იყო თავგანწირული ადამიანების ბრძოლა ქვეყნის დამღუპველი რეჟიმის წინააღმდეგ. მე ვამაყობ, რომ ჩვენ ამით ჩავდექით იმ ჩვენი სახელოვანი წინაპრების რიგში, რომლებიც არ ეპუებოდნენ თავისზე უფრო მრავალრიცხოვანი, უფრო კარგად შეიარაღებული, უფრო ძლიერი მტერის წინააღმდეგ ბრძოლას, რითაც მათ უზრუნველყვეს ჩვენი ქვეყნის, რელიგიის და ენის შენარჩუნება.

...ჩვენ რუსთაველზე დარჩენის გადაწყვეტილება ერთად მივიღეთ და ამ პასუხისმგებლობას ყველა ვინაწილებთ, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით, რომ როდიონოვის ჯარზე უარესად მოიქცეოდა ჩვენი სპეცრაზმი და ხელისუფლება. ჩვენ ერთ რამეზე უნდა შევთანხმდეთ, სააკაშვილი და ნაცმოძრაობა იყო რეჟიმი და ავტორიტარიზმი თუ ეს იყო პოლიტიკური ძალა, რომელიც, ვთქვათ, ბურჯანაძეს და მის თანამებრძოლებს არ მოსწონდათ. თუ ეს იყო ჩვეულებრივი ხელისუფლება, რომლეთანაც თანამშრომლობა შეიძლება, რომელიც, უნდა გავაკეთილშობილოთ და ღირსება შევუნარჩუნოთ, რომელიც მას არა აქვს, მაშინ, რა თქმა უნდა, 26 მაისი არ უნდა მომხდარიყო და ჩვენს სახლებში უნდა წავსულიყავით. მაგრამ თუკი ეს იყო ხელისუფლება, რომელმაც დაგვაკარგვინა ტერიტორიის 20%, რომელიც ათასობით ადამიანს ქონებას ართმევდა და ღირსებას ულახავდა, რომელსაც ევროპული ღირებულებისა და დემოკრატიისაკენ კი არა, პროვინციული დიქტატურისაკენ მიჰყავდა ქვეყანა, ადამიანების ორგანოებით ვაჭრობის საკითხიც კი დგას მაშინ, ჩვენ იქედან ფეხი არ უნდა მოგვეცვალა და თავიც უნდა გაგვეწირა, თუ საჭირო იყო. რუსთაველზე მყოფი ადამიანები ლიდერებს გვეუბნებოდნენ, რომ ფეხი არ უნდა მოგვეცვალა და მაგალითი მიგვეცა ჩვენი ხალხისთვის, თუნდა ვეცემეთ და დავერბიეთ.

რაც შეეხება იმ ფარულ ჩანაწერებს, თითქოს საჭიროების შემთხვევაში "გრუ" შემოვიდოდა საქართველოში, თუ ეს სიმართლე იყო, "გრუმ" რისთაველის გამზირს ვერ მოაგნო თუ სააკშვილის სპეცრაზმის შეეშინდა? ეს იყო მარტივი ფალსიფიკაცია და მეტი არაფერი. რა თქმა უნდა, ეს იყო ბინძური პროვოკაციის ნაწილი, რასაც ყოველთვის მიმართავდნენ ჩემს წინააღმდეგ. რის შესახებაც მე განცხადება "იმედის" ეთერითაც გავაკეთე, მაგრამ მაშინ "იმედში" სხვა რეალობა იყო და მოსახლეობამდე ვერ მივიდა. მე მოვითხოვე ყველა ჩანაწერი ფალსიფიცირების გარეშე გამოქვეყნდეს, რადგან დასამალი არაფერი მაქვს. ამიტომაც ვითხოვ ჩემს თანამებრძოლებთან ერთად ობიექტურ გამოძიებას 26 მაისი მოვლენების ირგვლივ.

...ძალიან მიკვირს, რომ დღევანდელი ხელისუფლება საერთოდ არ ლაპარაკობს აგვისტოს ომის გამოძიებაზე, სააკაშვილის დანაშაულებრივ ქმედებაზე ამ ომში. მიხეილ სააკაშვილი ვიღაცების "მოკურცხვლაზე" ლაპარაკობდა 26 მაისის მიტინგიდან, მაშინ როცა ჩვენ ლიდერები ნამდვილად ყველაზე ბოლოს გამოვედით. ვინ მოკურცხლა ბრძოლის ველიდან, კარგად ნახა მთელმა საქართველომ და მთელმა მსოფლიომ. ომთან დაკავშირებით არსებობს ევროკომისიის ძალიან სერიოზული დასკვნა, რომელიც შეიძლება უმნიშვნელოვანესი ბრალდება იყოს სააკაშვილის წინააღმდეგ.

დიახ, მე 3 აგვისტოს სააკაშვილს შევხვდი და გავაფრთხილე, რომ პროვოკაციას არ წამოგებოდა, თორემ დავიღუპებოდით. შემდეგ უკვე 7 აგვისტოს დამირეკა და მითხრა, რომ მან გასცა ცხინვალის დაბომბვის ბრძანება, რაზეც, ფაქტობრივად, შევევედრე, რომ შეეჩერებინა ეს ბრძანება, მაგრამ, სამწუხაროდ, მან ჩემი ეს თხოვნა ყურად არ იღო.

როდესაც შერიგებაზე „ნაციონალური მოძრაობის", როგორც ოპოზიციური ძალის დამკვიდრებაზე ვლაპარაკობთ, ჯერ ერთი, ადამიანს რომ შეურიგდე, ყველაზე მცირე, ბოდიში მაინც უნდა მოიხადოს. უნდა მოინანიოს და არ უნდა ამაყობდეს, რასაც აქამდე აკეთებდა, რისთვისაც მას ხალხმა უნდობლობა გამოუცხადა. ჩვენ ვპატიობთ ნაციონალურ მოძრაობას ტერიტორიების დაკარგვას? მე და ჩემი თანამებრძოლები არ ვაპირბთ შევურიგდეთ არც ჩვენი ტერიტორიების დაკარგვას, არც იმას, რომ მოღალატეებად გამოგვაცხადეს მე, ჩემი შვილი, რომელიც აგვისტოს მოვლენების დროს მამამისთან ერთად ცხინვალის რეგიონში იმყოფებოდა სწორედ იმიტომ რომ რუსეთის ჯარები შეეჩერებინა, რომელიც სააკაშილმა აქ შემოიყვანა და აქედან 40 კმ-ში დააფუძნა.

...პრობლემები რუსეთთან არ მოგვარდა იმიტომ, რომ სააკაშვილმა რამდენჯერმე გატეხა სიტყვა. მან გადაწყვიტა, რომ მისთვის გაცილებით მოსახერხებელი იქნებოდა რუსეთთან მებრძოლის იმიჯი. რადგან მან გადაწყვიტა ტოტალური სახელმწიფოს აშენება, რისთვისაც აუცილებელი იყო რუსეთთან მებრძოლი ქვეყნის ფასადი, რათა დასავლეთის მხარდაჭერა არ დაეკარგა.

მოსახლეობა ელოდება, ხელისუფლებამ ის კი არ ილაპარაკოს, რაც მოსახლეობას მოსწონს, არამედ ხელისუფლებამ გააკეთოს ის, რაც მოსახლეობას სჭირდება. ხელისუფლებამ უნდა ილაპარაკოს მხოლოდ იმ ტერმინოლოგიით, რომელიც კონფლიქტის დარეგულირებას შეუწყობს ხელს. მოსახლეობა ელოდება, ხელისუფლებამ კოჰაბიტაციაზე კი არ ილაპარაკოს, არამედ სამართლიანობა აღადგინოს. რადგან მოსახლობამ კარგად იცის, რომ უსამართლობასთან შერიგება აუცილებლად გამოიწვევს და შობს ახალ უსამართლობას. უკანონობაზე თვალის დახუჭვა შობს ახალ უკანონობას. მოსახლეობამ კარგად იცის, თუ ქვეყანაში არ იქნა კარგად დაბალანსებული ხელისუფლება პრეზიდენტს, პრემიერსა და პარლამენტს შორის, თუ არ აღდგა სამართლიანობა, ქვეყანაში არსებული სოციალური თუ ტერიტორიული პრობლემები ვერ მოგვარდება. ან მოგვარდება დროებით და გარკვეული პერიოდის შემდეგ ისევ იჩენს თავს.

**„იმედი"**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა ახალი ხელისუფლების შეცდომა იყო — ამით მათ „ნაც.მოძრაობის“ პოლიტიკური რეაბილიტაცია დაიწყეს

გვესაუბრება ეკონომიკის ექსპერტი **დემურ გიორხელიძე:**

**- ბატონო დემურ, ქვეყანას ექვსი თვეა ახალი ხელისუფლება მართავს. გვპირდებოდნენ, რომ ეკონომიკური მდგომარეობა გამოსწორდებოდა, ასევე მონოპოლიების საკითხს მოევლებოდა, რა ვითარებაა რეალურად ამ კუთხით?**

— ცხადია, ისეთ სოციალურ ჭაობში მყოფი ქვეყნისთვის, სადაც მოსახლეობის 55 პროცენტი ან ღარიბია ან სიღარიბის ქვევითაა, ხელშესახები სოციალური ძვრების მიღწევა, ძნელია. თუმცა, ვფიქრობ, მთავრობის პოლიტიკა საქმისადმი უფრო აგრესიული უნდა ყოფილიყო და სწრაფი გადაწყვეტილებები მიეღოთ.

**— სისწრაფეში რას გულისხმობთ?**

— რა თქმა უნდა, მთავრობის იმედად ყოფნა, თითქოს იგი უზრუნველყოფს ჩვენს კეთილდღეობას, მოგვცემს სამუშაო ადგილებს, ეს ილუზორული მოლოდინებია. მაგრამ ის, რომ მთავრობის გადაწყვეტილებამ საკუთარ ქვეყანაში სამუშაო პირობები უნდა შექმნას, ეს თავისთავად ცხადია. ფონდების ამოქმედებაზე საუბარი მხოლოდ ახლა მიდის, ეკონომიკური გარემო ისევ საკმაოდ რთულია, ძველი ხელისუფლების მიერ ჩამოყალიბებული მონოპოლიური ჯგუფები აქტიურნი არიან და ეკონომიკაში ძირითად ბერკეტებს კვლავაც ფლობენ — თითქმის ყველა მნიშვნელოვანი პროდუქციის სრული იმპორტი მათ ხელშია. ცხადია, დღევანდელ სიტუაციაში გაჩნდა ახალი არაოლიგოპოლიური შემომტანები, იგივე წამლის, ნავთობის და ა.შ. მაგრამ აბსოლუტურად გაუმართავი და ცუდი საბანკო სისტემა თავისუფალი ინიციატივის განვითარებას არ უშვებს და საეჭვოა, რომ საქართველოში დღეს მოქმედ ბანკებში დამოუკიდებელი ბიზნესმენები მხარდაჭერას იპოვიან. რაც შეეხება ფონდების ამოქმედებას, პირდაპირ გეტყვით, ეს ილუზიაა. ამის იმ ფორმით გაკეთება, როგორადაც ეს სოფლის მეურნეობის მინისტრმა რამდენიმე დღის წინ წარადგინა, შეიძლება წინასწარ ითქვას, რომ ეს პროგრამა სრული ჩავარდნის პირასაა. ეს აბსოლუტურად გაუთვალისწინებელი და სქემატურად მიღებული გადაწყვეტილებებია, რაც არ შეესაბამება ქვეყანაში არსებულ ვითარებას — იგი რეალურად არ ითვალისწინებს სოფლის მოსახლეობის, მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობას, არამედ სრულიად არაპროფესიონალების შედგენილია ყალბი საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დაცვით. გაურკვეველია გირავნობის საკითხები. კრედიტის დაცვის 33 პროცენტს ფონდი აიღებს, 67 პროცენტი გლეხზე გადავა და ამის შესაბამისი კაპიტალიზირებული ქონება მას უზრუნველყოფაში ჩასადებად ექნება — ეს ზღაპარია, განსაკუთრებით, რასაც ე.წ. მე-2, მე-3 კომპონენტს უწოდებენ. ტერმინოლოგია კარგად აითვისეს. რეაურად, ის, რაც სოფლის მეურნეობის მინისტრმა გვითხრა, დილეტანტური, მთავრობისთვის აბსოლუტურად წამგებიანია. სჯობს ეს ახლა ვთქვა, ვიდრე მაშინ, როცა 3-4 თვეში გამოჩნდება, რომ ეს ყველაფერი ჩავარდა. გარდა ბიზნესმენების ვიწრო წრისა, რომლებიც ახალი ხელისუფლების მეგობრები, საახლობლო არიან, პრაქტიკულად, მეორე, მესამე კომპონენტს სხვა ვერცერთი თავისუფალი ადამიანი (სოფელი ხომ საერთოდ გამორიცხულია), ასევე, მცირე და საშუალო ბიზნესი, ვერ მიიღებს. იმიტომ, რომ ამ პირობებით კრედიტის მიღება შეუძლებელია. ბანკებთან ურთიერთობებით ჩვენი ბიზნესმენები გაწამებულნი არიან, მხედველობაში მაქვს საშუალო და მცირე ბიზნესი და არა ხელისუფლების მიერ შექმნილი პრივილეგირებული მონოპოლიური ჯგუფები, რომლებიც დღესაც მონოპოლისტები არიან. ამიტომ, ილუზიებით, სისტემურ კრიზისში მყოფი ქვეყნის გამოყვანა შეუძლებელია.

**— ანუ ერთმა მონოპოლისტმა უბრალოდ სახელი და გვარი ჩაანაცვლა. ნავთობპროდუქტის ბაზარზე ხომ რამდენიმე კომპანია ცდილობდა შემოსვლას, მაგრამ უშედეგოდ. რით აიხსნება ეს?**

— დიდ ბიზნესში დიდი ფულია საჭირო. პროდუქცია, რაც საზღვარგარეთ იყიდება — ნავთობპროდუქტები, მედიკამენტები და ა.შ. წინასწარ გადარიცხვებს, სერიოზული ხარჯების გაწევას მოითხოვს. ამისთვის, ქართულ ბანკებში, ახალ ჯგუფს, თუ ის პრივილეგირებული არ არის, ფულს არავინ მისცემს. ბანკები შვილობილ კომპანიებს, ასევე საკუთარ თავს აფინანსებენ, მათ ბანკები აღარც ჰქვიათ — ეს ფუნქცია დაკარგულია და ბუნებრივია, ისინი ბაზარზე ახალი, ძლიერი კონკურენტის გაჩენას არ დაუშვებენ.

**— ახლა ახსენეთ, ბანკები ძლიერი კონკურენტის გაჩენას არ დაუშვებენო. ეს ბანკები არ იყვნენ თავის დროზე ღიად რომ გაძარცვეს ქვეყანა?**

— სახელმწიფოს კორპორაციული მოდელის ჩამოყალიბების პროცესში, კორპორაციის სათავეში ამ კორპორაციის მფლობელები, ვიწრო წრე იყვნენ, რასაც „ნაც. მოძრაობა“ აკეთებდა და ეს არც არასდროს დაუმალავს. ეს მათი სახელმწიფო იყო, რომელიც „დიდმა კაცმა“ გადასცა. ამდენად ეს ვიწრო წრისთვის იყო განკუთვნილი. როგორ ფიქრობთ, ქვეყანაში ჯანსაღი მუშახელი მხოლოდ 27 პროცენტია?! ჯანმრთელი მუშახელის დანარჩენ 73 პროცენტს ხელფასი არ სჭირდება?! მაგრამ სამუშაო ადგილები როგორ შეიქმნებოდა, როცა ადამიანი იძულებული იყო სამშობლო დაეტოვებინა. ესეც ღრმად გამიზნული სტრატეგიის შედეგი იყო. ასე, რომ დღეს სამუშაო ადგილები, შეიძლება მხოლოდ აქტიური კერძო სექტორის იმედად შეიქმნას. სანამ ქვეყანაში მონოპოლიები იქნება, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, გამორიცხულია. ასევე, გამორიცხულია ბიზნესის განვითარება. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მთავრობას ილუზია არ ჰქონდეს, თითქოს ამ სიტუაციის შეცვლის გარეშე, რაიმე გაუმჯობესებას შემოიტანს. ეს მახინჯი სისტემა თუ არ დაინგრა, თუ საკანონმდებლო სივრცე არ მოწესრიგდა და სამართალი პრიორიტეტი არ გახდა, არაფერი გამოვა. კანონი არ შეიძლება უზენაესი იყოს, ერთადერთი უზენაესი სამართალია. დღეს თუ მთავრობა ნაკლებად ეფექტურია, სწორედ იმის ბრალია, რომ მას სამოქმედო განვითარების ერთიანი სტრატეგია არ გააჩნია, რომელიც ამ სტრატეგიიდან გამომდინარე, ყველა სახელმწიფო უწყებას აიძულებდა საკუთარი სამოქმედო გეგმები მიეღო და მკაცრად ემოქმედა. შეიძლება მთლიანი შიდა პროდუქტი შესანიშნავად იზრდებოდეს, მაგრამ სოციალური მდგომარეობა კატასტროფული იყოს იმიტომ, რომ ამას არ ახლდეს ეროვნული შემოსავლის სამართლიან გადანაწილებაში ის პასუხისმგებლობა და მოსახლეობის ფართო ფენებისთვის ხელმისაწვდომობა, როგორიც ცივილიზებულ დასავლურ ქვეყნებშია. მოკლედ, ჩვენ დასავლეთის მოდელი გვჭირდება და არა რუსთაველზე გეი-პარადები. გეი-პარადები — ეს განვითარების გვერდითი ეფექტებია და რაღა აქედან უნდა დავიწყოთ დასავლეთზე ორიენტაცია?!

**— თქვენ ახსენეთ, რომ სანამ მონოპოლიები გვაქვს, ქვეყანა ვერ იხეირებს. მთავარი პრობლემა ის ხომ არაა, რომ საზოგადოება ახალი ხელისუფლების მხრიდან მონოპოლიების დასრულების ეპოქის სურვილს ვერ ხედავს.**

— ცხადია, დღევანდელი გადასახედიდან თამამად შეიძლება ითქვას — ის, ვინც ფიქრობს, რომ მონოპოლიების მოსპობის სურვილი არ ჩანს, საკმარისად მაღალი ხარისხით მართალია. მაგრამ, ახლა სრულიად ახალ და საინტერესო რამეს გეტყვით — ეს შეფარული ნაღმია, რომელიც, როგორც მე ვხედავ, ახდენს ზოგიერთი მინისტრის საქმიანობაზე გავლენას — ესაა საიმპორტო საქონელთან დაკავშირებული მონოპოლისტური ბაზარი და ღრმად ვარ დარწმუნებული, იმპორტიორები ახალ მთავრობაზე ფარულ შანტაჟს ეწევიან. მთელი ქვეყანა იმპორტზეა ჩამოკიდებული, თუ აქ შიდაწარმოება — სოფლის მეურნეობა განვითარდება, სანამ ეს შედეგს მოგვცემს, იმპორტიორებმა შესაძლოა, უბრალოდ, ჩუმად შეკრან პირი, ბაზარზე აქტიური მოქმედება შეასუსტონ და ამით ბიუჯეტს სერიოზული პრობლემა შეექმნას, ანუ ბიუჯეტი ჩავარდეს. ჩვენი ბიუჯეტი ხომ თავიდან ბოლომდე ბლეფია. ეს ზე-მაღალიფასებიდან გამომდინარე მაჩვენებლები, ხომ ისედაც გაბერილია და რეალურ ეკონომიკურ მდგომარეობას არ შეესაბამება. ე.ი. მთავრობა ერთ სერიოზულ შეცდომას უშვებს — იგი ცდილობს 9 წლის მანძილზე მიღწეული „შედეგი“ ისე გააგრძელოს, რომ სისტემა არ დაანგრიოს. ანუ არ მოახდინოს გადაფასება, არ გააჩინოს ახალი ათვლის სისტემა, რაც ახალ მთავრობას ჯერჯერობით არ დაუსახავს. იგი მთლიანი შიდა პროდუქტის იმ ყალბ შეფასებას აკეთებს, რაც მონოპოლისტების მიერ შემოტანილი პროდუქციის ხარჯზე ხდება. იმპორტიორებმა პროდუქცია რომ არ შემოიტანონ და ისეთი მაღალი ფასებით არ გაყიდონ, ცხადია, ეს ეკონომიკაზე აისახება. ამიტომ გაუბედავი მინისტრები სერიოზული ცვლილებების, რეფორმების ჩატარებას შიშობენ, რადგან საწყის ეტაპზე შეიძლება პრობლემები გაჩნდეს. არადა, პრობლემები უნდა გაჩნდეს. სჯობს მთავრობა გაბედული იყოს, ახალი სისტემის აგება დაიწყოს, ვიდრე ხვალ თუ არა ზეგ ეს სიყალბე ქართულ ეკონომიკაში ისევ ბლეფის სექტორში დარჩეს, რითაც ქვეყანაში სოციალური პირობები ვერ შეიცვლება. მერწმუნეთ, 1-2 წლის მერე ქვეყანაში ისევ ასეთი განვითარება თუ იქნა, საზოგადოების დიდი ნაწილის დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი შეიცვლება.







**— რა გზით უნდა მოხდეს ცვლილება?**

— ერთადერთი გზა, რათა ქვეყანაში უკეთესი მდგომარეობა იყოს ისაა, რომ ადამიანმა იშრომოს. ვერანაირი პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, მთავრობა ადამიანების ნაცვლად ვერ იშრომებს და ქვეყანას კეთილდღეობას ვერ მოუტანს. მე თქვენ აგიხდენთ ოცნებას — ეს სრულიად გაუგებარი ფრაზაა, რადგან თქვენ მე ოცნებას ვერ ამიხდენთ. ჩემი მიზნები რომ ავიხდინო, უნდა ვიშრომო, შეძლებული ადამიანი უნდა ვიყო, სტაბილური შემოსავალი უნდა მქონდეს. ხალხში იმის მოლოდინი, რომ მთავრობა რაღაცას გააკეთებს და ჩვენ ისე, რომ არ ვიშრომებთ ძალიან კარგად ვიქნებით, დიდი ქართული ილუზიაა. ამიტომ ჩვენი მთავარი მოთხოვნა მთავრობისადმი უნდა იყოს ის, რომ მუშაობის საშუალება მოგვცენ. რომ ვიმუშავო ამისთვის სამართლებრივი სივრცე, საბანკო, სადაზღვევო სისტემა მჭირდება და არა ასეთი პარაზიტული მონსტრები, როგორებიც იმავე საბანკო, სადაზღვევო სექტორში არიან.

**— როგორც თქვით ჯერჯერობით 9 წლიანი რეჟიმის გაგრძელებაში ვარსებობთ...**

— იცით რაშია საქმე? — მოჩვენებითი სისტემა თუ არ დაინგრა, როგორ უნდა განვითარდეს ეკონომიკა? ის, რასაც დღეს მიღწევას ვეძახით თავიდან ბოლომდე ბლეფია. ჩვენ რა გვინდა — შევინარჩუნოთ იმპორტიორების დომინირებული მდგომარეობა და ასე ველოდოთ უკეთეს ცხოვრებას? სოფლის მეურნეობის მინისტრისა და მოადგილეების გადაწყვეტილება ზემოხსენებული პროგრამის განხორციელების შესახებ, იმპორტიორებისადმი ფარული, შენიღბული მხარდაჭერაა, რათა აქ ადგილობრივი არაფერი განვითარდეს. ამ გზით არაფერი განვითარდება, გარდა პრივილეგირებული ახალი ბიზნესჯგუფებისა, რომლებიც მინისტრთან და ბანკებთან ახლო ურთიერთობაში არიან. სოფლის მაცხოვრებელი ათიათასობით ადამიანიდან კი შეიძლება თითო-ოროლამ მიიღოს კრედიტი, ისიც ე.წ. პირველი კომპონენტის — 5 ან 10 ათასი ლარის ფარგლებში, რაც დღევანდელი სოფლის მეურნეობისთვის, თუ მას გაგრძელება არ ექნა, არაფერია. ამიტომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახლა კლასიკურ ბლეფს ემსახურება.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



# „მოქალაქეთა კავშირიც“, „ნაც. მოძრაობაც“ და „რესპუბლიკური პარტიაც“ სამთავე „თავისუფლების ინსტიტუტიდანაა“ გამოჭედილი, გამოდის, რომ „თავისუფლების ინსტიტუტი“ ხელისუფლებაშიცაა და ოპოზიციაშიც

*გვესაუბრება „ქართული დასის“ ხელმძღვანელი* ***ჯონდი ბაღათურია:***

— პარლამენტის მიმართ ხალხის მხრიდან უკმაყოფილების ასეთი სწრაფი ზრდა, წარსულში არ მახსოვს. შესაბამისად, შესაძლოა ახალი საპარლამენტო არჩევნების საკითხი ხალხში აქტუალური გახდეს. ამ აზრს ისიც ამყარებს, რომ საპარლამენტო შემადგენლობა საზოგადოებრივი განწყობების სრულიად არაადეკვატურია. ხალხს არც 53 წიკლაური და აკო მინაშვილი არ აურჩევია, რომლებიც პარლამენტში გაყალბების გზით მოხვდნენ, მაგრამ ჩვენში დარჩეს და არც უსუფაშვილი აურჩევიათ პარლამენტის თავმჯდომარედ. ხალხმა ხმა თავისუფლებას და მის სიმბოლოდ ქცეულ ბიძინა ივანიშვილს მისცა. მერე თვალი გაახილა და აღმოჩნდა, რომ ძალაუფლება აიღო არა ივანიშვილმა, არამედ „რესპუბლიკურმა პარტიამ“. შესაბამისად, მას შემდეგ რაც შემოდგომაზე, „ნაც. მოძრაობასთან“ საჩვენებელი კინკლაობა დასრულდება და სააკაშვილი უკვე ფორმალურადაც წავა, ძალიან არაადეკვატურ და დროსჩამორჩენილ პარლამენტს მივიღებთ. ეს წინა საუკუნის პარლამენტი იქნება. რეალურად, ახალი ეპოქა დადგა და ამ დროს პარლამენტის შემადგენლობა ძველი ისტორიიდან, დინოზავრების ეპოქიდან გვყავს. უკვე არის ეს განცდა. ხალხი, ვინც ახლა პარლამენტის ტრიბუნაზე ჩანს, ძალიან დაძველდა და ასევე დაძველდა მათი დამოკიდებულება საქმის მიმართ. ამიტომ, არ არის გამორიცხული ასეთი პარლამენტის დაშლის საკითხი დადგეს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ ვინ მართავს ქვეყანას? ჩვენს მხარს ვუჭერდით და ვუჭერთ პრემიერ-მინისტრს, მაგრამ უსუფაშვილს და ხიდაშელს მხარს ვერ დავუჭერთ. იმიტომ, რომ პირადად ჩემთვის და ქართველი საზოგადოებისთვისაც არსებითი მნიშვნელობა არ აქვს ხიდაშელის და უსუფაშვილის ჭკუაზე ივლის ქვეყანა თუ ჩერგოლეიშვილის და ბოკერიასი, ან აკო მინაშვილის თუ თეა თუთბერიძის. ცნობიერებით განსხვავება არაა, განსხვავება შეიძლება იყოს მხოლოდ სახელებსა და გვარებში, სიგრძე-სიგანეში. მათი ცნობიერება, მიღებული გადაწყვეტილებები საზოგადოების აზრით, სახელმწიფოს მიმართ მტრულია. მაგალითად, უახლესი გადაწყვეტილება — ევროპული ქარტიის რატიფიცირება, რომელსაც უსუფაშვილი და „რესპუბლიკელები“ ლიად ლობირებენ, სრულიად უპასუხისმგებლოა. ამან შესაძლოა ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირებები მოგვცეს. ავტომატურად გაჩნდება სამი ახალი ავტონომიის შექმნის მოთხოვნა. მოგწონთ ეს?! ხომ არ შეიძლება ყველაფერი იკადრო იმიტომ, რომ ვიღაცამ საზღვარგარეთ თავზე ხელი გადაგისვას.

**— ანუ გამოდის, რომ სახეცვლილი „ნაციონალური მოძრაობა“ მივიღეთ?**

— „ნაციონალური მოძრაობა“ არ მიგვიღია იმიტომ, რომ საპარლამენტო უმრავლესობაში ბევრი წესიერი ადამიანია, განსაკუთრებით „ქართულ ოცნებაში“. მაგრამ დღეს ის ხალხი, ვინც წესიერიცაა და კვალიფიციურიც, გადაწყვეტილებებს ვერ იღებს. ამას აკეთებენ „რესპუბლიკელები“ და ეს გადაწყვეტილებები სახელმწიფოებრივი არაა.

**— რაც შეეხება სამართლიანობას, რასაც ხალხი ელოდება და ეს მათი ძირითადი მოთხოვნა იყო, ხომ არ ხედავთ პრობლემას იმაშიც, რომ დამნაშავეების დაჭერის ნაცვლად, ახალი ხელისუფლება კოაბიტაციას გაიძახის და მგონი მზადაა ამ სისხლიან რეჟიმს ყველაფერი აპატიოს.**

— გეთანხმებით. მაკვირვებს, როცა ახალი ხელისუფლების მხრიდან, მესმის, რომ მათი საზრუნავი „ნაც. მოძრაობისთვის“ სახის შენარჩუნებაა. ეს რა ჩვენი საზრუნავია? ჯერ ერთი სად აქვს სახე „ნაც. მოძრაობას“. მათი სახე არის ჩვეულებრივი ბანდის სახე და ეს გვინდა, რომ შევინარჩუნოთ?

**— ამ ჩვეულებრივ ბანდიტებს, როგორც თქვენ „ნაც. მოძრაობას“ უწოდეთ, უფრო ღრმა ფესვებიც ხომ არ აქვთ. ბანდის მთავარი მეთაური შევარდნაძე ხომ არაა?**

— „მოქალაქეთა კავშირიც“, „ნაც. მოძრაობაც“ და „რესპუბლიკური პარტიაც“ სამთავე „თავისუფლების ინსტიტუტიდანაა“ გამოჭედილი, მათ სათავეში სწორედ ამ ორგანიზაციის იდეოლოგია უდგათ. მივიღეთ ასეთი მდგომარეობა — როცა ხალხს ეგონა, რომ ივანიშვილს ირჩევდა, ხელისუფლებაში „რესპუბლიკელები“ შერჩნენ, ოპოზიციაში კი — „ნაციონალები“. გამოდის, რომ „თავისუფლების ინსტიტუტი“ ხელისუფლებაშიცაა და ოპოზიციაშიც. ამიტომ, საზოგადოებაში გაჩენილი ეჭვები — ხომ არ აქვს ადგილი თამაშს, როდესაც პარლამენტში სრულიად გაუგებარ კინკლაობებს ვხედავთ, სრულიად საფუძვლიანია. ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა ეს ხალხის გართობის მიზნით იყოს პროვოცირებული. თუმცა, სიტუაცია იმით განსხვავდება, რომ უმრავლესობაში ბევრი კვალიფიციური ადამიანია და უნდა შეძლონ გადაწყვეტილებებზე გავლენის აღება. თავისთავად ივანიშვილმაც უნდა დაძლიოს, გაარღვიოს ეს ბლოკადა. თუ მას ამის სურვილი ექნება, ამაში ხალხის მხარდაჭერა ნამდვილად აქვს და ჩვენც დავეხმარებით, მონაწილეობას მივიღებთ. მას ექნება დასაყრდენი.

**— ბატონო ჯონდი, თქვენ ახსენეთ, რომ ამ პარტიებს ერთი იდეოლოგია აქვთ. ანუ გამოდის, რომ მათ ერთი ჭკუის მასწავლებელი ჰყავთ და გვარ-სახელების გარდა არაფერი შეცვლილა, თუმცა, რიგ შემთხვევაში ეს გვარ-სახელებიც იგივეა და უფრო მეტად ლეგიტიმურნიც კი გახდნენ, ვიდრე აქამდე.**

— დიახ, როგორც აღვნიშნე, „მოქ. კავშირსაც“, „ნაც. მოძრაობასაც“ და „რესპუბლიკელებსა“ ერთი დირექტორი ჰყავთ — „თავისუფლების ინსტიტუტი“. „ნაც. მოძრაობაშიც“ იყვნენ წესიერი ხალხი, მაგრამ, ძირთადად ერთი მუჭა ბანდა იღებდა გადაწყვეტილებებს. „ქართული ოცნების“ იმ დეპუტატებმა, ვისაც ხალხი ენდო, ასეთ მდგომარეობაში თავი არ უნდა ჩაიყენონ. ხალხს, რომ სცოდნოდა ხელისუფლების სათავეში „რესპუბლიკელები“ მოვიდოდნენ, როგორ ფიქრობთ, რამდენ ხმას მიიღებდა „ქართული ოცნება“? „რესპუბლიკელები“ ყოველთვის ვიღაცის ზურგზე იყვნენ შემომჯდარნი. „კუ და მორიელი“ ხომ გახსოვთ?! ზუსტად ისე იყვნენ „რესპუბლიკელებიც“ — ვისი ზურგითაც მდინარეზე გადასვლას ცდილობდნენ, მერე იმას კბენდნენ და შხამავდნენ. თავიდან „სახალხო ფრონტის“ — ნოდარ ნათაძის ზურგით იარეს, მერე „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“, მერე საააშვილის, მერე ოქრუაშვილის გაერთიანების ზურგზე ისხდნენ, მერე, ადგილობრივ არჩევნებში, ალასანიას ზურგზე ჯდომით შეინარჩუნეს კვალიფიკაცია და ახლა ივანიშვილის ზურგზე სხედან. ვერ გავიგე, ზურგით როდემდე უნდა ვატაროთ ხალხი, რომლებიც საშინლად ანტისახელმწიფოებრივად აზროვნებენ. ისინი, ხან ვის და ხან ვის მოჰყავს ზურგით და მერე იმ ხალხის განადგურებას იწყებენ, ვინც ისინი თავის ზურგით მოიყვანა.

**— ბანდის მთავარი მეთაური, ვინც ამ 9-წლიანი რეჟიმის შემოქმედი ხელისუფლად დაგვისვა, არ უნდა გასამართლდეს?**

— შევარდნაძის ყველაზე დიდი დანაშაული სააკაშვილის ხელისუფლებაში მოყვანაა. ედუარდის დროს არ ჩადენილა იმდენი დანაშაული, რაც სააკაშვილის მმართველობისას, მაშინ ამის მეათედიც არ ხდებოდა. სააკაშვილის დანაშაულობები სწორედ მის კისერზეა. შევარდნაძე ცდილობდა ჟვანიასთვის გზის გახსნას, მაგრამ ბოლოს სააკაშვილი მივიღეთ. არც ჟვანიას მოსვლის სურვილი არ გვქონდა, მაგრამ შევარდნაძემ ხელი შეუწყო მიშას მოსვლას და ამით ერის წინაშე დიდი დანაშაული ჩაიდინა. სააკაშვილი შევარდნაძის მინისტრი იყო და მას უალტერნატივოს ეძახდა, მაგრამ ახლაც სულაც არ რცხვენია, რომ მისი ლანძღვით იწერს ქულებს. ამ



ხელისუფლებაში ბევრი წესიერი მინისტრიცაა, მაგრამ ამომრჩევლები მეუბნებიან, რომ ზოგმა პარლამენტარმა, მინისტრმა ტელეფონის ნომრები შეცვალა. რაიონის მაჟორიტარები ხალხს საერთოდ არ გასაუბრებიან, არადა ისინი, წესით სახლში არ უნდა მიდიოდნენ, არამედ კარდაკარ უნდა დადიოდნენ. 2.100 ათასი ადამიანი სიღატაკის ზღვარს მიღმაა. ბავშვების 45 პროცენტი სიღატაკის ზღვარს მიღმაა, აქედან 15 პროცენტი შიმშილობს. წარმოგიდგენიათ, რა სახელმწიფო გვაქვს?! ამ ხალხმა აგირჩია და რა ნამუსით მოიწყვე ცხოვრება, ჩაჯექი ჯიპში და შეცვალე ტელეფონი, რომ იმ ადამიანის გაჭირვება არ მოისმინო? ნამუსი არ არის, პენსიონერს 125 ლარი აქვს პენსია, ესენი კიდევ თავიანთთვის მაღალი ხელფასების დანიშვნითა და ახლობლების დასაქმებით ვერ გაძღნენ. ქათამმა წყალი დალია და ცას ახედაო. ესენი პირდაპირ „სკარაბლია ნა ბალუ“ მოხვდნენ პარლამენტში.

**— ჯერჯერობით ქვეყნის გამანადგურებლების პარპაშს წერტილი არავინ დაუსვა. ასე თუ გაგრძელდა ისევ ახალი რევოლუციის საჭიროება ხომ არ დადგება?**

— დიახ, ამ ყველაფერს წერტილი არ დაესვა. იცით რა მოხდა? — ზევით მიმავალი რგოლი გაწყდა. მაგალითად, ბენზინის ბიზნესში ყველაფერი იგივე დარჩა, სახელი და გვარებიც იგივე დარჩა, ანუ ერთი სახელი და გვარი მოექცა სათავეში. შეიცვალა ის, რომ კეზერაშვილიდან ზევით, სააკაშვილამდე აღარ მიდის გზა. აი, ეს გაწყდა ახლა, მაგრამ ამით ხალხს რა შეღავათი, ბენზინის ფასი ხომ იგივე დარჩა, რაც აბსოლუტურად უსამართლო და უკანონოა. იმიტომ, რომ თვეში 24 მილიონი ახალმა კეზერაშვილმა წაიღო თავის ჯიბეში. ვერ გაძღნენ, ნამუსი აღარაა, ასე როდემდე უნდა გაგრძელდეს? ყველა სფეროში ასეა და ეს საბოლოოდ ძალიან ცუდ შედეგებს მოიტანს. ამიტომ, ვიმეორებ შემოდგომაზე ეს პარლამენტი სრულიად არაადეკვატური და არალეგიტიმური გახდება. პარლამენტი თავის შემადგენლობით შეიძლება ახლაც არალეგიტიმური იყოს, ამაში ხალხის მიერ არარჩეულ შემადგენლობას ვგულისხმობ, მაგრამ ეს თვალშისაცემი შემოდგომაზე გახდება. გადაწყვეტილებებს არამარტო ზედა დონეზე, არამედ ყველგან „რესპუბლიკელები“ იღებენ — ისინი თავის მეტასტაზებს ყველგან ავრცელებენ და რეალურად სახელმწიფოს მმართველობას ხელში იღებენ. მალე ხალხიც მიხვდება, რომ ივანიშვილი კი არა „რესპუბლიკელები“ იღებენ გადაწყვეტილებებს. ეს ხალხისთვის, ალბათ, ბოლო წვეთი იქნება, როცა მიხვდებიან რომ „რესპუბლიკური პარტია“ შეაპარეს, როგორც მმართველი ორგანო. ხალხის მრისხანებას ეს პარლამენტი ვერ აცდება.

**— რა მიმართულებით უნდა წასულიყო ქვეყანა, პარლამენტის მუშაობა?**

— ლევან ბერძენიშვილი და კიდევ რამდენიმე ჩემი კოლეგა ბრძნული სახეებით პრეზერვატივის ნაირსახეობებზე დიდხანს რომ დაობენ, ამის ნაცვლად პენსიების ნაირსახეობებზე უნდა ედავათ. უნდა იფიქრონ საპენსიო კანონზე, სასამართლო, ჯანდაცვის, განათლების რეფორმებზე. სტუდენტები ტოვებენ სასწავლებლებს იმიტომ, რომ ბენდუქიძის და სააშვილის სპეკულაციურად გაზრდილ მაღალ ფასებს ვერ იხდიან. იკადრონ და კვირაში ერთხელ მაინც შეხვდნენ ხალხს, ნუ იმალებიან და გაფხორილი ინდაურებივით ნუ დადიან. ისიც კარგად გაიხსენონ, ვინ მისცა მათ ამ გაფხორვის საფუძველი — ამ ხალხმა, ხომ ვინც აირჩია? — გამარჯობა მაინც უთხარი ამ ხალხს, შე დალოცვილო!

**თამარ შველიძე**
**555 23 28 24**




# ქალთა კონსულტაციის გვერდით „მრავალპროფილიანი“ ბორდელია გახსნილი?

## რა ხდება „საეკლესიო სასტუმრო“ „ნოეს კიდობანში“?

ძვირფასო მკითხველო! გსმენიათ ოდესმე, რომ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მიკრორაიონის I კვარტალში კორპუსი „ე“-ში „ნოეს კიდობანი“ რეალურად არსებობს? თუ დამიჯერებთ, არსებობს, მაგრამ თანამედროვე კიდობანში საუნა, მასაჟი, სექსუალური აქტისთვის ოთახები და თქვენ წარმოიდგინეთ, ქალებისთვის გინეკოლოგიური კონსულტაციების სამედიცინო დაწესებულებაცაა განთავსებული, და იქ თანამედროვე ნოე ლევან მამალაძე კაპიტნობს. ნოელევანას სძულს ჟურნალისტები, სძულს თავისი თანამშრომლები და მეტიც, არც მუშტი-კრივზე ამბობს უარს, თუკი შეამჩნია, რომ საკუთარი „კიდობანი“ რყევას იწყებს.

„ქალბატონო, მე თქვენ ინტერვიუს არ მოგცემთ“ — გამოაცხადა „თანამედროვე ნოემ“ და კარი ცხვირწინ ისე მომიჯახუნა, ნახევრად შედგმული მარჯვენა ფეხი კინაღამ მომატეხა. ამ ფაქტს ტელეკომპანია „მაესტრო“ და „მე-9“ არხიც ილებდნენ, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ჟურნალისტებზე განხორციელებული ძალადობის ფაქტი ამ არხების კორესპონდენტებმა საკუთარ სიუჟეტში, თუნდაც ერთი ფრაზით გააჟღერეს, რომ აღარაფერი ვთქვა „ნოეს“ მხრიდან ნაცემი თანამშრომლის ფაქტზე, რომელიც „კიდობანის“ შესასვლელში დააგდო და აქეთ ადანაშაულებდა — პროვოკატორი ხარო. მოკლედ, „საერთო გაზეთი“ გასულ კვირას „ნოესთან“ გასასაუბრებლად მივიდა, მაგრამ ბატონმა „ნოე“ მამალაძემ სულ „მოსყიდული, არაობიექტური, მიკერძოებული და პროვოკატორი“ მიწოდა, არადა, ღმერთია მოწმე, წესიერად რომ მოქცეულიყო, მასთან ვრცელი ინტერვიუს ჩაწერას ნამდვილად ვგეგმავდი...




ახლა რატომ ვაპირებდი „ნოეს კიდობანისა“ და ქალთა კონსულტაციის ბედით დაინტერესებას — არ იკითხავთ?

იმიტომ, რომ „საერთო გაზეთს“ ექიმთა ჯგუფმა მოაკითხა და გვთხოვეს წარსულში, №37 პოლიკლინიკის პრივატიზაციის შემდგომი სავალალო ვითარება მოგვეკვლია, შემდგომ, საზოგადოებისა და პროკურატურისთვის მოგვეწონებინა — არსებული მდგომარეობით დაინტერესებულიყვნენ და ეს ყველაფერი გაზეთის ფურცლებზეც დაგვეფიქსირებინა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში, „საერთო გაზეთმა“ მართლაც ჩაატარა ჟურნალისტური მოკვლევა და აღმოვაჩინეთ, რომ №37 პოლიკლინიკა 1997 წელს პრივატიზაციის ნუსხაში მოხვდა და 51 პროცენტის მფლობელი, სწორედ ის „ნოე“ აღმოჩნდა, რომელზეც ზევით უკვე გესაუბრეთ. დანარჩენი 49 პროცენტი ექიმებს ერგოთ, მაგრამ ბოლოს ლევან მამალაძემ ისე „ივაჟკაცა“, რომ 61 პროცენტის მფლობელიც გახდა და თავისი წილი აქციების საფასურიც ექიმებს, ანუ იმ ქალბატონებს გადაახდევინა, რომლებიც უკვე დღეს პროკურატურაში საჩივარს საჩივარზე აგზავნიან, მაგრამ უშედეგოდ...

გასულ კვირას გამწარებულმა ექიმებმა საპროტესტო აქცია მოაწყვეს და პროკურატურას კიდევ ერთხელ მოუწოდეს, დაინტერესდეს აღნიშნული პრობლემით, მაგრამ ძირითადი პრობლემის არსი იცით, რაში მდგომარეობდა? იმაში, რომ ქალთა კონსულტაციის ფართი 740 კვ. მ. თანამედროვე „ნოემ“, ანუ ქალთა კონსულტაციის მთავარმა ექიმმა ლევან მამალაძემ შუაზე გაყო და თვითნებურად, აქციონერებთან შეთანხმების გარეშე, მეორე ნაწილში სასტუმრო გახსნა, რომლის მთავარი შესასვლელი ქალთა კონსულტაციის საზიაროა! აღნიშნული სასტუმროს ბატონმა ლევანმა „ნოეს კიდობანი“ დაარქვა, მაგრამ როგორც ამ კორპუსის მკვიდრი მოსახლეობა ჩემთან ინტერვიუში აცხადებს —„მამალაძის კიდობანში მარტო ბოზები და ჰომოსექსუალები დაიან. ხოლო ჩვენი შვილები იმიტომ, რომ სასტუმრო პირველ სართულზეა და დაბალი ფანჯრები აქვს, იჭყიტებიან შიგნით და ათას გარყვნილებას უყურებენ. ბოლო-ბოლო მაგის შიშით ჩვენი შვილები ეზოში ველარ უნდა ჩავუშვათ?“ — მეუბნება ნინა რიბაკოვა და თან დასძენს, რომ მთავარი ექიმი, ყოველ ახალ უკანონობაზე, აქეთ აშანტაჟებს მათ და ეუბნება, რომ — ფეხებსაც ვერავინ მოსჭამს! „მომისმინე გენაცვალე“ — მომმართავს ახალგაზრდა ქალი მაია გულესაშვილი —„ამ არაკაცმა ერთხელ გვითხრა ეს სასტუმრო საპატრიარქოს ხელშეწყობით გავაკეთე, ეს საეკლესიო სასტუმროა და ღმერთის უნდა გეშინოდეთ, ჩემი მისამართით ასე, რომ ინტრიგნობთო. არადა, როცა რემონტი დაიწყო, „პადვალში“ სულ მონაგრია საყრდენი ბოძები, სახლები დაგვებზარა, წყლის მთავარი ვინტილი მაგის ტერიტორიაზეა და როცა ავუმხედრდებით ხოლმე, პროტესტის ნიშნად წყალს გვიკეტავს, ღირსები არა ხართო.

აი, ნახეთ, მაგისი სასტუმროს აბრა რომ კარგად გამოჩნდეს რამდენი ხე მოჭრა და გაანადგურა? სად არის მთავრობა, პოლიცია, პროკურატურა და „მწვანეები“, ამის უკანონო ქმედებებს, რომ ვერაფრით მოერია? ნახეთ, ახლა გარეთ გამოდის, იცის რომ ყველაფერს გიყვებით და ფრთხილად იყავით, ჩამწერი არ გაგიტეხოთ... მართლაც, შეღებული კარიდან ლევან მამალაძე პირდაპირ ჩემსკენ წამოვიდა და შორიდან ირონიულად მიყვირის: „ქალბატონო, ეს საეკლესიო სასტუმროა, შემობრძანდით და ნახეთ, რამდენი ხატი და სამლოცველო კუთხე გვაქვს, არ გაინტერესებთ?

— „საეკლესიო სასტუმრო“ რას ნიშნავს?

— არაკვალიფიციური შეკითხვა, „პაზორ“, შეკითხვის დასმაც არ იცით, რა?

— თქვენი თანამშრომლები რატომ არიან საპროტესტოდ გამოსული, ლოცვის საშუალებას არ აძლევთ თუ სანთლის დანთების?

— ისინი მიიღებენ იმას, რასაც დავპირდი, დავხურავ ამ კონსულტაციას და მერე იმიტინგონ, უმუშევრები რომ დარჩებიან, გამიგეთ? ესენი არიან ახალი ხელისუფლების მოწინაალმდეგეები და უნდათ, რომ ასეთი აქციებით საბოტაჟი მოუწყონ ივანიშვილს...

— მათ ჩემთან საუბარში თქვეს, რომ პირიქით, თქვენ ხართ „ნაციონალების“ ქოლგის ქვეშ და ამიტომაც გპატიობდნენ ყველაფერს. ისიც მითხრეს რომ ყოფილი ჯანდაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი თქვენს უკანონო ქმედებებზე ყოველთვის თვალს ხუჭავდა და თქვენი ძალიან ახლო მეგობარი იყო, მართალია?




— თქვენ ჟურნალისტი არა ხართ, თქვენ „ბაზარნიცა“ ხართ და ჭორებით მესაუბრებით, ვსიოია ზაკონჩილ რაზგავორ, კომენტარი ბოლშე ნე ბუდეტ!

ამ დროს შეკრებილ ხალხს, ერთი ქალბატონი გამოეყო და „მთავარ ნოეს“ დაუყვირა — „აქ კაცების ბორდელი რომ გახსენი და შენი სუტენიორი მძღოლები დღედაღამ რომ ატარებენ ხან ქალებს და ხან — კაცებს, ეგეც ტყუილია? აგე, სურენა ახლაც აქა დგას, არადა, გუშინ ორი კაცი რომ შემოიყვანა შენს სასტუმროში, ბალკონიდან დავინახე. ქალთა კონსულტაციაში ჩემი ქმარი აღარ მიშვებს, ვიღაცამ რომ დაგინახოს მაქედან გამოსული, ბოზი ეგონებიო და ეგეც ტყუილია? ფუი, შე ღორო, ფულის გულისთვის ყველაფერს რომ კადრულობ, გაიგე?

მანანა ვახტანგიძე, ექიმი: ქალბატონო, სასტუმრო „ნოეს კიდობანი“ ევრორემონტით იწონებს თავს, ხოლო ჩვენს ფლიგელში, ანუ ქალთა კონსულტაციაში იატაკი ლპება და ეს არაკაცი ხელოვნურად ქმნის ისეთ სიტუაციას, რომ სულ მალე გაკოტრების რეჟიმში გადაიყვანოს ჩვენი სამედიცინო დაწესებულება. ამას წინათ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან გამომძიებელი ნიკოლოზ ნოზაძე გამოგვიგზავნეს. ბატონმა ნიკამ, როდესაც ჩვენი საქმე შეისწავლა, თქვა: „სისხლის სამართლის საქმეს აუცილებლად აღვძრავთ, რადგან დანაშაულის ნიშნები აშკარად სახეზეაო!“ მეორე მისვლაზე გვითხრა: „კი, ბატონო, დანაშაული სახეზეა, მაგრამ 280-ე მუხლი ამნისტირებულია და რა ვქნათო? მესამე ჯერზე კი, წერილობით გვამცნო, რომ დანაშაული არ არის, საქმე შეწყდაო! კი, მაგრამ, დანაშაული დღემდე რომ გრძელდება, ლევან მამალაძის აღვირახსნილობას დღემდე ბოლო რომ არ უჩანს, ეს დანაშაული არ არის? ბოლოს და ბოლოს ვინ მფარველობს ასეთი ამ კაცს, რომ ვერც ერთი მთავრობის დროს დანაშაული ვერ უმტკიცდება? მოვუწოდებ ახალ ხელისუფლებას, რომელსაც ჩვენ ხმა მივეცით და რომლისაც გვწამს, სასწრაფოდ გამოგზავნონ შესაბამისი კომისია და ერთხელ და სამუდამოდ გაერკვიონ, ამ საქმეში ვინ არის მტყუან-მართალი და ვინ არის „ნოეს კიდობანში“ მოკალათებული კრიმინალი. მინდა იცოდეს ყველამ, რომ ჩვენ, მხოლოდ ამ აქციით არ შემოვიფარგლებით და თუ საჭირო გახდება, ბიძინა ივანიშვილსაც შევხვდებით! შევხვდებით ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოსაც და კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესაც, რომელთან ახლო მამაშვილურ კავშირსაც ლევან მამალაძე ყოველდღიურ რეჟიმში გვახსენებს. დიახ, ყველას შევხვდებით და მოვუყვებით ამ თაღლითი ადამიანის „საქმეთა საგმიროთა“, რათა ერთხელ და სამუდამოდ დაესვას წერტილი ყველაფერს, რაც აქამდე შერჩენია.

„საერთო გაზეთი“ აუცილებლად მიადევნებს თვალ-ყურს ქალთა კონსულტაციაში და „ნოეს კიდობანში“ განვითარებულ მოვლენებს, იქამდე კი იმედს ვიტოვებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროც დაინტერესდება, რეალურად რა ხდება სახელგანთქმულ „ნოეს კიდობანში“, რომლის მისამართია — ვარკეთილი — მე-3 მასივი I კვარტალი, კორპუსი „ე“.



საქართველოს მთავარ პროკურორს
ბატონ არჩილ კბილაშვილს

ცისანა კვინიკაძის, მანანა ვახტანგაძის,
მანანა ძიძიკაშვილის, ნათელა მთავარაშვილის
ნელი წიქარიშვილის, ლიანა თიგიშვილის,
ირმა მაისურაძის, შაია მორბედაძის,
მარინა მურადაშვილის, ზინაიდა ყარყარაშვილის,
სურაია ხახუაშვილის
თბილისი, წერეთლის გამზირი 101, ბინა 3
მობ: 551-15-53-53, 599-51-52-38

განცხადება

2012 წლის 08 მაისს მივმართეთ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს და მივუთითეთ სს "მამალაძეში" ლევან მამალაძის მიერ განხორციელებულ ფინანსურ დარღვევებზე, თუმცა ჩვენი განცხადება არ აღმოჩნდა რატომღაც საინტერესო სათანადო ორგანოებისათვის შერჩევითი მართლმსაჯულების გამო.

ქვეყანაში დაწყებული ძირეული ცვლილებებიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებებთან მიმართებაში, მოგმართავთ, განიხილოთ ჩვენი განცხადება დანაშაულებრივი ფაქტების გამოძიების გზით, რათა მოხდეს დამნაშავის დასჯა და ჩვენი უფლებების აღდგენა.

**განმცხადებლები წარმოვადგენთ თბილისში, III მასივში, 1-ლი კვარტალი, კორპუსი „ე" და „დ"-ში არსებული 712 კვ.მ. ფართში ყოფილი მე-7 ქალთა კონსულტაციის ბაზაზე არსებული სააქციო** საზოგადოება "მამალაძე და კომპანიის" 0,76%-ის მქონე აქციონრებს (მანანა ძიძიკაშვილი 1,52%-იანი, ცისანა კვინიკაძე 7,8%-იანი), ხოლო ლევან მამალაძე იყო რა მე-7 ქალთა კონსულტაციის მთავარი ექიმი, პრივატიზაციის შემდგომ 1997 წლიდან 2012 წლამდე სს "მამალაძე და კომპანიის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა, დედამისი ლარისა მამალაძე კი სამეთვალყურეო საბჭოს 3-წევრიდან ერთერთი წევრი და რევიზორ-კონტროლიორი გარდაცვალებამდე დაახლოებით 2005 წლამდე.

ლევან მამალაძე იყო რა მე-7 ქალთა კონსულტაციის მთავარი ექიმი ჯერ კიდევ 1997 წლამდე, კონსულტაციის პრივატიზაციამდე მიზანმიმართულად განახორციელა დანაშაულებრივი ქმედებები, რაც გამოიხატა მის მიერ ქალთა კონსულტაციის პრივატიზაციის პროცესში აქციონერთა ვინაობის თვითნებური განსაზღვრით, საკონტროლო პაკეტის უკანონოდ (ნაცვლად 51%-ისა 61%-ის), ჩვენი თანხმობის გარეშე მოპოვებით—მოტყუებით, საჭიროების შემთხვევაში ნეწოლისა და მუქარის გზით, ხოლო კონსულტაციის პრივატიზაციის შემდგომ იმავე პროფილის საკუთარი შპს "მედელანა"-ს განთავსებით და სს-ის ხელოვნურად წამგებიან ორგანიზაციად ჩამოყალიბებით. ასეთივე მეთოდით მიითვისა მან ცისანა კვინიკაძის 0,76%-იანი წილი.

სს "მამალაძე და კომპანია" 2012 წლის 02 ოქტომბრიდან რეორგანიზაციის პროცესშია, სააქციო საზოგადოება დაიწყო 2- დამოუკიდებელ კერძო სამართლის იურიდიულ პირად, შპს "ელემი", რომლის დირექტორიცაა ლევან მამალაძე, შპს "მომავალი", რომლის დირექტრიცაა სააქციო საზოგადოების ბუღალტერი, მარიამ პაველიაშვილი, ლევან მამალაძის მარჯვენა ხელი.

2012 წლის 02 ოქტომბრიდან ლევან მამალაძე არის სს "მამალაძე და კომპანიის" დირექტორი.

ირინე გოგოსაშვილი
555 25 43 35

29 მარტს, დაახლოებით ღამის 11 საათზე საინფორმაციო სააგენტო „ნიუ პოსტმა“ (**ლაშა ბერულავა**) სოციალურ ქსელების მეშვეობით გაავრცელა ინფორმაცია სათაურით „მოძრაობა „ლაზარე“: ხარების დღესასწაულზე თინა ხიდაშელი იეღოველთა კონგრესს ატარებს“.

წინა დღეს კოალიციამ ნაძალადევის რაიონის დეპუტატობის მაჟორიტარ კანდიდატად **თამარ კორძაია** დაასახელა, აღნიშნული ორი, ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული საკითხი მიზეზთა გამო ერთმანეთს მიება და საზოგადოების განსჯის საგანი გახდა.

„ბატონო ბიძინა! რატომ გვატენით „რესპუბლიკელებს“ დეპუტატებად? კორძაია, ისევე, როგორც ყველა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წევრი, რომ შეფარული „რესპუბლიკელია“, ხოლო „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ კი, ფაქტობრივად, რესპუბლიკური პარტიის ახალგაზრდული ფრთაა, ნუთუ თქვენთვის ცნობილი არ არის?

თანაც ეგღა გვაკლდა ნაძალადეველებს კორძაიას დავემორჩილოთ, ნაძალადეველებს გონიერი არჩევანის საშუალება გეძლევათო. თუ მართლა მოგვეცა თავისუფალი და თანაც გონიერი არჩევანის საშუალება, ეგ ქალბატონი არ გახდება დეპუტატი, ამაში ეჭვი არ შეგეპაროთ!“ — პირველი მყისიერი სიტყვა ჟურნალისტმა, ბატონმა **ფრიდონ დოჩიამ** თქვა და მიჰყვა და მიჰყვა...

*(„საია“-ს თავმჯდომარე კახა კოჟორიძე რომ საიდუმლოდ ხვდება სასტუმრო ნომერში გიგა ბოკერიას და დავით ბაქრაძეს, ეს კიდევ ცალკე საკითხია)*

„ეს ქალბატონი თბილისური საზოგადოებისა და მით უფრო საქმეში ჩახედული ადამიანებისთვის ცნობილია, როგორც „ელიტური ენჯეოშნიკი“ და იმ მარაქის ავანგარდისტი, რომელიც საქართველოში ასე წარმატებით იცავს იეღოველების, პედერასტების, ლესბოსელების და სხვათა შორის, იმ მკვლელების უფლებებს, რომლებმაც 2011 წლის 26 მაისს რუსთაველზე სისხლის კალო გალეწეს და მთელ ქართველ ერს სულში ჩააფურთხეს!..

როდესაც ამ სტრიქონების ავტორმა ბაჩო ახალაიას პირადი ქილერებისგან დაკომპლექტებული სპეცრაზმელების, ე.წ. თინგიზ შაინიძის სრული სია და ფოტოსურათები გამოვაქვეყნე და თან დავაყოლე — ქართველებო, აი, ეს ხალხი გაგვისწორდა 26 მაისს და მკვლელებს ნურც ყაზახეთში და ნურც უკრაინაში ნუ ეძებთ-მეთქი, ქალბატონი თამარის „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ“ ტანზე ყველაფერი შემოიხრდღნა და ერთი ამბავი ატეხა...

„კორძაიამ და კომპანიამ“ იგივე დღე დააწია ზაზა დავითაიასაც, რომელმაც იმ ჯალათებისა და მწვალებლების გვარ-სახელები და მისამართები გამოამზეურა, რომლებმაც მთელი საქართველო ცოცხზე წამოაცვეს!..

თამარ კორძაია ჩამოყალიბებული იდეოლოგიის მატარებელია. მისი სახით ჩვენ გველაპარაკება ავადსახსენებელი თავისუფლების ინსტიტუტის დირექტორი **ლევან რამიშვილი** და ილიაუნის სრული პროფესორი, წერა-კითხვის მცირედ მცოდნე

# „ჩარეცხილებიდან“ „ძონძებამდე“



თეა თუთბერიძე. ქალიანაც რომ ეცადოთ, მათ აზრებს და შეხედულებებში რაიმე განსხვავებას ვერ აღმოაჩენთ და საკითხავია, რა დამსახურების გამო შეაჩერა მასზე ყურადღება „ქართულმა ოცნებამ“.

ბუნებრივად დაისმის კითხვა: — ვის დაუჭირა საქართველოს მოსახლეობამ 1 ოქტომბრის არჩევნებში მხარი, ბიძინა ივანიშვილს თუ „რესპუბლიკურ პარტიას“, რომლის კადრებშიც კოალიციაში ირაკლი ალასანიას შერისხვის შემდეგ მთელ საქართველოს ქვედა თუ ზედა რგოლებში კალიასავით მოედო?“

„როდესაც ბიძინა ივანიშვილმა „რესპები“ დაასახელა საკუთარ პარტნიორებად, ბევრი ჩვენგანი შოკში ჩავარდა, რადგან ვერ გაგვეგო, სად ეროვნული, სამების აღმშენებელი ბიძინა და სად ნულოვანი რეიტინგის, ანტიეროვნული, ეკლესიების მნგრეველი „რესპუბლიკელები“?

მაშინ ვწერდი, რომ „რესპებთან“ ფლირტი ბიძინასთვის ანტურაჟია-მეთქი დასავლეთის გულის მოსაგებად, დიდი-დიდი, პატარა ფრაქცია ექნებათ პარლამენტში და ლიბერასტულად იწკმუტუნებენ-მეთქი.

ახლა რა მივიღეთ? პრაქტიკულად, „რესპები“ მართავენ ქვეყანას და მე მგონი, მაშინ ვცდებოდი — ბიძინას ზურგსამოფარებულები შევიდნენ პარლამენტში და თავზე დაგვაჯდნენ ლიბერასტული იდეოლოგიით!

მე მგონი, პირიქით არის და ბიძინა ყოფილა „რესპების“ ანტურაჟი ქართველი ხალხის გასაცურებლად.

რაც დრო გადის, სულ უფრო ვრწმუნდები, რომ ამერიკელების დაკვეთა იყო „რესპების“, ამ ნულოვანი რეიტინგისა და ანტიეროვნული პარტიის ხელისუფლებაში მოყვანა, რაც წარმატებით განხორციელდა 1 ოქტომბერს.

„რესპები“ რომ აკონტროლებენ და მართავენ პარლამენტს, ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს და ამბობენ, აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც აფათურებენ ხელსო...“

„საქართველოს წარუმატებლობა ასეთი მუტანტების ხელში გარდაუვალია და როდესაც ასეთი პირების კარიერულ აღმასვლას დუმილით ხვდებით, ისიც უნდა იცოდეთ, რომ ამით ქართველობას მომავალს უკარგავთ!“ — წერს **სანდრო ბრეგაძე**.

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დაპირება იყო, რომ მომხდარიყო სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟი და ქართველმა ხალხმა ამ პარლამენტს ხმა მისცა ამისთვის. ეს არის ამომრჩევლის უხეში ფორმით მოტყუება. ძალიან საინტერესო კონფიგურაცია გვაქვს პარლამენტში — ტრადიციული ძალა არის „რესპუბლიკელები“ და „ნაციონალური მოძრაობა“. იქ მყოფი ძალები არ არიან განწყობილი რეფორმებისთვის და სააკაშვილის რეჟიმის ძირეულად აღმოფხვრისთვის.

ბიძინა ივანიშვილი იერარქიით არის ქვეყნის მესამე პირი, შესაბამისად, ივანიშვილი კარგავს სადავეებს პარლამენტზე, რაც მოსალოდნელი იყო. ერთია წინასაარჩევნო მდგომარეობა, მეორეა მდგომარეობა, როდესაც პოლიტიკური ძალა სახელმწიფო მართვის ინსტრუმენტებთან დგას.

ახლა მივიღეთ ასეთი სიტუაცია — ის ხალხი, ვინც ივანიშვილის ხატით აირჩიეს, მჭიდრო კავშირში შევიდა იმ ხალხთან, ვისი სიძულვილითაც ისინი აირჩიეს...“ — აცხადებს **სოსო მანჯავიძე**.

„მე საბურთალოელი ვარ, ვიყავი №52 საარჩევნო უბნის კომისიის მდივანი. ხმამაღლა ვაცხადებ, მაჟორიტარზე არ მქონდა უფლება და არც მივცემდი ხმას „უსუფას“, მაგრამ უმრავლესობამ ბიძინას გამო მისცა ხმა – ასე აიხდინა ოცნება. ხალხს იმედად უნდოდა ფაშისტების განდევნა, რომ სხვა გზა არ ჰქონდათ, ზიზღით ხაზავდნენ „უსუფას“. რა ვიცოდით, პარლამენტშიც თუ დაგვასვამდა თავზე. პირადად მე ერთი ადამიანი არ მინახავს, მისი ან მისი მეორე ნახევრის მიმართ სიმპათიებით განწყობილი“ — წერს **ლიკა-ლილე გოცირიძე**.

როგორ განვითარდა დასაწყისში ნახსენები საკითხების გარშემო შემდგომი მოვლენები, ყველასთვის ცნობილია, ამდენად, ყურადღებას მხოლოდ ერთ ე.წ. „პოსტზე“ გავამახვილებ.

თვით „ეჭვმიტანილმა“ თინა ხიდაშელმაც ფეისბუქით გაავრცელა: — „მგონი, ვბრაზდები :) მეგონა, ასეთ ამბებზე აღარ ვრეაგირებდი :) კიდევ კარგი, რომ თბილისში არ ვარ :) მაგრამ დღეს ხომ ჩამოვალ და ეს ლაშა ბერულავა მინდა გავიცნო და ვინმე არ დამეხმარებით :( ისე, არა მხოლოდ ბერულავა, თავად „ლაზარე“ გამომეხმაუროს, ტელეფონის ნომერი და სახელი და გვარები მინდა ამ დასახელების უკან მდგომი ადამიანების :) ისე, სალამოობით დავფრინავ ხოლმე და მერიდეთ :((((

ძონძები. ძალიან ვარ გაბრაზებული. აი, ძალიან, ძალიან ცეცხლებს რომ ყრის, ისეთი სმაილიკი.“

თინა ხიდაშელის კი არა, ნებისმიერი ადამიანის გულისწყრომაა გასაგები, როდესაც ცილს სწამებენ, მაგრამ ამ შემთხვევაში, ქალბატონი ხიდაშელი „ნებისმიერი ადამიანი“ კი არა, საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წარმომადგენელია, ხელისუფლებას წარმოადგენს. ამდენად, აბსოლუტურად ნეიტრალური პოზიციის მქონე ადამიანების უარყოფითი ემოციაც კი გამოიწვია მისმა ერთმა სიტყვამ „ძონძები“.

და ვინ არიან ძონძები? — ვინაიდან მრავლობით რიცხვია გამოხატული, ალბათ, სავარაუდოდ, საზოგადოება „ლაზარე“ იგულისხმება და არა ერთი პირი, ვთქვათ, იგივე ლაშა ბერულავა.

სხვაზე რომ არაფერი ითქვას, ქალბატონ ხიდაშელს ყველაზე უკეთ მოეხსენება, რომ ადამიანთა ნებისმიერი გაერთიანების „ძონძებად“ მოხსენიება მისი ამჟამინდელი სტატუსიდან გამომდინარე, უარყოფითად აისახება, როგორც მისი პარტიის, ისე მის ე.წ. პოლიტოჯახზე, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილზე და აი, აისახა კიდეც.

საიდან გაჩნდა ინფორმაცია იაღოველთა კონგრესთან ხიდაშელის კავშირის შესახებ, დაუდგენელია, მაგრამ ის კი „დადგენილია“, რომ ხიდაშელის მიერ წამოსროლილი თუ შეგნებულად ნათქვამი სიტყვა „ლაზარეს“ დარბაზში გაერთიანებული ინტელიგენციის მიმართ, „ძონძები“, იგივე დატვირთვისაა და შინაარსის მატარებელია, როგორისაც სააკაშვილის მიერ ნათქვამი „ჩარეცხილები“, ასევე ინტელიგენციის მიმართ.

## კოალიცია „ქართულ ოცნება“ საპრეზიდენტო კანდიდატს შიდა კონსულტაციების შედეგად გამოავლენს

საქართველოს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას განცხადებით, კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ საპრეზიდენტო კანდიდატის შერჩევასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები ჯერ არ დაწყებულა. ეს განცხადება ალასანიამ დღეს სამინისტროში ჟურნალისტებთან შეხვედრისას გააკეთა.

მისი თქმით, კოალიცია „ქართული ოცნება“ საპრეზიდენტო არჩევნებისათვის კანდიდატს შიდა კონსულტაციების შედეგად გამოავლენს და ე.წ. პრაიმერის მეთოდს, ანუ შიდა არჩევნებს არ გამოიყენებს.

ალასანიამ კომენტარი სახელმწიფო ხელისუფლების მოწყობის მოდელზეც გააკეთა.

როგორც ცნობილია, თავისუფალი დემოკრატები კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ ერთადერთი პოლიტიკური ძალაა, რომელიც მხარს არა საპარლამენტო რესპუბლიკას, არამედ საპრეზიდენტო მოდელს უჭერს.

ალასანიას თქმით, მათ აქვთ თავისი არგუმენტები, თუ რატომ უნდა იყოს ისეთი ტიპის ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, საპრეზიდენტო მოდელი აპრობირებული.

„თუმცა ეს ჩვენი აზრება არ არის“, — განმარტა მან.

ალასანიას თქმით, იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების დიდი ნაწილი ქვეყნის მოწყობის საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელს დაუჭერს მხარს, თავისუფალი დემოკრატები ამ პროცესს არ შეეწინააღმდეგებიან.

## სარფის საბაჟოზე თურქეთის მოქალაქეს მარიხუანა უპოვეს

სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტზე, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა 2,8 გრ. ნარკოტიკული ნივთიერება, მარიხუანა აღმოაჩინეს.

შემოსავლების სამსახურის ცნობით, 2013 წლის 02 აპრილს დაახლოებით დილის ორ საათზე სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით, საქართველოში თურქეთიდან თურქეთის მოქალაქე ი. ფ. შემოვიდა, რომლისაც პირადი დათვალიერების შედეგად ჯიბეში, სიგარეტის კოლოფშინარკოტიკული საშუალება, მარიხუანა უპოვეს.შემდგომი რეაგირების მიზნით, საქმის მასალები კრიმინალურ პოლიციას გადაეცა.

# „უამრავი რამ მაქვს სათქმელი, მაგრამ ცოდო ხართ შენც და ხალხიც“...

**„საერთო გაზეთის“ სტუმარია სამოქალაქო მოძრაობა „სიცოცხლისათვის“ თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ყორღანაშვილი.**



**– „არა კოჰაბიტაციას!“ „1 ოქტომბერს მე არ ამირჩევია „რესპუბლიკელები!“ და ა.შ მსგავსი საპროტესტო შინაარსის მატარებელი ლოზუნგი თუ მოწოდება გახშირდა, რას იტყვით, რეალურად რა სურათი მივიღეთ 1 ოქტომბრის შემდეგ.**

– რამდენი წელია უკვე, რაც ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აკეთებს ყოველწლიურ ანგარიშს და 2008 წლის ომის შემდეგ ითქვა, კიდევ კარგი, NATO-ში არ იყო საქართველო, თორემ შეიძლება, მსოფლიო ომს ვერ გადავრჩენლიყავითო და უკვე 2011 და მერე 2012 წელს ითქვა, რომ ეს კაცი, სააკაშვილი, უნდა შეიცვალოს. ნახეთ, რაზეა ლაპარაკი, იმაზე კი არა, რომ „ჩამარხონ“, არამედ იმაზე, რომ უნდა „შეცვალონ“.

**– თქვენ ამბობთ, რომ აშშ-მა სააკაშვილი ჩაანაცვლა ივანიშვილით?**

– გაუგებრობა რომ არ იყოს – სადმე ვინმეს უნახავს, რომ აშშ-ის ელჩი გამოლალავდა სხვა ქვეყნის ელჩებს და ოჯახში მიადგებოდა კაცს? ეს ხომ ფაქტია, რომ აშშ-ის ელჩი მასთან ოჯახში, საცხოვრისში დადიოდა ე.ი ეხმარება, ხომ? კიდევ მეტი, 1 ოქტომბერს ეგზიტპოლების შედეგები არ იყო ჯერ, რომ გამოვიდა ტელევიზიით და გამოაცხადა სააკაშვილმა, ვაგებო, ხოლო 2-ში აღიარა, წავაგეო. შეიძლება კონკრეტულად პრეზიდენტის სასახლეში არ იჯდა აშშ-ის ელჩი, მაგრამ, როგორც ვიცი, საკმაოდ სერიოზული რაოდენობის საზღვაო ქვეითები იყვნენ აქ ჩამოსული, თორემ სააკაშვილი ის ტიპი არ არის, რომ გამოეცხადებინა, წავაგეო – ეს ყველაფერი ვალია და ამ ვალს გასტუმრება უნდა, რასაც ბიძინა ვერ გაურბის, – ვერ გაექცევა. ახლა ამას დააკვირდით, როდესაც ბიძინა მოვიდა, თქვა, რომ ეყრდნობა ალასანიას და შეხედავს, „რესპუბლიკელები“ როგორ მოიქცევიან, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ ძველი პარტიაა და ათასი სტრუქტურა აქვთ, ათას რამეზე გადამხტარ-გადმომხტრები არიან – ვინც კი „საია-ში“ იყო, ყველამ მაგათი სკოლა გაიარა. პარტიებს ოფიციალურად დაფინანსება არ ერგებათ, „საიას“ ბიუჯეტი კი, რომელიც ითვლება რომ „ასოა“, ათეულ მილიონებზეა გადასული, ამ დროს „საია“ და „რესპუბლიკელები“ ერთი და იგივეა და პარლამენტშიც დომინირებული პოზიცია დაიკავეს „რესპუბლიკელებმა“.

**– გასაგებია, მაგრამ ეს ხომ ივანიშვილსაც შეეძლო განესაზღვრა...**

– ეს შეგვეძლო ჩვენ, თორემ ივანიშვილს რანაირად შეეძლო, როცა მის ნებაზე უკვე აღარ არის ბევრი რამ დამოკიდებული.

**– ქართველ ხალხს რაღა?**

– მე ივანიშვილის ადვოკატი კი არ ვარ, მე ვლაპარაკობ რეალურს და მერე ხალხმა გადაწყვიტოს...

ყველა ამბობდა, რომ ხიდაშელი აკონტროლებდა ბიძინას გარემოცვას, ყველაფერს და ხალხი ბრაზობდა; მერე ითქვა, რომ გარკვეულ სფეროებს ხუხაშვილი აკონტროლებს – ერთი ეს მითხარი, ხიდაშელი „რესპუბლიკელია“, მაგრამ ხუხაშვილი ვინ არის? – ოფიციალური „რესპუბლიკელია“ და არა მხოლოდ ის, მიჰყევი და ჩამოთვალე, ვისაც ხელს წამოარტყამ, ვინც მანდ არის გადამჯდარი სერიოზულად, ყველანი „რესპუბლიკელები“ არიან. ნეტავ კარგ საქმეს აკეთებდნენ, თორემ მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო. შესაბამისად, ტარდება ის ხაზი, რაც ჩვენს ბატონებსაც მოსწონთ, ატარებენ კოჰაბიტაციას და სახეს უნარჩუნებენ სააკაშვილს – ეს ერთი მხარე, რომელიც სავალდებულოა, მაგრამ ნახე, სასურველიც რომაა, როგორც ამბობენ ხოლმე, სასიამოვნო სასარგებლოსთან ერთად.

ის, რომ სააკშვილს სახეს უნარჩუნებენ, ის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არის ერთადერთი ოპოზიცია, ნათლად ჩანს, რომ ძალიან „სასარგებლოა“, რადგან სხვა ოპოზიცია, რომელიც გაბედავს ხალხის მიერ მანდატმიცემული მთავრობის კრიტიკას, ისინი ცხადდებიან ჩანერგილებად. ხომ ნათქვამია ისიც, რომ კოალიცია არ დაიშლება მანამ, სანამ არსებობს „ნაციონალური მოძრაობა“ – ესეც ბიძინას სიტყვებია ე.ი რა ხდება, არავის თავს არ წამოაყოფინებენ, აგერ ჰყავთ ოპოზიცია, რომელმაც რა გინდა აკეთოს ახლა, ვერასდროს გაუტოლდება რეიტინგით, რადგან ხალხის ნდობა დაკარგული აქვთ. გარდა ამისა, თუ როდესმე მოხდა და ჩვენ მოვახერხეთ, ან თვითონ გაუშვეს „ნაცმოძრაობა“ თავის მიშიკიანად, მარტო ხომ არ იქნებიან? – რა თქმა უნდა, არა, კოალიციაში რომ არის რამდენიმე



პარტია იმათ გამოუშვებენ და როგორც სააკაშვილს ჰყავდა დავითაია, თარგამაძე, თორთლაძე და მისთანები, იგივე იქნება და, იხარეეე!...

ხომ არ სჭირდებათ ის ადგილები, ახლა რომ უნდა ჩატარდეს არჩევნები, მაგრამ არ შეიძლება, რომ რომელიმე „გარეშე“ ოპოზიციონერმა დაიკავოს თავისი ადგილი – ამაში „ნაცები“ და „ოცნება“ ერთ პოზიციაზე დგანან.

მაშასადამე, არსებობს ვალები, რომელიც გასასტუმრებელი კი არ არის, ვერ მოიშორებ, სარგებელს იხდი, მხოლოდ და მხოლოდ პროცენტებს, თორემ ვალი არ მცირდება.

**– ვერ გავიგე, ისეთი სამარადისო ვალი გვადევს, ვერასდროს ამოვალთ თავნიდან, სულ პროცენტი უნდა ვიხადოთ?**

– თუ ასე დავიძინებთ, სამარადისო ვალი იქნება.

ყოველთვის ვამბობდი, რომ სააკაშვილი მტერია და ვინც მტერს ჩაანაცვლებს, ისიც მტერია. რა თქმა უნდა, ბიძინა არ მიგულისხმია, მე რა ვიცოდი, რომ ის მოვიდოდა, მაგრამ ჩაანაცვლა, კი არ გააგდო, ჩაანაცვლა და ეს ძალიან ცუდია. ეტყობა, სხვა გზა არ აქვს ამ კაცს და თან სასარგებლოა შიგნით მყოფებისთვის, იმათთვის, „მრჩევლები“ რომ ჰყავს, თორემ ბიძინა ამბობს, რომ მრავალპარტიული პარლამენტი უნდა – მრავალი პარტია ეყოლება, კოალიციას რომ დაშლიან...

აი, ასეთი მდგომარეობაა და ჩვენ რომ საქართველოს რეალურ განთავისუფლებას ვგეგმავდით, სამწუხაროდ, ისევ უკან-უკან წავიდა, რადგან აშშ სააკაშვილს კი გვაშორებს, მაგრამ...

**– თქვენ ამბობთ, რომ ვალი გვაქვს და პროცენტებს ვიხდით, რანაირად უნდა დაიფაროს ძირი, საშველი არ არის რომ მევახშისგან გავთავისუფლდეთ?**

– ხალხი ყირაობს უკვე, კარგად იცი და ჩვენ მოვძებნეთ ერთ-ერთი შესანიშნავი რამ, რეგისტრაციაში გავატარეთ სახალხო დამცველის არჩევა, მაგრამ არ გაგვიტარეს მსოფლიოს ცხელ წერტილებში ჩვენი ჯარისკაცების ყოფნა, ეგონათ, ეს იყო აქტუალური საკითხი. სახალხო დამცველის არჩევა წყვეტს ბევრ საჭირბოროტო საკითხს, ავლანეთსაც, საქართველოში ამერიკის ბატონობის საკითხსაც, ოღონდ, თუ სახალხო დამცველი არჩეული იქნება საქართველოს მოსახლეობის 90%-იანი და მეტი მანდატით.

სახალხო დამცველი და მისი კაბინეტი იქნება არა პროდასავლური, არა პრორუსული ან კიდევ რაიმე სხვა „პრო“, ეს იქნება ქართველი ხალხის ძალა და რაც ქართველი ხალხისთვის იქნება მისაღები და სასარგებლო, ის გაკეთდება. ხალხის მიერ არჩეული სახალხო დამცველი, ასე ვთქვათ, თავისუფალი აგენტი იქნება, ვისიმე მონობითა და მსახურობით არ იქნება მოსული, რაც აბსოლუტურად გაგვათავისუფლებს ყველა ბატონისგან და გვექნება მათთან მხოლოდ კარგი ურთიერთობა.

კონსტიტუციონალისტებზე 20 იანვრის შემდეგ უკვე ხუმრობები დავიწყე და რატომ – 2013 წლის 20 იანვარს გაუვიდა ვადა პრეზიდენტს. შე დალოცვილო, თუ ვალი არ გაქვს, რას დასდევ კონსტიტუციურ შესწორებას, 20 იანვარს მიიღე გადაწყვეტილება 75 ხმით. ეს ხომ კონსტიტუციის ცვლილება არ იყო და არც კანონის მიღება, მთავარია, ქვორუმი ყოფილიყო, დამსწრე 100-110 კაცი რომ ყოფილიყო, 61 ხმაც ეყოფოდა და შეიძლება, კიდევ ნაკლებიც, რომ პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის გამო უფლებამოსილება შეეწყვიტათ მიშიკასთვის. ამით ყველაფერი დამთავრდებოდა, მაგრამ ეს არ გააკეთეს და ახალი პარლამენტი უკვე ცოდვილია წინამორბედივით, რადგან შეურაცხყო კონსტიტუცია.

უამრავი რამ მაქვს სათქმელი, მაგრამ ცოდო ხართ შენც და ხალხიც...

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## თავდაცვის სფეროდან დათხოვილი 1100-ზე მეტი ადამიანი თანამდებობებზე დაბრუნდა

**საქართველოს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას განცხადებით, სამინისტროში მისი მისვლის შემდეგ შესაბამისი მიზნით ფორმირებულმა კომისიამ წინა ხელისუფლების დროს თავდაცვის სფეროდან დათხოვილი 4000–ზე მეტი სამხედრო მოსამსახურის განაცხადი შეისწავლა.**

როგორც მან დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, 1100–ზე მეტი ადამიანი თანამდებობებზე უკვე აღდგენილია, რადგან ისინი თავის დროზე პოლიტიკური შეხედულებების გამო, ან სხვა უკანონო მოტივაციის საფუძველზე გაათავისუფლეს სამსახურიდან. მინისტრის თქმით, დარჩენილი განცხადებებიც დამუშავების პროცესშია, მათგან 400 –განხილვის ბოლო სტადიაზეა.

ალასანიამ არ დაადასტურა საპარლამენტო უმცირესობის წევრების მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც თავდაცვის უწყებიდან თანამშრომლებს დღესაც მასობრივად ათავისუფლებენ.





# მივმართავ ბატონ ბიძინა ივანიშვილს — ფხიზლად იყავით, სექტანტებს მფარველები თქვენს ხელისუფლებაშიც ბევრი ჰყავთ...

**ინტერვიუ გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის წინამძღვართან მამა ბასილ მკალავიშვილთან**

**— მამაო თქვენ მართლმადიდებლობისათვის მებრძოლ მღვდლად გიცნობენ. გვახსოვს, იეღოველებს მრავალრიცხოვანი შეკრებების ჩატარების უფლებას არ აძლევდთ. ახლა რატომ სდუმხართ?**

—სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა.

ჩვენთან არს ღმერთი.

უნდა მოგახსნეოთ, რომ, ჩემი მღვდლობის პერიოდში, სანამ დამაპატიმრებდნენ, ყველაფერი გავაკეთე, რომ ამ სატანის მიმდევრებისთვის ხელი შემეშალა, რათა არ გამრავლებულიყვნენ. ფაქტობრივად, ამ ფრონტზე ვიბრძოდი. პირველი თვით სექტანტებთან, მეორე — მთავრობასთან, განსაკუთრებით „თავისუფლების ინსტიტუტთან" და საპატრიარქოსთან. წარმოიდგინეთ, ჩვენ ვახერხებდით მათთან გამკლავებას. ახლა უკვე ხანში შესული ვარ, თანაც საპყრობილეში გატარებულმა ხუთმა წელმა მთლიანად შემირყია ჯანმრთელობა. მიუხედავად ამისა, ყურადღება არ მომიდუნებია, ვაკვირდები მიმდინარე მოვლენებს, ყველა ხედავს, ვაკეთებ მეტად კრიტიკულ, მწვავე კომენტარებს. რაც შეეხება ღვთისმგმობელ იეღოველებს, დიახ, მათ სწორედ 7 აპრილს, ხარების ბრწყინვალე დღეს დაამთხვიეს ე.წ. კონგრესი, მართლმადიდებლობის დასაკნინებლად. მათ განზრახული ჰქონიათ ეს შეკრება სპორტის სასახლეში ჩაეტარებინათ. საბედნიეროდ, უარი მიიღეს. ახლა კი განსაზღვრული აქვთ მარნეულში ჩაატარონ საერთაშორისო კონგრესი. სწორედ იქ, სადაც დაახლოებით 12 წლის წინ ამ მასშტაბის მობილიზებული კონგრესი ჩავშალეთ უფლისა და დედა ღმრთისმშობლის შემწეობით და პარლამენტარ, აკადემიკოს, ბატონ გურამ შარაძის თანადგომით. დღევანდელი რეალობიდან სახეზე გვაქვს ის, რომ ოცსაუკუნოვან ქრისტიანულ ქვეყანაში, რომელიც უფლის მეორედ მოსვლის წინ მსოფლიო მართლმადიდებელთა ცენტრი უნდა გახდეს, სადაც უნდა მობრძანდეს ივერიის ყოვლადწმიდა დედის ხატი, აღდგეს ლაზარე და განცხადებულ იქნას საიდუმლოებანი რომელიც დამარხულ არს, განიკითხოს სრულიად კაცობრიობა, ქრისტეს დაუძინებელი მტრები ცდილობენ ეს წმიდა ადგილი ბნელ ძალთა, ქვაბავაზაკთა შესაკრები გახადონ. მართლმადიდებლობის დაუძინებელ მტრებს გამოყოფილი აქვთ მილიონები. ფრიად სამწუხაროა, რომ ყოველივე ეს ხდება ხალხის მიერ ნდობით აღჭურვილი მანდატით მოსული ხელისუფლების თვალწინ. მე მხედველობაში მყავს ბატონი ბიძინა ივანიშვილი, ხოლო რაც შეეხება მის ზურგს ამოფარებული გუნდის გარკვეულ წარმომადგენლებს, მათგან გასაკვირი არაფერია, პირიქით, სექტანტების ხელშემწყობები ბრძანდებიან.

**— მამაო, იცით, ვინ არიან მთავრობის ის წარმომადგენლები, რომლებიც სექტანტებს დახმარებას უწევენ?**

— რა თქმა უნდა. პირველ რიგში, მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც მოსვლისთანავე სექტის გაუქმებული რეგისტრაცია მე-5 დღეს ლანგრით მიართვა, ქვასროლია ბოკერია თავისი ინსტიტუტებით, ცოლ-ქმარი უსუფაშვილ-ხიდაშელი, თევზაძე და ძმანი მისნი.

როგორც ღვთისმსახურს, ჩემი რწმენა მავალებს, სათქმელი პირდაპირ ვუთხრა ნებისმიერს. **მივმართავ ბატონ ბიძინა ივანიშვილს** — ბატონო ბიძინა, ქართველი ხალხი დიდი სიხარულით შეხვდა თქვენ გამოჩენას პოლიტიკაში. გვესმის იმედიანი სიტყვები, რომ ხალხის ეკონომიური პირობები გაუმჯობესდება, ხოლო რაც შეეხება რწმენას, რომელმაც უნდა გადაგვარჩინოს და მოგვაგოს სულის ცხოვნება, მასზე არავინ საუბრობს. ისმის კითხვა, სარწმუნოებასთან მიმართებაში რით განსხვავდება ძველი და ახალი ხელისუფლება ერთმანეთისაგან? რატომ გვრცხვენია ვიამაყოთ უზენაესი რწმენით — ოცსაუკუნოვანი ქრისტიანობით, რომელმაც ერი აქამდე ატარა, რატომ ვერ ვაცხადებთ ხმამაღლა, რომ ვართ ძირძველი მართლმადიდებლური ქვეყანა? ყველაზე აღმატებული და პრიორიტეტული რომ მართლმადიდებლობაა? იქნებ ამით ვაწყენინებთ ოკეანისგაღმელებს. იკვეთება, რომ სააკაშვილი და ახლადმოსული მთავრობა ჯორჯ სოროსის დაკვეთებს ასრულებს. თურქეთს რომ მეჩეთს ვპირდებით, ერთი მოვსინჯოთ, იქ გვაქადაგებინებენ მართლმადიდებლობას? იქ კანონი კრძალავს ისლამის გარდა სხვა აღმსარებლობის ქადაგებას. იქნებ გავიხსენოთ ბორკილებდადებული ჩვენი სისხლი და ხორცი მონებად რომ გაჰყავდათ სტამბულის მონათა ბაზარზე.

**— მამაო, დღეს კიდევ ერთი მტკივნეული საკითხი გვიდგას — თურქი-მესხების საქართველოში ჩამოსახლება?**

— ჩემო კარგო, პრობლემები და განსაცდელები არ გვაკლია. არც ეს იქნება გამონაკლისი იმ სიმრავლეთა შორის.

საქართველოს ისტორია მეტნაკლებად ვიცი და ვუწყი, როგორ მოხდა იმათი გასახლება 1944 წ. ვისაც დღეს აქეთ უპირებენ ჩამოსახლებას.

პირველ რიგში, მათი სურვილი იყო თურქეთთან შეერთება. მეორეც, სანამ გაასახლებდნენ, დასვეს საკითხი, თუ მართლმადიდებლები გახდებოდნენ, დარჩებოდნენ საქართველოში. ამაზე ყველამ უარი განაცხადა. ისმის კითხვა: ასეთი ხალხი გამოგვადგება? კარგია ტოლერანტობა, სტუმართმოყვარეობა, მაგრამ ყველაფერს თავისი ზღვარი აქვს, ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდეს ჩვენი გადამეტებული სტუმართმოყვარეობა. უფალმა ყველას თავისი საცხოვრისი მიაგო. ჩვენ არავის ვედავებით, ჩვენ კი ყველაფერს გვედავებიან.

**— მამაო, რა არის საჭირო, რომ ჩვენმა ერმა საქართველოში მშვიდად იგრძნოს თავი? დამეთანხმებით, ხალხი ჯერ კიდევ არაა მშვიდად.**

— მე მგონი, ეს ინტერვიუ ამ კითხვის პასუხი იყო. თითოეული ჩვენგანის ვალია სახელმწიფოს ქვაკუთხედად იქცეს მართლმადიდებლობა, რათა ღმერთმა არ მოგვაკლოს მზრუნველობა. საქმე ვაკეთოთ არა სხვის საამებლად, არამედ ღმერთის მოსაწონად.

ისევ შეგახსენებთ, მაშინ, როცა იეღოველთა სექტა რევანშს იღებდა და ცდილობდა დაეპყრო საქართველოს რეგიონები, მაქსიმალური გავაკეთე რათა, მართლმადიდებლები არ გადაებირებინათ, შეჩერებულიყო მათი პროზელიტიზმი. **ახლა კი კეთილი ინებოს საპატრიარქომ. ნიშნის მოგებით არ ვლაპარაკობ. მათი უმთავრესი და უპირველესი მოვალეობაა, თავგანწირვით ებრძოლონ ყოველგვარ უკეთურებას ერში თუ ბერში. მობილიზაცია გაუკეთონ მრევლს და მშვიდობიანი ფორმებით მოითხოვონ, არ აშენდეს მეჩეთი საქართველოში, არ ჩატარდეს საერთაშორისო კონგრესი იეღოველთა წარმწყმედელი სექტისა. ბოლოს და ბოლოს გააგონონ ერს თავიანთი სარწმუნოებრივი — ქრისტიანული ხმა.**

ხელისუფლებამ დროზე უნდა მოიშოროს სააკაშვილის რეჟიმის დრომოჭმული ნარჩენები: ბენდუქიძეები, ბოკერიები, მერაბიშვილები, უგულავები, ძმანი მისნი, რომლებიც ისევ მმართველ ბერკეტებს ფლობენ და ეწევიან მოღალატურ ქმედებებს. თუ დროზე არ იზრუნებენ, მერე ძალიან გვიან იქნება, მივიღებთ მეტად სავალალო სურათს. დარჩება საქართველო, მაგრამ უქართველებოდ. ეს პროცესი დიდი ხანია დაწყებულია, ახლა კი მეტად აქტიურ ფაზაში შედის.



კიდევ ერთხელ მოვუწოდებ თვით ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას, საქართველოს ისტორია სამაგიდო წიგნად გაიხადონ, ხშირად ჩაიხედონ შიგ და გაიცნობიერონ, რანი ვიყავით, რანი ვართ და საით მივემართებით. ილია მართალი ბრძანებს, „როცა ქართველი ივიწყებს თავის ისტორიას, მაშინ იწყება ერის გადაგვარება".

ბოლოს შეგახსენებთ, მცირე ნაწყვეტს წმინდა მეფის ვახტანგ გორგასლის ანდერძიდან: ... „აწ გამცნებთ თქვენ, რათა მტკიცედ სარწმუნოებასა ზედა სდგეთ და ეძებდეთ ქრისტესთვის სიკვდილსა, სახელსა მისსა ზედა, რათა წარუვალი დიდება მოიპოვოთ".

ღმერთმა დაგლოცოთ...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

*ინტერვიუ „ქართული ოცნების“ სამტრედიის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარესთან ბატონ **მურმან კაშიასთან***

**— ბატონო მურმან, სამტრედიაში ბევრი პრობლემა დაგროვდა. ყველა „სიკეთესან“ ერთად სამტრედიას გამგებლის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი ჰყავს. რამდენ ხანს გაგრძელდება ასეთი მდგომარეობა?**

—სამწუხაროდ, ხშირად მოგვმართავენ მოქალაქეები, რომლებიც აღშფოთებას ვერ მალავენ საკრებულოს წევრების უმოქმედობაზე, ვინაიდან ადგილობრივი მუნიციპალიტეტი პარალიზებულია და მოქალაქეებს არ აქვთ შესაძლებლობა დაიცვან საკუთარი ინტერესები. მართლაც რომ ავიწყდებათ საკრებულოს



— მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა და ძალადობისა, ჩვენმა გუნდმა ყველაზე დიდი შედეგი აჩვენა სამტრედიის საარჩევნო ისტორიის მანძილზე. შესაბამისად, ამაღლებულ განწყობაზე ვხვდებით მოახლოებულ არჩევნებს და იმედი გვაქვს, რომ კიდევ ერთხელ ეტყვის ნაციონალურ მოძრაობას ხალხი უარს და ამით დარწმუნდება უმცირესობა, რომ მათი სასიცოცხლო ციკლი დაცემის ეტაპზეა და მისი ვარდნის შეჩერება ყოვლად წარმოუდგენელია.

**— ხომ არ არის ისეთი სიტუაცია, რომელიც აძლევს ნაციონალებს საშუალებას გააგრძელონ უკანონობა, რომელიც წლების განმავლობაში იყო გამეფებული ქალაქ სამტრედიაში და მთლიანად რაიონში?**

— „ნაციონალური მოძრაობა“ მიდრეკილია ძალადობისკენ და დანაშაულისკენ, მაგრამ, საბედნიეროდ, მათ არ მიეცემათ უკანონობის საშუალება. ახალი ხელისუფლება ხალხის ნებას ახორციელებს. ხალხის ნება კი უზენაესია და ვინც მათი ნების წინააღმდეგ ივლის „ნაციონალური დასასრული“ ექნება.

**— სამტრედიაში მკვეთრი დაპირისპირების დაძლევას, რომელიც ნაციონალებსა და „ქართული ოცნებას“‘ შორის იყო, როგორ მიაღწიეთ? ეს დროებითი ზავია თუ თანამშრომლობის და თანაცხოვრების რაღაც ფორმები გამოძებნეთ?**

— რაიონის ინტერესიდან გამომდინარე ნებისმიერ დაპირისპირებს ვგმობთ, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი მხრიდან ნა-

# „კოჰაბიტაცია“ სამტრედიაში და მომავალი არჩევნები

წევრებს ამომრჩევლის წინაშე აღებული პასუხისმგებლობა და საზოგადოებრივი მაღალი ინტერესი. ხალხმა ისინი აღჭურვა უფლებამოსილებით, რომელიც უნდა იყოს ხალხის ინტერესების შესაბამისად გამოყენებული. ხალხი ცვლილებებს ითხოვს, რაც ოქტომბრის არჩევნებმაც დაადასტურა. არსებული მდგომარეობას დიდი ხნით გაგრძელება არ უწერია, ვინაიდან ახალი გამგებლის პერსონისადმი იმდენად მაღალია საზოგადოებრივი ინტერესი, რომ საკრებულოს წევრებს ეყოფათ გონიერება და გადაწყვეტილებას მიიღებენ არა მხოლოდ პარტიული, არამედ უპირველეს ყოვლისა, რაიონის ინტერესის გათვალისწინებით.

**— გამგებელთან დაკავშირებულ „გაუგებრობას“ ისიც ემატება, რომ სამტრედიას არ ყავს დეპუტატი პარლამენტში. ჩვენს მიერ არჩეული დეპუტატი კახა კალაძე, ენერგეტიკის მინისტრად დაინიშნა..**

— ბატონი კახის აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადასვლა პრემიერის გადაწყვეტილება იყო და როგორც გამოჩნდა, ერთ-ერთი წარმატებული მინისტრი მივიღეთ.

**— იმედია, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში სამტრედიის ინტერესებს ღირსეული კანდიდატი დაიცავს.**

— შუალედურ საპარლამენტო არჩევნებში წარმოდგენილი ვართ დიდი ინტელექტუალური რესურსის მქონე კანდიდატით, რომლის ცხოვრებისეული მიღწევები ბევრი ახალგაზრდისთვის მისაბაძი უნდა იყოს.

**— სამტრედია ცხელი წერტილი იყო საპარლამენტო არჩევნების პერიოდში, მაგრამ, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობის და ძალადობისა, სამტრედიელებმა სწორი არჩევანი გააკეთეს, ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის საარჩევნო შტაბს, რომლის ხელმძღვანელიც თქვენ ბრძანდებოდით. არჩევნებამდე დიდი დრო არ დარჩა, როგორ ემზადებით საპარლამენტო არჩევნებისთვის?**

ბიჯებს ვერ ვხედავთ, რაც რაიონის ინტერესებს აზიანებს. მოქალაქეების მხრიდან არაერთგზის აღვკვეთეთ მუნიციპალიტეტის შენობაში შეჭრის მცდელობა, ვინაიდან ვგმობთ ძალადობრივ გამოვლინებებს.

კოჰაბიტაცია ძალიან რთული პროცესია. სწორედ ამიტომ უნდა ვეძებოთ ის თემები, რაშიც შევძლებთ საერთო ენის გამონახვას. საპარლამენტო უმცირესობასა და უმრავლესობას შორის საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით შეთანხმება შედგა, რაც იმის მანიშნებელია, რომ „ნაციონალურ მოძრაობაშიც“ მოიძებნება ადამიანები, რომლებიც გარკვეულ რესურსს ფლობენ და მზად არიან ნორმალური თანაარსებობისათვის.

**— იმედია, რომ სამტრედიაში ამჟამად არსებული მდგომარეობა სასიკეთოდ შეიცვლება მას შემდეგ, როცა რაიონს არა დროებითი, არამედ ხალხის ნებასურვილით არჩეული გამგებელი და ღირსეული დეპუტატი ეყოლება საქართველოს პარლამენტში.**

— 27 აპრილის შუალედური არჩევნები კიდევ ერთხელ დაანახებს მსოფლიო თანამეგობრობას მიშას ძალადობრივ რეჟიმს, ვინაიდან ოქტომრის საპარლამენტო არჩევნებისა და შუალედური საპარლამენტო არჩევნების შედარებითი ანალიზი დაგვანახებს „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერთა რაოდენობის მკვეთრ ვარდნას, რადგან უკვე „ნაციონალურ მოძრაობის“ წევრებს არ ექნებათ შესაძლებლობა სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენონ არჩევნების გაყალბებისთვის. მერწმუნეთ, უახლოეს პერიოდში სამტრედიას ეყოლება ღირსეული გამგებელი და კარგი დეპუტატი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, რომელიც დიდ სარგებელს მოუტანს ჩვენს რაიონს.

**ნატო ივანიაძე,**
სპეციალურად
„საერთო გაზეთისთვის“
სამტრედია

# „რესპუბლიკურმა პარტიამ“ დღესდღეობით მოხსნა 1 ოქტომბრის გამარჯვების სრული ნალები



**ხათუნა ლაგაზიძე:** კონსტიტუციის ამ ფორმით მიღებამ არათუ ამერიკის მხარდაჭერა გამოიწვია, არამედ, ჩემი აზრით ეს იყო ქართული მხარის საპასუხო რეაქცია მათ თხოვნაზე. 1 ოქტომბერს საქართველოში დამთავრდა ამერიკის ერთი პროექტი - დემოკრატიის შუქურა და სტარტი აიღო მეორემ - კოაბიტაციამ. ამის დასადასტურებლად, რომ კოაბიტაცია არ არის მკვდარშობილი აქტი, საჭირო იყო გარკვეული პერიპეტიები და ეს გახლდათ სარეიტინგო კენჭისყრა. ეს იყო ნაციონალების ინტერესებზე წყლის დასხმა, ერთის მხრივ, ისინი შეეცადნენ შიდა მომხრეების მობილიზებას, მეორეს მხრივ კი დასავლეთისთვის იმის დამტკიცებას, რომ კვლავ ცოცხლები არიან. ამ ინტერესის გატარებას ისინი შეეცდებიან მაჟორიტარების არჩევნებში და მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნება ერთი ოლქის მოგება მაინც. ისინი ამით დაამტკიცებენ, რომ იმ პირობებშიც კი, როცა ხელისუფლებას ძალიან მაღალი ნდობა აქვს, მათ კი, ფაქტიურად, ნულოვანი, შეძლეს ერთი ოლქის მოგება.

უმრავლესობას მე ნაკლებად დავყოფდი კატეგორიებად: მკვეთრები და თანამშრომლობაზე ორიენტირებულები. მაგალითად, დღეს უსუფაშვილმა განაცხადა, რომ მრავალი სკანდალური დოკუმენტის გამოქვეყნებას უნდა ველოდოთ, მაშინ, როცა ის ცნობილია, როგორც მთავარი მომლაპარაკებელი საპარლამენტო უმრავლესობაში. დღეს პოლიტიკურ ასპარეზზე ერთ მხარეს დგას და ოპოზიციურ ნიშას ავსებს ხელოვნურად ნაციონალური მოძრაობა, ხოლო საკუთრივ „ქართული ოცნების“ წიაღში წამყვანი და მყარი პოზიციები აქვს „რესპუბლიკელებს“. შეიძლება ითქვას, რომ „რესპუბლიკურმა პარტიამ“ დღესდღეობით მოხსნა 1 ოქტომბრის გამარჯვების სრული ნაღები. აღარაფერს ვსაუბრობ დასავლეთთან მათ ცნობილ ურთიერთობებზე, რაც არ მოუტანია 1 ოქტომბერს, ეს მათი ბეგრაუნდი იყო, მაგრამ როგორც ამბობენ, სწორედ რესპუბლიკელებს ჰყავთ ყველაზე მეტი წარმომადგენელი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. საყოველთაოდ ცნობილია მათი მყარი პოზიციები პარლამენტში და მათი სურვილი, რაც შეიძლება მყარად და მკვეთრად იყვნენ წარმოდგენილნი მედიაშიც. აქ ზოგადად დგება ერთი მეტად მნიშვნელოვანი, მრავალპარტიული სისტემის ფორმირების თემა, რომელიც უშუალოდ პრემიერის დანაპირები იყო წინასაარჩევნოდ. ეს იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხიბლი, გარდა იმისა, რომ სააკაშვილი უნდა წასულიყო; ორი უმთავრესი გადამწყვეტი თემა ქვეყნის განვითარებისათვის, რაც მაშინ შემოიტანა პრემიერ-მინისტრმა, გახლდათ ედგილობრივი თვითმმართველობის რეალური არჩევითობის პრონციპის დამკვიდრება და მეორე მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის ხელშეწყობა, როგორც საკანონმდებლო, ასე საბიუჯეტო დონეებზეც.

შუალედურ არჩევნებზე სხვა ოპოზიციურ პარტიებს გაცილებით მაღალი ალბათობა ჰქონდათ წაგების, ვიდრე „ქართულ ოცნებას“, თუმცა პარლამენტს გარეთ მაინც არის დარჩენილი ისეთი ფიგურები, რომელთაც ცალსახად შეეძლოთ მოეგოთ ნაციონალური მოძრაობისთვის. ქართული ოცნება ამ ტიპის „პოლიტიკურ გარიგებაზე“ უნდა წასულიყო. თუმცა სახელდება ერთ-ერთი ვერსია, რომ ქართული ოცნება ამ სამი კანდიდატით საკონსტიტუციო უმრავლესობას მიუახლოვდება. მაგრამ ვიყოთ რეალისტები და თუკი პარლამენტში არ შევიდოდა ნაცმოძრაობის მიერ მართული კადიდატები და იქნებოდა ჭეშმარიტი ოპოზიცია, პრინციპული საკითხების გადაჭრის შემთხვევაში, ეს კანდიდატები აუცილებლად დაიჭერდნენ „ქართული ოცნების“ მხარეს.

პრეზიდენტი ამ საკონსტიტუციო ცვლილების გარეშეც თამაშგარე მდგომარეობაში იყო დარჩენილი. ეს, უბრალოდ, ქაღალდზე გაფორმდა. დავით ბაქრაძემ სესიაზე განაცხადა, თუ პრეზიდენტი გამოიყენებდა პარლამენტის და მთავრობის დათხოვნის უფლებას, მაშინ იგი მის გუნდში აღარ მოიაზრებდა თავს. და ეს იყო უმრავლესობის პოზიცია უმცირესობაში. ასე რომ, ამ მხრივ დიდ საფრთხეს ვერ ვხედავდი, თუმცა ის მაინც პლიუსია, რომ მშვიდ გარემოში მიდის მუშაობის პროცესი.

აუცილებლად უნდა დაიწყოს რაღაც ახალი ეტაპი, რადგან მოლოდინი მაღალი იყო და დღემდე ჯერ კიდევ შენარჩუნებულია, თუმცა ეს არ არის უსაზღვრო და ხელისუფლება უკვე უნდა გადავიდეს კონკრეტული დაპირებების შესრულებაზე. მაგალითად, თავად ბანკირები არიან აღფრთოვანებული იმ დაბალპროცენტიანი სესხებით, რაც გაიცემა სოფლის მეურნეობის სფეროში. ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი, მით უფრო თუკი რუსეთის ბაზრის გახსნა მოხდა. თუმცა ამ პროექტს, რომელსაც სოციალიზმის სუნი ასდის, გარკვეული რისკებიც ახლავს თან.

ახლა მინდა შევეხოთ, ერთ-ერთ მთავარ პრობლემას, რაც გამოიხატება დასავლური იდეის დევალვაციით და ეს უკვე ძალიან თვალსაჩინოა. ყოველდღიურად იხსნება ახალ-ახალი ორგანიზაციები რუსულ-ქართული ურთიერთობების მოსურნე. უკვე აშკარად იკვეთება რუსეთის მხარდამჭერთა რიტორიკა მედიაში. ეს იგრძნობა სოციალურ ქსელებშიც. თუმცა რუსეთთან ურთიერთობის მოსურნეთა სიმრავლეს დასავლეთი ვერ დააყვედრის ვერც ახალ ხელისუფლებას, რადგან მას შეუძლია თავის მართლება, რომ გაათავისუფლა მედია, ქვეყანაში წინ წამოიწია დემოკრატიამ და შესაბამისად ყოველგვარ იდეოლოგიას აქვს რეალურად არსებობის უფლება. თუმცა ეს, გარკვეულწილად, მართულ პროცესს ემგვანება. იგივე სოციალურ ქსელებში მიდის კამპანია იქეთკენ, რომ დასავლური ღირებულებები და ქართული ტრადიციული ფასეულობებისათვის სრულიად მიუღებელი მოვლენებია. (მაგალითად, ჰომოსექსუალიზი) ერთმანეთთან გააიგივონ. ეს არის ძალიან მძიმე რამ, რის შედეგსაც ხვალ და ზეგ მოვიმკით. ის კი არ არის პრობლემა, რომ ვიღაცას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაუმჯობესება უნდა რისკ-ფაქტორის შემცირების მიზნით, არამედ ამ ხალხს ავიწყდებათ ელემენტარული ჭეშმარიტება —რა დღეში ვიყავით თუნდაც 20 წლის წინ. ამ რისკზე დასავლეთმაც უნდა გაამახვილოს ყურადღება. ასეთი მძაფრი იდეოლოგიური მიმართულების ფონზე თუ მოხდა რუსეთის ბაზრის გახსნა, რაც უდავოდ გამოიწვევს ეკონომიკის საგრძნობ აღმავლობას, შესაძლოა, აქცენტები რუსეთზე გადავიდეს დასავლეთის ნაცვლად. ვფიქრობ, ახალი ქართული იდეა უნდა წამოვიდეს, იგივე ქართული ევროპეიზმი და ის უნდა დაეფუძნოს ახალ სახეებს, იმიტომ რომ დასავლეთმა ისევ არ დაუშვას საბედისწერო შეცდომა და საკუთარი თავი არ გააიგივოს ნაციონალურ მოძრაობასთან. რადგან დასავლეთი „ნაციონალურ მოძრაობას“ ფეხზე ვერ დააყენებს და ნაციონალური მოძრაობა კი დასავლეთის იმიჯს სულ უფრო ჩაითრევს და დასწევს დაბლა.




„TV-9“

# ლაურა ღაჭავამ დიდი ფული ნარკობიზნესით იშოვა?

## გია გულუას და გია თელიას მკვლელობის კვალი ღაჭავა-კოდუებისკენ მიდის?

რამდენიმე ხნის წინ „ქართუ ბანკის“ გაკოტრების საქმესთან დაკავშირებით ბიზნესმენ **ლაურა ღაჭავასა** და მის ვაჟს, **დავით კოდუას** სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით 600.000-600.000-ლარიანი გირაოები შეუფარდა. რა როლი მიუძღვით დედა-შვილს „ქართუ ბანკის“ გაკოტრებაში? ამაზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ, დღეს გვინდა ღაჭავა-კოდუების სხვა „ცოდვებზე“ ვისაუბროთ, ანუ იმ საკითხებზე, როგორ იშოვა ამ ქალბატონმა ძალიან დიდი ფული და რა მაქინაციებით ჩაიგდეს ხელში კოდუებმა უამრავი ბიზნესი.

სანდო წყაროს ცნობით, რომელიც საკმაოდ დიდხანს მუშაობდა სამართალდამცავ სისტემაში, გვაუწყებს, რომ ლაურა ღაჭავას გამდიდრება „მხედრიონის“ თარეშის პერიოდში დაიწყო და ეს ძირითადად, ნარკობიზნესს უკავშირდება. ლაურა ღაჭავას, ყოველთვის ჰქონდა ფულის შოვნის დიდი წყურვილი, თანაც მისთვის სულ ერთი იყო რა გზით იშოვიდა ამ ფულს. „მხედრიონის“ „ზეობისას“ ინდოეთიდან ჩარტერული რეისებით ნარკოტიკული ნივთიერება „ნორფინი“ ჩამოჰქონდათ, რითაც დიდი ფულის შოვნა შეიძლებოდა. ამის შესახებ ლაურამაც შეიტყო, რომელიც მანამდეც ავლენდა „კომერციულ ნიჭს“ და თავადაც ჩაერთო ამ ბიზ-



ნესში. „ნორფინი“ ტკივილგამაყუჩებელი საშუალებაა, რომელიც თურმე აბებისა და ამპულების სახით, სრულიად ლეგალურად იყიდებოდა ინდოეთში. „ნორფინი“ პრაქტიკულად, იგივეა, რაც „სუბოტექსი“ და ნარკოტიკად არ ითვლება ინდოეთში, ისევე, როგორც „სუბოტექსი“ საფრანგეთში. „ნორფინიც“ იგივე ღირდა, რაც „ოპიუმი“ და ანალოგიურად, ერთი ამპულა ერთ ნარკომანზე ყოფილა გათვლილი. „ნორფინითაც“, როგორც „სუბოტექსით“, მართლა დიდი ფულის შოვნა შეიძლებოდა. საქართველოში თურმე ერთი აბი „სუბოტექსი“ 700-800 ლარი ღირს, საფრანგეთში კი ერთი ფირფიტა ეს მედიკამენტი (მინიმუმ ათი აბი) 7 ევრო ღირებულა. წყაროს თქმით, მან ზუსტად არ იცის, რა ღირდა მაშინ ინდოეთში „ნორფინი“, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ძალიან იაფი ეღირებოდა. ასე რომ, ამ ე.წ. ნარკოტიკის საქართველოში „იმპორტიორი“ 200-300-ჯერ მეტ მოგებას მაინც ნახულობდაო.

ჩვენი წყარო გენერალ გია გულუას მკვლელობას სწორედ ლაურა ღაჭავას ხსენებულ ბიზნესს უკავშირებს. იმ პერიოდში გია გულუა ტრანსპორტის პოლიციის უფროსი იყო. ცნობისთვის, ტრანსპორტის პოლიცია აკონტროლებდა (და დღესაც აკონტროლებს) საჰაერო, საზღვაო და სარკინიგზო მიმოსვლას. მართალია, გულუა თავად არ ყოფილა ჩართული ნარკობიზნესში, მაგრამ ლაურა ღაჭავას „უსაფრთხო მიმოსვლისთვის“ ფული მოსთხოვა, რაც ამ უკანასკნელმა არ ინდომა, რადგან უფრო გავლენიანი მფარველი ჰყავდა **ჯაბა იოსელიანის** სახით. ჯაბას რომ ნამდვილად უხდიდა წილს ლაურა ღაჭავა, ამას წყალი არ გაუვა. გულუა მაინც არ ჩერდებოდა და ამიტომაც მოკლეს. იმ პერიოდში **გია გულუა** თბილისის შს მთავარი სამმართველოს მაშინდელ უფროს **დავით ზეიკიძესთანაც** ყოფილა დაპირისპირებული. გულუას მისი პოსტი უნდოდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ეტყობა, გულის მოსაგებად გულუა შს მინისტრის მოადგილედ დანიშნეს, თუმცა მას არაფერს ეკითხებოდნენ. ბოლოს ტრანსპორტის პოლიციის უფროსად გადაიყვანეს, მაგრამ მანდ დამთავრდა გულუას კარიერა, როგორც კი რაღაცაზე გაუჩნდა პრეტენზია, მაშინვე მოიშორეს. ჩვენი წყარო დარწმუნებულია, რომ აქ ზეიკიძე არაფერ შუაშია (ზეიკიძის შვილი კი იყო „მხედრიონელი“, მაგრამ ესენი მაგდენს ვერ „გაქაჩავდნენ“) და **გია გულუა** ღაჭავა-კოდუებმა მოიშორეს. ვინ გამოკრა იარაღის სასხლეტს ხელი, თავად რომელიმე კოდუამ თუ სხვამ, ამას დიდი მნიშვნელობა ნამდვილად არ აქვს.



წყარო არ გამორიცხავს, რომ **ლაურა ღაჭავა** გამდიდრების შემდეგაც იყო ნარკობიზნესში ჩართული, მით უმეტეს, რომ მისი შვილები უკვე საკუთარ ავიაკომპანიას ფლობდნენ, თანაც „ვარდოსნების“ ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ **ერეკლე კოდუა,** რომელიც კომუნისტების მმართველობის დროს არასრულწლოვანთა საქმეების რიგითი ინსპექტორი იყო, ისე „აღზევდა“, რომ სპეცოპერატიული დეპარტამენტის (სოდ-ი) შეფად მოგვევლინა. სწორედ ეს უწყება ებრძოდა ნარკობიზნესს საქართველოში, თუმცა „ავ ენებს“ თუ დავუჯერებთ, თავად იყო ჩართული ამ ბიზნესში, საკუთარი ნარკოგამსაღებლებიც კი ჰყავდათო. რამდენიმე წლის წინ აქტიურად დადიოდა ხმები, რომ ერეკლე კოდუას მაშინდელი პირველი მოადგილე **კახა მისირელი** უკრაინაში სწორედ ნარკოტიკებთან დაკავშირებით ჰყავდათ უკრაინელ სამართალდამცავებს დაკავებული და უშუალოდ **მიხეილ სააკაშვილის** ჩარევის შემდეგ გაათავისუფლეს. იმ პერიოდში უკრაინის პრეზიდენტი სააკაშვილის მეგობარი იუშჩენკო გახლდათ. წყაროს თქმით, ღაჭავა-კოდუების ოჯახმა სწორედ ნარკოტიკების მეშვეობით „აახიეს“ თავიანთი საახლობლოდან ბევრ ბიზნესმენს მათი ბიზნესი. ლაურა ღაჭავა ჯერ თვითონ აძლევდა მათ ნარკოტიკს, მერე მათ თავისი შვილის სამსახურს, ანუ სოდ-ს დააჭერინებდა. ამის შემდგომ ქალბატონი ლაურა საპროცესო გარიგებისთვის საჭირო თანხას თვითონ უხდიდა, სამაგიეროდ კი მათ კუთვნილ ბიზნესებს თავისი ოჯახის წევრებზე აფორმებინებდაო. სწორედ ამ სქემით ჩაუგდია ხელში ლაურა ღაჭავას ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი „პირიმზე“. ამ ფირმის მფლობელი მხოლოდ მას შემდეგ გამოუშვეს ციხიდან, როცა „პირიმზე“ ლაურას გადაუფორმაო.



წყარო ერთ შემთხვევასაც იხსენებს, სოდ-მა ერთ-ერთი ნარკომომხმარებელი დააკავა, რომელსაც „სუბოტექსი“ ამოუღეს. მან ე.წ. ნარკობარიგა „ჩაუშვა“, თუმცა ეს პიროვნება არ დაუჭერიათ. ეს ავტომანქანებისა და ნარკოტიკების იმპორტიორი ამის შემდეგ კიდევ წავიდა საზღვარგარეთ და ახლა უკვე მის დამჭერ პოლიციელებს ჩამოუყვანა ავტომანქანაო. მე იმას კი არ ვამტკიცებ, რომ ეს ადამიანი „შეკრული“ იყო პოლიციასთან, მაგრამ დიდი ეჭვი ჩნდება, დასაჭერი იყო და არ დაიჭირეს, უფრო მეტიც, მას ავტომანქანა ჩამოაყვანინეს. ეს „ჩამშვები“ ნარკომომხმარებელი კი დაიჭირეს, ასე რომ, კიდევ საკითხავია რომელმა რომელი „ჩაუშვაო“. რაც შეეხება კახა მისირელს, ეს წვრილფეხა ფიგურა იყო, ამ ბიზნესში უფრო მაღალი ეშელონები, თავად ერეკლე კოდუაზე უფრო „ბობოლა“ ფიგურები იყვნენ ჩართულნიო.

წყარო ყოფილი პოლიციელის, პოლკოვნიკ **გია თელიას** მკვლელობასაც ერეკლე კოდუას სახელს უკავშირებს. თელია 2006 წლის 16 თებერვალს სოდ-ის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის დროს მოკლეს. ოფიციალური ვერსიით, ის ეჭვმიტანილი იყო ნარკოტიკის შენახვასა და გასაღებაში. თუ მაშინდელ პრესას თვალს გადავავლებთ შსს-ს ზოგიერთი მაღალჩინოსანი დაინტერესებული იყო გია თელიას მოშორებით, რადგან იგი მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობდა საქართველოში არსებულ ნარკოტრეფიკთან დაკავშირებით.

ჩვენი წყარო გია თელიას დიდ პროფესიონალად და ძალზე კარგ პიროვნებად მოიხსენიებს. კომუნისტების პერიოდში მან უბრწყინვალესი ოპერაცია ჩაატარა ნარკობიზნესის ქსელის გამოსავლენად, რომელიც ყაზახეთის ქალაქ ჩიმკენტის „მორფის“ ქარხნიდან იღებდა სათავეს. გია თელია მაშინ ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის თანამშრომელი იყო. როგორც „შავი სამყაროს“ წარმომადგენლები იტყვიან, ციხეში „ქსივი“ „დაიწვა“, ანუ ცნობილი გახდა იმ „საიმედო“ პიროვნების ვინაობა, ვინც ჩიმკენტში უნდა ჩასულიყო ნარკოტიკის ასაღებად, რომელიც ხსენებული ქარხნიდან იყიდებოდა. ეს პიროვნება მაშინ სასჯელს იხდიდა, მის ვინაობას შეგნებულად არ ვასახელებთ, რადგან დიდი ხანია ცოცხალი აღარ არის. თელია ჩიმკენტში ამ პიროვნების სახელით ჩავიდა, რეალურ „ამღებს“ იქ პიროვნულად არ იცნობდნენ, ამიტომ თელიამ თავისი პროფესიონალიზმის წყალობით შეძლო იქაურ ნარკობარონებთან ნდობაში შესული-

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ყო. იგი იძულებული გახდა თვითონაც მიეღო ნარკოტიკი და საბოლოოდ ნარკომომხმარებელი გახდა. თელია თურმე მაშინ სიკვდილს ძლივს გადაურჩა, რადგან მან არ იცოდა, რომ იქაური მილიცია „შეკრული“ იყო ნარკობიზნესის წარმომადგენლებთან. იგი მილიციის სამმართველოში მივიდა და „კოლეგებს“ ყველაფერს მოუყვა, მაგრამ მერე მიხვდა რომ იქაური მილიციელები მოკვლას უპირებდნენ. თელია მილიციის შენობის მეორე სართულიდან გადმომხტარა და გაქცეულა. ამის შემდეგ უკვე საკავშირო მილიციის წარმომადგენლები ჩასულან ადგილზე და ნარკობიზნესში გარეული ყველა მსხვილი ფიგურა დაუჭერიათ. წყაროს თქმით, თელიას პირად საქმეში იყო ჩანაწერი, რომ საკავშირო შს მინისტრის განკარგულებით, მას, როგორც ავადმყოფს, უფლება ჰქონდა ნარკოტიკი მიეღო.

სხვათა შორის, გია თელია 1994 წელს (**შოთა კვირაიას** შს მინისტრობის დროს)



დაკავებული იყო. შსს-ს ოფიციალური განცხადებით იგი ნარკოტიკის შენახვასა და რეალიზაციაში იყო ეჭვმიტანილი. თელიას გია გულუას მკვლელობასაც აბრალებდნენ, მაგრამ ვერ დაუმტკიცეს. შემდეგ მან სასამართლოს ძალით მოიპოვა რეაბილიტაცია. წყაროს თქმით, ნარკოტიკი მას შეიძლება მართლაც ჰქონოდა, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნარკოდამოკიდებულად ჩამოყალიბდა. რაც შეეხება გულუას მკვლელობას და ნარკორეალიზატორობას, ეს სრული სიცრუეა, თელიას არასდროს არანაირი შეხება არ ჰქონია გია გულუასთანო. ახლა, რაც შეეხება გია თელიას მკვლელობას. სოდ-ის მიერ ჩატარებულ სპეცოპერაციამდე ერთი წლით ადრე, მან ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში განაცხადა, რომ პოლიციას შეთითხნილი ბრალდებით უნდოდა მისი დაჭერა (საუბარია „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდზე), მაგრამ ვერ შეძლეს. გია თელიამ შს სისტემა 2003 წელს დატოვა (პენსიაში გავიდა). რახან ვერ დამიჭირეს, მერე თავს დამესხნენ და დამჭრესო, თუმცა გადარჩა. მან ინტერვიუში ისიც თქვა, რომ მოკვლით ემუქრებოდნენ, თუმცა დამმუქრებლების ვინაობა არ დაუსახელებია, მაგრამ ის კი თქვა, რომ სოდ-ის უფროსს „უბრძანეს“ მისი მკვლელობის ორგანიზება.

ახლა რაც შეეხება იმ სპეცოპერაციას, რომლის დროსაც გია თელია მოკლეს. ოფიციალური ვერსიით, თითქოს ის ნარკორეალიზაციაში იყო ეჭვმიტანილი, სპეცოპერაციის დროს სოდ-ის თანამშრომლებს ცეცხლი გაუხსნა და ამის გამო მოკლეს. მაშინაც დაიწერა და ჩვენი წყაროც ადასტურებს, რომ გია თელია ცაცია იყო, ტელევიზიის მიერ გავრცელებულ კადრებში კი მოკლულს იარაღი მარჯვენა ხელში ეჭირა. გია თელია „ოქროს უბანში“, ნაქირავებ ბინაში მოკლეს, პოლიციას ესროდა და იძულებული გახდნენ მისი ლიკვიდაცია მოეხდინათ. მოკლულს კი მარჯვენა ხელში დააკავებინეს იარაღი, რომელიც მას შეიძლება არც ჰქონდა. ამ ოპერაციის, უფრო ზუსტად, სისხლიანი სპექტაკლის დამგეგმავმა და დამდგმელმა „დიდმა“ ჩეკისტებმა ისიც კი არ იცოდნენ, რომ გია თელია ცაცია იყო.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

(თემის გაგრძელება მომდევნო ნომერში)

# აფხაზური და ოსური მითოლოგია ზოგადკავკასიურ კონტექსტში

ქართული კავკასიოლოგიური ბიბლიოთეკა ორი საინტერესო წიგნით შეივსო. 2012-2013 წლებში აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ეთნოლოგ-კავკასიოლოგის, ნუგზარ ანთელავას, ნაშრომები - „აფხაზური მითები და რიტუალები“ (ქართულ-აფხაზური პარალელური ტექსტებით) და „ოსური მითები და რიტუალები“, რომლებიც ქართული (და არამარტო ქართული) ისტორიოგრაფიის უდაოდ მნიშვნელოვანი შენაძენია.

ნ. ანთელავას აღნიშნულ ნაშრომებში აფხაზური და ოსური მითოშემოქმედება და რიტუალური პრაქტიკა ზოგადკავკასიურ კონტექსტშია განხილული. პრობლემისადმი ამგვარი მიდგომა ავტორს შესაძლებლობას აძლევს, გამიჯნოს კავკასიური მითოლოგიური პლასტი უცხო დანაშრევებისაგან, გამოყოს საერთოკავკასიური მითოლოგიური ბირთვი და ლოკალური (საკუთრივ აფხაზურ-ოსური) თავისებურებანი, გამოავლინოს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური მითოლოგიური და საწესჩვეულებო თანხვედრები, რაც, ავტორის აზრით, ამ ხალხების ხანგრძლივი და ინტენსიური ურთიერთობის მანძილზე მათი კულტურების არამარტო ორმხრივი ინფილტრაციის შედეგია, არამედ წარმოადგენს ამ კულტურათა საერთო არქეტიპიდან მომდინარეობის ფაქტს, ანუ იმ ბაზისს, რომელიც, სხვა ეთნიკურ მარკერებთან ერთად, ერთიან კავკასიურ კულტურას უდევს საფუძვლად.

კავკასია არ წარმოადგენს მხოლოდ კონკრეტულ გეოგრაფიულ სივრცეს, ისევე როგორც აღმოსავლეთი და დასავლეთი. ეს ტერმინები იმავდროულად ფასეულობათა სისტემებს, ისტორიულად ჩამოყალიბებულ კულტურულ ღირებულებებსაც გულისხმობს. სწორედ აქ, კავკასიაში, ჩვენი პლანეტის ამ მეტად მცირე და ეთნოლინგვისტურად ძალზე მრავალფეროვან რეგიონში, რომელიც ძველაღმოსავლური ცივილიზაციის ჩრდილოურ პერიფერის წარმოადგენდა და ადრეულ ხანაში ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი ჩრდილოეთისა და სამხრეთის უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური წყალგამყოფი იყო, წარმოიქმნა და განვითარდა ფრიად ორიგინალური კავკასიური ცივილიზაცია, რომელმაც ამ რეგიონის თანამედროვე მოსახლეობის ეთნოგენეზში და ეთნიკური კულტურების ფორმირებაში სუბსტრატის როლი ითამაშა. „როგორც არ უნდა განსხვავებდნენ ერთმანეთისაგან თავს კავკასიელი ხალხები, - წერს ნ. ანთელავა, - მათი ქცევებისა და სოციალური სტრუქტურების საფუძველს წარმოადგენს (ყოველ შემთხვევაში, წარსულში წარმოადგენდა) ერთი და იგივე არქეტიპი, რომლის ბაზაზე დაფუძნებულია კულტურის ერთიანი კავკასიური ტიპი“. ამ მართებული აზრის მიხედვით, ქართული ეთნიკური კულტურის სუბსტრატული არქეტიპი სწორედ საერთოკავკასიური კულტურაა. ასე ესმოდათ ქართულ-კავკასიური პრობლემა ჩვენი ისტორიოგრაფიის პატრიარქებს. ასე ესმით იგი თანამედროვე მეცნიერ-კავკასიოლოგებს. ამ შეხედულების ქვაზიმეცნიერულ რევიზიას საერთო არაფერი აქვს ქართულ-კავკასიურ სანამდვილეში ისტორიულად ჩამოყალიბებულ რეალურ ვითარებასთან. შესაბამისი კავკასიური მონაცემების გაუთვალისწინებლად ქართველთა ეთნოგენეზის, ეთნიკური ისტორიისა და ეთნოკულტურული საწყისების შესწავლა ყოვლად წარმოუდგენელია.

როგორც ნ. ანთელავა აღნიშნავს, მისი ორივე წიგნი ვრცელტანიან ნაშრომზე („კავკასიის ხალხთა მითები“) მუშაობის პროცესში დაიბადა და აფხაზი და ოსი ხალხების მითოლოგიისა და რიტუალების სრული და სისტემატიზირებული შესწავლის პირველ ცდას წარმოადგენს. მათი მოკრძალებული მიზანია, ერთი მხრივ, დააკმაყოფილოს მკითხველთა ფართო წრის მზარდი ინტერესი ღრმად გაეცნოს მეზობელი ხალხების ისტორიულ წარსულს, მსოფლმხედველობრივ მრწამსსა და ზნეობრივ პრინციპებს, მეორე მხრივ კი,




აფხაზურ-ოსური მითების, ფოლკლორისა და რელიგიური აზროვნების შესწავლის საფუძველზე ხელი შეუწყოს ისეთი კარდინალური საკითხის გადაჭრას, როგორიც არის ამ ორი ხალხის ეთნიკური ვინაობის პრობლემა. ამ მიზნით, ნაშრომებში თავმოყრილი და გაანალიზებულია ნართული ეპოსის ოსური და აფხაზური ვერსიების მითოლოგიურ სახეებთან და სიუჟეტებთან, ხალხურ რწმენა-წარმოდგენებთან (ღვთაებათა პანთეონთან და პანდემონიუმთან) და წეს-ჩვეულებებთან, ეთნოგენეტიკურ გადმოცემებთან დაკავშირებული მდიდა-




რი მასალა. საგაზეთო წერილში შეუძლებელია, დაწვრილებით ვისაუბროთ ნ. ანთელავას ნაშრომების ყველა ღირსებაზე, მაგრამ ასევე შეუძლებელია, ყურადღება არ გავამახვილოთ აფხაზთა და ოსთა ვინაობის პრობლემის შესახებ ავტორისეულ ხედვაზე.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ და „შეუვალ ჭეშმარიტებად“ ითვლება XX საუკუნის 50-იან წლებში პავლე ინგოროყვას მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმად აწინდელი აფხაზები მათი თანამედროვე განსახლების ტერიტორიაზე ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან გვიან შუასაუკუნეებში ჩამოსახლდნენ. ნ. ანთელავას ეჭვი შეაქვს ამ შეხედულების მართებულობაში და არსებული მონაცემების (წერილობითი წყაროების, ეთნოლოგიური, ლინგვისტური, ანთროპოლოგიური, ფოლკლორული და სხვ. მასალების) გათვალისწინებით ასკვნის, რომ აფხაზები ქართველების გვერდიგვერდ სულ მცირე ორი ათასი წელია სახლობენ და რომ დღევანდელ აფხაზებს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ენობრივ ბარიერს, ეთნიკური კულტურის ყველა პარამეტრით გაცილებით მეტი აქვთ საერთო ქართველებთან, ვიდრე ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მკვიდრ ეთნოსებთან. ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, აფხაზები დასავლურქართულ ტიპს განეკუთვნებიან და ამ მხრივ შორს დგანან ენობრივად ახლომონათესავე აბაზებისგანაც კი. ყოვლად შეუძლებელია, დროის ასე მცირე მონაკვეთში მსგავსი ანთროპოლოგიური და ეთნოკულტურული სიახლოვე ჩამოყალიბდეს, ეს ორი ხალხი ერთმანეთთან ინტენსიურ საქორწინო ურთიერთობაში მყოფ ჯგუფებადაც რომ განვიხილოთ. ვფიქრობთ, ანგარიშგასაწევია ავტორის მოსაზრება.

ოცდაათ წელიწადზე მეტი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ფრიად ავტორიტეტულ მკვლევართა, მათ შორის ქართველ მეცნიერთა (არქეოლოგთა, ანთროპოლოგთა, კულტუროლოგთა და სხვ.), მნიშვნელოვანმა ნაწილმა ახლებურად დააყენა ოსთა ეთნოგენეზის საკითხი. ისინი თვლიან, რომ ოსები ალანთა პირდაპირი შთამომავლები არ არიან და რომ კავკასიაში მოსული ალანებისაგან ოსი ხალხის ადგილობრივმა წინაპრებმა მათგან მხოლოდ ირანული ენა აითვისეს. ნ. ანთელავა ოსი ხალხის მითოლოგიური და რელიგიური სისტემების შესწავლის, მათში ძველირანული (ზოროასტრამდელი) და სკვითურ-სარმატული მითოლოგიური პლასტის გამოვლენის საფუძველზე, აღნიშნავს: „...ვინც ღრმად იცნობს ოსთა ეთნოკულტურული სტრუქტურების მოზაიკას, მითოლოგიასა და რელიგიას, ნართული ეპოსას ოსურ რედაქციას, შეუძლებელია, მათში მომძლავრებული ჩრდილოირანული (სკვითურ-სარმატულ-ალანური) კულტურულ-ისტორიული ნაკადი არ დაინახოს. კავკასიური სუბსტრატის გვიანდელი დომინანტური როლი, რომელიც ეფემერული არავითარ შემთხვევაში არ არის, ვფიქრობ, მეურეული მოვლენაა და ოსების ეთნოგენეზში კავკასიური კომპონენტის, როგორც თავდაპირველი ფაქტორის, აღიარება შეცდომა იქნებოდა. დღეისათვის არსებული მონაცემების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ოსები ალანთა პირდაპირი შთამომავლები არიან. ბიზანტიური წყაროების ალანები, რუსული მატიანეების ?ასები (???) და ქართულის - ოვსები//ოსები ერთსა და იმავე ხალხს აღნიშნავს. ამ საკითხში დაეჭვება, ისევე როგორც დაჭვება ბერძნული წყაროების იბერების ქართულ წარმომავლობაში, შეუძლებელია“.

უნდა ითქვას, რომ წიგნები უხვად არის ილუსტრირებული აფხაზი, ოსი და ქართველი მხატვრების მიერ მითოლოგიურ თემებზე შექმნილი ფერწერული და გრაფიკული ხასიათის რეპროდუქციებითა და აფხაზურ-ოსური ტრადიციული ყოფისა და კულტურის ამსახველი ფოტომასალით, რაც მათ მკითხველისათვის უფრო მიმზიდველს ხდის.

**ჯონი კვიციანი**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი**

# „ბოლომდის დამთმენი გადარჩება“?!

**მოსალოდნელი ანტიქრისტე იქნება, თუ შეიძლება ითქვას, ხორცშესხმული ეშმაკი“.**
*იოანე მახარებელი*




უცხოური ინტერნეტსაიტები გასულ კვირას იუწყებოდნენ, აშშ-ში ძალაში შევიდა კანონი, რომელიც აშშ-ის მოსახლეობას მიკროჩიპის ინპლანტაციას ავალდებულებს. ეს უკვე აღარ არის ნებაყოფლობითი, ისე, როგორც დღეს საქართველოშია. ქართული სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენელთა ნაწილი ამას სასტიკად ეწინააღმდეგება, ჩვენი საზოგადოების სხვა ნაწილს კი მიაჩნია, რომ ელექტრონული პასპორტები, რომელსაც, როგორც ამბობენ, შემდეგ სხეულში ე.წ. ჩიპის გადანერგვა მოჰყვება, ილუზია და მითია და სხვა არაფერი.

გასულ კვირას სრულიად მოულოდნელად ერთმა ქრისტეს მოშიშმა ადამიანმა, რომელიც კახა მაღლაკელიძედ გამეცნო, მეტად საინტერესო ბროშურა მისახსოვრა, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი ჩიპიანი პასპორტებისა და ინპლანტანტების შესახებ, რომლებიც, საზოგადოდ გავრცელებული ინფორმაციით, ანტიქრისტეს მონად აქცევს კაცობრიობას და სამუდამოდ დაღუპავს მათ სულებს.

სად და რატომ შეიქმნა მიკროჩიპები ადამიანის კანქვეშ ჩასანერგად? ამის შესახებ პროშურაში კომპიუტერული მიკროსქემების სპეციალისტი, დოქტორი **კოლ სანდერსენი** ლაპარაკობს. ის ამბობს, რომ ასეულობით სპეციალისტი მუშაობდა მცირე ზომის მიკროსქემიანი ბიოჩიპის შესაქმნელად, რომელიც საინექციო შპრიცის ნემსში უნდა მოთავსებულიყო. ექსპერიმენტის შედეგად, რომელიც ცხოველებზე ტარდებოდა, ცხადი გახდა ორგანიზმის ის ნაწილი, საიდანაც 250 000 ნაწილაკისგან შედგენილი მიკროჩიპი კვებას შეძლებდა. მიკროჩიპის დასატენად ტემპერატურის ხშირი ცვალებადობა იყო საჭირო, ამიტომაც ამოირჩიეს შუბლი და მარჯვენა ხელი.

აი, რას ამბობს თავის გამოსვლაში კოლ სანდერსენი: ***„აშშ-ის ვიცე- პრეზიდენტის ალბერ გორის კაბინეტში ითქვა, რომ ქვეყნის ყოფილმა მოქალაქემ სმარტ-ბარათები უნდა იქონიონ. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა მომზადება ბიოჩიპის შეყვანისთვის, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ ალტერნატივის გარეშე მოუწევს მის მფლობელებს.***

***მინდა ყველას ვუთხრა — არ მიიღოთ იგი.***

***მე ვესაუბრე ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლებს, რომლებმაც მითხრეს, რომ მთავრობაში, მაგალითად, ჰენრი კისინჯერი, ლაცენბერგი და სხვები მსჯელობდნენ, რომ ვერ გააკონტროლებდნენ ადამიანებს, თუ მათ არ დატვიფრავდნენ ბიოჩიპით“.***

ჩიპი გახლავთ კანქვეშ შეყვანილი მიკროსქემა, რომელიც ასხივებს რადიოტალღებს და მისი საშუალებით ნებისმიერი ადამიანის პოვნა შეიძლება ნებისმიერ ადგილას, თვით მიწის ქვეშაც კი. ამით შესაძლებელია ადამიანის გონებაზე მოქმედება, მისი მართვა გიგანტური კომპიუტერული ქსელის მეშვეობით, რომელსაც „**The Beast**“ („მხეცი“) ეწოდება.

## ვინ დგას სინამდვილეში ყოველივე ამის უკან?

რამდენიმე კვირის წინ „საერთო გაზეთი“ წერდა „ბილდერბერგერთა“ საიდუმლო მასონური გაერთიანების შესახებ, რომელშიც სხვადასხვა მონაცემებით, რუსეთის მთავრობის მაღალჩი-




ნოსნები, ოპოზიციონერი გარი კასპაროვი, ედუარდ შევარდნაძე „მაგისტერიუმის“, სამეფო საიდუმლოს უმაღლესი თავადის წოდების მატარებელი, მალტის ორდენის ქველოჟის წევრი და თვით მიხეილ სააკაშვილიც კი ირიცხება, რომელიც მალტის ორდენის კავალერი ყოფილა. 2005 წელს სააკაშვილი მალტის სუვერენული ორდენის დიდ მაგისტრს **ენდრიუ ბერტის** ცოლთან — სანდრა რულოვსთან და ქართული ხელისუფლების წარმომადგენელთა ერთად ეახლა. **(www. orderofmalta.org.)** უკვე მრავალმა საქმეში ჩახედულმა ადამიანმა გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს რამდენიმე დაჯგუფება აკონტროლებს და მართავს. თანდათან აშკარა ხდება მასონური ოკულტიზმის კავშირის შესახებ მაღალ ფინანსურ წრეებთან და პოლიტიკასთან.

მწერალი ი.ვ. **ჰელზინგის** მტკიცებით, მდიდარმა იუდეველმა რაბინებმა, რომლებიც მსოფლიოში გაფანტულ ებრაელთა რელიგიური და პოლიტიკური ლიდერები იყვნენ, ჩამოაყალიბეს ჯგუფი, რომელსაც „სიონელ ბრძენთა“ სახელწოდება შეურჩიეს, როგორც იუდაიზმის „მესიანური“ ელიტის წარმომადგენლებმა.

მსოფლიო მასონობა, რომლის სათავეში როტშილდები დგანან, ფართოდ არის განტოტილი მსოფლიოში. იგი იჭრება პოლიტიკაში, ეკონომიკასა და თვით კულტურაშიც კი. ამ დონეზე ხდება ერების „ფორმირება“, ომების დაწყება, პრეზიდენტების არჩევა, რომლებიც შემდგომ მათი ნების უსიტყვო შემსრულებლები არიან... მას შემდეგ რაც XX ს-ის II ნახევარში მასონებმა ევროპიდან აშშ-ში გადაინაცვლეს, როგორც ბროშურაშია აღნიშნული, მოახერხეს ის, რომ შექმნეს აშშ-ის კონსტიტუცია, ამერიკის ბეჭედი, სახელმწიფო გერბი — ფენიქსი, რომელიც იუდეველთა ბედნიერების რიცხვ 13-ის ტრანსფორმაციაა.

ებრაელი სიონისტები, რომლებიც თავს ილუმინატებს, ანუ განათლებულებს და მცოდნეებს უწოდებენ, საერთაშორისო ბანკების მეშვეობით ისწრაფვიან განამტკიცონ გავლენა მთელ პლანეტაზე. კონტროლის უმთავრესი იარაღი სახელმწიფო ნაციონალური დავალიანებაა. საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი (ამ ორგანიზაციების კოდის ნომერია 666) აქტიურად ახორციელებს ამ გეგმას.

(თუმცა არსებობენ სახელმწიფოები, რომლებიც ამ კონტროლსგარეთ არიან, მაგალითად, ლიბია და ირანი. რა სანქციები მიმდინარეობს მათ წინააღმდეგ, თავად განსაჯეთ).

სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის გვერდით ბროშურაში მოხსენიებულია აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო **USAID**.

ანტონ ჩაიტკინისა და ჯესიკა პრიმაკის სიტყვებით, **USAID** დაძაბულობის სტრატეგიაში მოქმე-



დებს არა როგორც ცსს (აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამსახური) საჯაშუშო ოპერაციების ტრადიციული საფარი, არამედ მთლიანად არის მომხრე და პასუხისმგებელი ანგლო-ამერიკული ჯგუფები მართავდნენ მსოფლიოს.

ფონდი სხვადასხვა პროექტებს ახორციელებს ადამიანთა მსოფლმხედველობის შეცვლასთან დაკავშირებით, საზოგადოების აზროვნების ფორმირების საკითხში და ა.შ.

ამ ფონდის ფინანსებით, ბროშურაში მოცემული ინფორმაციის თანახმად, საქართველოში მაუწყებლობს რამდენიმე ტელევიზია და იბეჭდება რამდენიმე ცნობილი გაზეთი.

მასონობას აქვს ღრმა მისტიური სარჩული. ისინი ამზადებენ ბაზისს მსოფლიო მმართველობის დასამყარებლად, რათა მონობაში ჰყავდეთ მსოფლიო. მათი განზრახვაა ნელ-ნელა, ბარათების და პირადობის მოწმობების შემდეგ, ანუ პერონალური დოსიეების შექმნის მერე დაიწყონ ბეჭდის დასმა. ადამიანებს აიძულებენ მიიღონ ბეჭედი შუბლზე ან ხელზე...

1770 წელს ინგოლშტატში დაარსებული „ბავარიელი ილუმინატების“ დოკუმენტი კურიერს მიჰქონდა ფრანკფურტიდან პარიზში. კურიერს მეხმა დაარტყა და იქვე გარდაიცვალა, ასე იხილა ამ საიდუმლო დოკუმენტმა მზის ნათელი. ჩვენ დღეს იმ საიდუმლო გეგმის ნაწილს გთავაზობთ, რითაც თავადაც დარწმუნდებით, რაც ჩვენს თავს ხდება, შემთხვევითი მოვლენები არ არის.

***„— პირველი საიდუმლო, ადამიანის მართვის საქმეში, საზოგადოებრივი აზრის დაუფლებაა, ამასთანავე საჭიროა ისე ხანგრძლივად სთესო განხეთქილებები, ეჭვი და დანერგო ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისი, სანამ ხალხი საბოლოოდ არ დაიბნევა და არ დაკარგავს ორიენტირებას არეულობაში. არ გადაწყვეტს, რომ უკეთესია პოლიტიკურ საკითხებში საერთოდ არ ჰქონდეს საკუთარი აზრი. საჭიროა გამოწვეული იქნას სახალხო უკმაყოფილება, გავრცელდეს სულიერებას მოკლებული, ბინძური და მდარე ლიტერატურა. პრესის ამოცანაა დაამტკიცოს, რომ არაილუმინატები უუნარონი არიან სახელმწიფო და რელიგიური ცხოვრების ყველა სფეროში.***

***— მეორე საიდუმლო მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანთა სისუსტეები, ყველა ცუდი ჩვეულება, ყველა ღირსეული სინანული და ყოველი მათი შეცდომა იქცეს საყრდენად და საბოლოოდ ადამიანებმა ველარ უნდა გაუგონ ერთმანეთს.***

***— უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, მთელი ძალით ბრძოლა ცალკეული პიროვნების წინააღმდეგ, რადგან მასზე უფრო საშიში არაფერია, მით უმეტეს, თუ ის ფლობს შემოქმედებით სულიერ ენერგიას, რისი საშუალებითაც მას შეუძლია მიაღწიოს უფრო მეტს, ვიდრე მილიონობით ადამიანს.***

***— შურის, სიძულვილის, უთანხმოებისა და ომების საშუალებით, ხელმოკლეობით, შიმშილით და გადამდები სენის გავრცელებით ხალხი უნდა დავიდეს იმ დონემდე, რომ მთლიანად დაექვემდებაროს ილუმინატებს.***

***— საზოგადოების გახრწნით ხალხი სრულებით დაკარგავს ღმერთის რწმენას.***

***— დამოუკიდებელი აზროვნების უნარი უნდა აღმოიფხვრას ხალხში მზა შეხედულების თანმიმდევრული დანერგვით. სულიერი ძალების მოშლა უნდა მოხდეს ფუჭი დემაგოგიის მეშვეობით. თავისუფალი აზრები, რომელსაც პარტიები წამოაყენებენ, ილუმინატების ორატორებმა ისე უნდა განავრცონ, რომ ხალხი და-***

ილალოს მოსმენით და ამით მათში გამომუშავდება სიძულვილი ნებისმიერი ორიენტაციის ორატორის მიმართ. ამის საწინააღმდეგოდ კი ილუმინატების სახელმწიფო სწავლება მოქალაქეებს უნდა მიეწოდოს იმგვარად, რომ არ იყოს მომაბეზრებელი, რათა ვერც შეძლონ მისი განსჯა.

— მასა უნდა იყოს უგუნური, ბრმა და საკუთარ აზრს მოკლებული. რათა მათ ვერ შეძლონ პაექრობა სახელმწიფო წყობილების შესახებ. მათ უნდა მართავდეს სამართლიანი, მაგრამ სასტიკი ძალა და უსიტყვო მორჩილების პრინციპი.

— მსოფლიო ბატონობას შეიძლება მიაღწიო მხოლოდ შემოვლითი გზით, ყველა ჭეშმარიტი თავისუფლების — კანონმდებლობის, არჩევნების წესის, პრესის, პიროვნების თავისუფლებისა და უპირველესად კი, აღზრდისა და განათლების სისტემის მიზანმიმართული შერყევით. ყოველივე ეს ღონისძიება მკაცრად გასაიდუმლოებული უნდა იყოს.

— სახელმწიფო წყობის მიზანმიმართული შერყევით ხელისუფლება უნდა აწამო მანამდე, სანამ მზად არ იქნება, მშვიდობის შენარჩუნების სანაცვლოდ მთელი თავისი ძალაუფლება გადმოგვცეს ჩვენ.

— ევროპაში უნდა აღიძრას გაუგებრობა ხალხებსა და ერებს შორის, ასევე რასობრივი და რელიგიური სიძულვილი იმისათვის, რომ გაჩნდეს გადაულახავი განხეთქილება, რათა არც ერთ ქრისტიანულ სახელმწიფოს არ შეეძლოს მხარდამჭერთა მოძებნა, ვინაიდან სხვა დანარჩენი ქვეყნები




დაშინებულნი იქნებიან, ხოლო ნებისმიერი კავშირი ილუმინატების წინააღმდეგ უაზრობა იქნება.

— სამყაროს სხვა ნაწილებში საჭიროა განხეთქილების, არეულობის, მტრობის დათესვა, რათა შიშს მიაჩვიო სახელმწიფო და ჩაახშო წინააღმდეგობის გაწევის ყოველი შესაძლებლობა.

— პრეზიდენტების დელეგირების გზით საომარი მოქმედების გამოცხადების უფლების მოპოვება და მთელი საჯარისო ძლიერებაც ილუმინატების ხელში აღმოჩნდება.

— „გაუნათლებელი მმართველნი" უნდა ჩამოიშორონ (გადააყენონ) სასახლის გადატრიალებებისა და აგენტურის ოპერაციების მეშვეობით, რათა მათ ვერ შეძლონ სახელმწიფო საქმეების მართვა.

— ილუმინატებმა მაღალჩინოსანი სახელმწიფო მოხელეები უნდა აიძულონ სესხი სერიულად აიღონ, რის შედეგადაც მათ ექნებათ საკრედიტო დავალიანება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მათ სახელმწიფო ვალს.



— სპეციალურად კარგად გათვლილი ეკონომიკური კრიზისების მეშვეობით, რომლის დროსაც ყველა ხელმისაწვდომი ფულადი საშუალება ამოღებული იქნება ბრუნვიდან, მოხდება „არაილუმინატების" ფულადი მეურნეობის ძირის გამოთხრა.

— საყოველთაო და თანაბარი არჩევნების წესის შემოღებით უნდა დამყარდეს უმრავლესობათა განუყოფელი ბატონობა. დამოუკიდებლობის მიჩვევით განადგურდება ოჯახი და მისი აღმზრდელობითი ძალა. განათლების საშუალებით, რომელიც ცრუ და ყალბ სწავლებაზეა დამყარებული, უნდა მოხდეს ახალგაზრდობის გამოთაყვანება, გახრწნა და გზიდან ჩამოშორება.

— საჭიროა კავშირი უკვე არსებულ ლოჟებთან. ასევე დაარსება თავისუფალ კალატოზთა ახალი ლოჟებისა, რომლებიც განაგრძობენ მიმოფანტული ორგანიზაციების საქმეს სასურველი მიზნის მისაღწევად. არავინ არ იცნობს მათ და მათ მათ მიზნებს. მით უფრო არ იცნობენ მათ სულელი არაილუმინატები, რომლებიც ეცდებიან თავისუფალ კალატოზთა გახსნილ ლოჟებში გაწევრიანებას მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტად აეხვიოთ თვალნი.

— ყველა ამ ღონისძიებათა მეშვეობით ხალხი უნდა მივიდეს იმ აზრამდე, რომ ილუმინატები მიიწვიონ მსოფლიო ბატონებად (მმართველებად). ახალი მსოფლიო მთავრობა უნდა წარმოდგეს, როგორც კეთილმოსურნე ხელმძღვანელი — შირმა, რომელსაც ნებაყოფლობით მიმართავენ. (მსოფლიოს დაპყრობის უმაღლესი შტაბ-ბინა ნიუ-იორკში მდებარეობს გაეროს სახით, რომლის უკანაც „მსოფლიო ფარდის მიღმელები" (ილუმინატები) დგანან, ხოლო მათ ხელში სადამსჯელო იარაღს წარმოადგენს ჩრდილოატლანტიკური ალიანსი (ნატო). თუ რომელიმე სახელმწიფო წინააღმდეგობას გაუწევს მას, მისივე მეზობელი სახელმწიფოები დაიწყებენ მის წინააღმდეგ ომს. ასეთი მმართველობის შექმნა მოითხოვს მსოფლიო ომის ორგანიზებას (კორალფი: „მაიტრეია, მომავლის მსოფლიო მასწავლებელი", კონიფერლაგი, 1991, გვ. 115).

„გაფრთხილდით, რომ არავინ შეგაცდინოთ".

**5. ვინაიდან ბევრნი მოვლენ ჩემი სახელით და იტყვიან: მე ქრისტე ვარო და მრავალს შეაცდენენ.**

**6. ასევე მოისმენთ ომებზე და ომების ამბებს; იცოდეთ, ნუ შეძრწუნდებით, ვინაიდან ეს უნდა მოხდეს, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის აღსასრული.**

**7. ვინაიდან აღდგება ერი ერის წინააღმდეგ და სამეფო სამეფოს წინააღმდეგ და იქნება შიმშილი და მიწისძვრანი ადგილ-ადგილ.**

**8. ხოლო ყოველივე ეს შშობიარობის ტკივილთა დასაწყისია.**

**11. მრავალი ცრუ წინასწარმეტყველი აღდგება და ბევრს შეაცდენს.**

**12. და რაკი გამრავლდება ურჯულოება, მრავალს გაუნელდება სიყვარული.**

**13. ბოლომდის დამთმენი გადარჩება (მათე თ. 24).**

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18




## xa l xis az r iT

სტიქიისგან დაზიანებული ნაგებობების უდიდესი ნაწილი სააკაშვილის "აღმშენებლობის" ნიმუშებია. კოსმეტიკის ქვეშ ჩამალული ნიფნიფიზმი ქარმა გამოაჩინა.

მოკლედ, თემა ასეთია: ხუხაშვილმა ორ ფურცლადააფრიალა ვაშაძის "საქმენი საგმირონი"... ვაშაძემ ხუხაშვილს ვინ მისცაო ეს მიმოწერა, ეს ხომ კონფიდენციალურიაო... ხედავთ, თურმე, რაშია საქმე? კონფიდენციალური ყოფილა... ეს რუსეთის მოქალაქე თუ უარესი ნამოქალაქარი, ზურგით რომ არ უნდა დაეცეს, გასაგებია, მაგრამ... სახელმწიფო საიდუმლოების რანგში რომ აჰყავს "პირადი მიმოწერა", ძალიან სახალისოა, არა? ზუსტადაც, დაიწყოს გამოძიება თუ ასეა და დაამუნჯონ ეს რუსეთუმე, რუსეთის უკანალში შემძვრალი ჩაჩოჩებულ-ჩასაჩოჩებელი ჩინები, სხვებს (მაგალითად, თუ რუსულად ტოლსტოი წაიკითხა ვინმემ) აგენტებს რომ ეძახიან, თავად კი უვაზელინოდ უძვრებიან "დათვს"...

აღარ უნდა დამთავრდეს პიროვნებებს შორის გარიგებები და ქალაქებისა თუ რაიონების ბედის ასე გადაწყვეტა? ან იქნებ, ასეთი ქმედებები და ამის შესახებ ინფორმაციის გავრცელებით ხალხის პროტესტის გამოწვევა იმ დიდი "ნაციონალური" გეგმის ნაწილია, რომელმაც საბოლოოდ უნდა მოგვცეს ოცნებაზე განაწყენებული, იმედგაცრუებული და შეურაცხყოფილი საზოგადოება, რომელმაც პირველი ოქტომბერი "ავადსახსენებელი დღეების" ნუსხაში შეიყვანოს!

საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო რომ გაუქმდეს, ვითომ დაშავდება რამე? თავად ეკონომიკა არ გვაქვს და დეპარტამენტის სახით რომ მიუერთონ ეკონომიკის გაცოცხლებამდე რომელიმე სამინისტროს, არ შეიძლება?!

ბოლზე ლომკის აშკარა ნიშნებია. ბიძინა ცდილობს, რომ 9 წლის სტაჟის "მწეველ" საზოგადოებას გადააგდებინოს მოწევა. ეს ეტაპი "ლომკის" ეტაპია, საზოგადოება ჯუჯღუნებს, შეიძლება, ხელისუფლებაც ზარალდება, მაგრამ პროპაგანდისტული ნარკოტიკი გადასაგდებია, საზოგადოებამ უნდა ჩაისუნთქოს სუფთა რეალობის ჰაერი და გაიწმინდოს ფილტვები ბოლისგან. მოკლედ, პიარის დეფიციტი შეიძლება ცუდია ხელისუფლებისთვის, მაგრამ კარგია საზოგადოებისთვის. საინფორმაციო "ბოლი" ვნებს რეალობის სწორ აღქმას! :)

19 აპრილს ისეთი პირი უჩანს, დღეს ორად გაყოფილი ნაცები ცალ-ცალკე ჯგუფებად მივლენ, ერთ მხარეს იქნება უშიშროების საბჭოს მდივნის ცოლის სექტა, მეორე მხარეს პროფესორი თუთბერიძის თაფლში ამოვლებული მრევლი... შუაში თუ ავტობუსები არ ჩაიდგა, დიდი ალბათობაა, ერთმა მხარემ რეიგანის ბიუსტების სროლა დაიწყოს, მეორემ კი ცარიელი თაფლის ქოთნების... ნწ, ძალადობას მეგობრებო, ნწ...

როგორც ირკვევა, ყველაზე მაღალი პრემია 13 თვის მანძილზე აიღო პროტოკოლისა და საგარეო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა ზურაბ დარჩიაშვილმა - 47 710 ლარი. გაცემული პრემიის ოდენობით მეორე ადგილზეა პრეზიდენტის პრესსამსახურის უფროსი ნათია ბანძელაძე - 40 013 ლარი. მესამე ადგილზეა პრეზიდენტის ერთ-ერთი მრჩეველი, რომელმაც 13 თვის მანძილზე 38 940 ლარის პრემია აიღო.

მე მინდა, რომ საქართველოს სულიერმა მამამ ამოიღოს ხმა და შეაჩეროოს ეს პროცესი, გვეყოფა, კახეთს არაბები იღებენ, სამცხე-ჯავახეთი სომხების და მესხებისაა, თბილისში ჩინელები არიან და ქალაქებს უშენებენ, ბათუმში მეჩეთები შენდება.. სადღაა მაშინ საპატრიარქოს ამაგი და კეთილი ნება საქართველოს გადარჩენისა, გამაგებინეეეთ!

პროსტიტუცია საქართველოში კანონით დაუშვა ხელისუფლებამ?...... აბა ბათუმში რა გახდა ბორდელების დახურვა?..., ასე რთულია?... რატომ არ იღებს ხმას ბათუმის მაჟორიტარი?

ამას იმიტომ არ ვწერ, რომ ვილაცამ ან მოძრაობა ლაზარე განიკითხოს ან „რესპუბლიკელები"! მოძრაობა „ლაზარეს" დამფუძნებელმა ბატონმა რეზო ამაშუკელმა გამოთქვა გარკვეული კრიტიკული მოსაზრებები „რესპუბლიკურ" პარტიაზე....სად იყო და სად არა თავი ამოყო ჟურნალისტის მანტიამოსხმულმა მეცოცხეების გამპრავებელ ზონდერ-პირუტყვმა ლაშა ბერულავამ, თურმე ამ საქონელს ძაან აღელვებს ბატონი რეზო ამაშუკელის მოსაზრებები და არიქა!!! ბენზინი გადაასხა ბატონ რეზოს სიტყვებს და თავისი ღორის ქონით გაპოხილი ტვინით ჩორტიც ჩააგდო...... ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს ღნაცებმა ამ უნიჭო არსებას რატომ შეუქმნეს ახალი პორტალი, აუყროლდა პრესა გე. ბოლმა ბოროტებისგან და დღეს გვევლინება ვითომ მიუკერძოებელ ჭურნალისტად..... დიდი მადლობა ბატონ რეზო ამაშუკელს და ქალბატონ თინა ხიდაშელს, მიუხედავად პოლიტიკური რადიკალური განსხვავებებისა, ამ ვანოს იაფფასიანი ძონძის პროვოკაციას, რომ არ წამოეგნენ და ღირსეული პასუხი გასცეს!!!

# საქართველოში აკრედიტებულ უცხო ქვეყნების საელჩოებს და მსოფლიოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მისიათა წარმომადგენლებს საქართველოში

**ქალბატონებო და ბატონებო, რატომ არ აღშფოთდით და რატომ არ შეშფოთდით:**

როცა 1991 წლის 22 დეკემბერს, ქ. თბილისში, ხოლო შემდგომ მთელ საქართველოში დაიწყო შეიარაღებული ამბოხი კანონიერი ხელისუფლებისა და პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ?

როცა, 1992 წლის 2 თებერვალს ქ. თბილისში, ვაგზლის მოედნიდან პარლამენტის შენობისაკენ მიმავალ მრავალათასიან საპროტესტო მანიფესტაციას, ცირკის შენობასთან, „მხედრიონისა“ და გვარდიის შეიარაღებულმა ბანდებმა ცეცხლი გაუხსნეს. შედეგად დაიჭრა ბევრი მშვიდობიანი მანიფესტანტი, 16 წლის ყმაწვილი, ტერიშვილი კი ადგილზე დაიღუპა.

როცა, ქ. თბილისში მოსკოვიდან „ჩამობრძანებულმა“ საქართველოს დამაქცევარმა, იუდა ისკარიოტელმა ე. შევარდნაძემ ქვეყნის სათავეში მოქცევის შემდეგ დაიწყო კანონიერი ხელისუფლების მომხრეების დევნა-შევიწროება, შეთითხნილი ბრალდებებით მათი საპყრობილეებში ჩაყრა და წამება?

როცა შევარდნაძის უშუალო ბრძანებით, „მხედრიონისა“ და გვარდიის შეიარაღებული ბანდები მთელი საქართველოს მასშტაბით აოხრებდნენ და აწიოკებდნენ მოსახლეობას,ართმევდნენ სარჩო-საბადებელს, განსაკუთრებული სისასტიკით იქცეოდნენ სამეგრელოში. ამ ბანდებმა სამეგრელო ხუთგზის ააოხრეს. მამის წინაშე გააუპატიურეს არასრულწლოვანი გოგონა, მხატვარ ნოდიას მოჰკვეთეს მკლავი იმისათვის, რომ დახატა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პორტრეტი.

როცა 1992 წლის 14 აგვისტოს საზღვარგარეთიდან ინსპირირების და დავალების საფუძველზე, და იგივე შევარდნაძის ბრძანებით, აფხაზეთში შეიყვანეს შეიარაღებული ბანდები, რკინიგზის დაცვის მოტივით. რასაც მოჰყვა ნგრევა და ადამიანების უმოწყალოდ დაღუპვა.

როცა 2003 წლის 22 ნოემბერს, ისევე საზღვარგარეთის წაქეზებით და ხელშეწყობით (დაფინანსებით), სააკაშვილი თავის დამქაშებთან ერთად შეიჭრა სხდომათა დარბაზში, სადაც მიმდინარეობდა გაყალბებულად ჩატარებული არჩევნების შემდეგ, პარლამენტის (რომელსაც თქვენ არა ერთხელ დიდსულოვნად დაუჭირეთ მხარი!) სხდომა და ეგრეთწოდებული დეპუტატები აიძულა დაეტოვებინათ სხდომათა დარბაზი; დარბაზში შეჭრილები კი მაკაკებივით დახტოდნენ მაგიდებზე და ღრიალებდნენ. შემდეგ თურმე დამლაგებლები ტომრებით ეზიდებოდნენ მათ მიერ მოხმარებულ და იქ დაყრილ შპრიცებს.



როცა 2004 წლის 12 მარტს ისევ სააკაშვილის რეჟიმის მომხრეებმა, რომლებმაც ისევ გაყალბებით ჩატარებული ვითომ არჩევნების მეშვეობით, თქვენთვის ჩვეული გულმოდგინებით მიეცით მწვანე გზა ბოკერიას, მერაბიშვილის, ადეიშვილის და ბარამიძის ხელმძღვანელობით, გლდანში, სატვირთო მანქანით შეანგრიეს მართლმადიდებლური ეკლესიის კარი, დაარბიეს მრევლი და მღვდელი ბასილ მკალავიშვილი რამდენიმე მხარდამჭერ მრევლთან ერთად დააპატიმრეს და ჩასვეს ციხეში, სადაც წლების განმავლობაში აწამებდნენ და ჰყავდათ გაუსაძლის პირობებში.

როცა, 2007 წლის 20 მაისს, დღისით, მზისით, მელიქიშვილის ქუჩაზე №16 სახლთან, ხალხის თვალწინ დახვრიტეს მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი გურამ შარაძე.

როცა 2007 წლის 7 ნოემბერს, თქვენგან ქებულმა სააკაშვილის ხროვამ უმოწყალოდ დაარბია მშვიდობიანი მომიტინგები, დაწყებული პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიიდან, რუსთაველის გამზირზე, კოსტავას ქუჩაზე, რიყეზე და მთელ ქალაქში, რომელთა წინააღმდეგ გამოიყენეს ცრემლმდენი გაზი, რეზინის ტყვიები, ხელკეტები. სადაც კი წააწყდებოდნენ ყველგან უსასტიკესად უსწორდებოდნენ. იმავე დღეს სასტიკად იქნა დარბეული ტელეკომპანია „იმედი“. როცა საქართველოს მთელი მასშტაბით მიმდინარეობდა უდანაშაულო ხალხის, მათ შორის განსაკუთრებული სისასტიკით ახალგაზრდების ქუჩებში ხვრეტა. სანდრო გირგვლიანი უკიდურესად არაადამიანურად იქნა წამებით მოკლული ოქროყანაში. ბუტა რობაქიძე თბილისში, დიდუბის ეკლესიასთან ხელებაწეული დახვრიტეს... შვილის სიკვდილი ორჯერ გამოვცადე და კარგად ვიცი ყოველივე. სხვისი შვილების სიცოცხლეს ასე ზერელედ ნუ უყურებთ!

როცა 2011 წლის 26 მაისს რუსთაველის გამზირზე უსასტიკესად იქნენ დარბეული მშვიდობიანი მომიტინგეები, ხოლო მათ მიერ დახოცილთა გვამები მეტროს გვერდით მდებარე სახაჭაპურის თავზე მათ მიერვე იქნენ დაწყობილნი...

როცა 2012 წლის 18 სექტემბერს „მაესტრო“-ს ეთერით აჩვენეს, ნორმალური ადამიანისათვის გამაოგნებელი კადრები, თუ რა საშინელებებს სჩადიოდნენ „ნაცების“ დამქაშები საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

როცა სააკაშვილმა პარლამენტის ტრიბუნიდან ამაყად განაცხადა, რომ აფრასიძეების ოჯახის დახვრეტის ბრძანება გასცა, ამ სამარცხვინო ოპერაციას ხელმძღვანელობდა მაშინდელი შსს მინისტრი.

როცა ქვეყნის სათავეში მოსვლისთანავე დაიწყო მათთვის („ნაცებისათვის“!) მიუღებელი ადამიანების დაპატიმრებები, ტელევიზიის თანხლებით, რათა ხალხში უფრო მეტი შიში დაეთესათ.

როცა სააკაშვილმა შეგნებულად წამოიწყო პროვოკაციული ავანტიურა და ღამით დაიწყო მძინარე ცხინვალის დაბომბვა, რასაც მოჰყვა უამრავი ადამიანური და მატერიალური მსხვერპლი. დავკარგეთ ტერიტორიის 20 პროცენტი.

ქალბატონებო და ბატონებო, მინდა გკითხოთ და გთხოვთ გულწრფელად მიპასუხოთ: სააკაშვილს საპრეზიდენტო ვადა გაუვიდა 2013 წლის 20 იანვარს, მაგრამ პრინციპულად არ ტოვებს პრეზიდენტის სკამს, თქვენს ქვეყნებში ასეთ ვითარებას როგორ მიიღებდა ხალხი? ალბათ, ისიც გეცოდინებათ, რომ სააკაშვილის თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნით მილიონზე მეტი ხელმოწერა შეგროვდა. რა ჰქნას ხალხმა, მაინცდამაინც რეზიდენციაში მიუვარდეს და ძალით გამოიყვანოს? ამ ვადაგასულ სააკაშვილს კი ჰყოფნის თავხედობა, გამოდის ხალხის წინაშე და თხოულობს, რომ მოქმედმა ხელისუფლებამ გამოაცხადოს ეკონომიკური ამნისტია?!

**ანზორ დანელია**

# ნაციონალურმა მოძრაობამ მთელი თაობა დაღუპა

**ამ წერილის დაწერა გადამაწყვეტინა 26 თებერვალს ტელეჟურნალისტებთან სააკაშვილის შეხვედრამ, სადაც მან მისთვის ჩვეული ოსტატობით ილაპარაკა ყველაფერზე. იმდენი ცილი დასწამა ბევრ ადამიანს, იმდენი უკადრებელი იკადრა, რომ აშკარად ჩანდა, ძალიან შეწუხებულია იმის მოლოდინით, რომ ახლო მომავალში აუცილებლად მიიღებს რიგითი ადამიანის სტატუსს ან კიდევ სხვა რამეს, სამართლიანობის შემთხვევაში. იმდენად არის დაბოღმილი, რა გააკეთოს, არ იცის და თავისი დაუფიქრებელი გამოხტომებით საქვეყნოდ გვჭრის თავს. სჭირდება ჩვენს ქვეყანას ასეთი სახელგატეხილი და თავმოჭრილი ვადაგასული პრეზიდენტი?!**

აქვე მინდა ვუთანაგრძნო იმ ადამიანებს, რომლებიც 9 წლის განმავლობაში უსამართლობისა და განუკითხაობის მსხვერპლი გახდა, მათ შორის, თქვენი მონა-მორჩილიც, ამ სტრიქონების ავტორი, რომელიც 9 წელია უმუშევარი არის და რა მორალურ-ფიზიკური, ეკონომიური მდგომარეობა გადავიტანე, რომლის ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს, ჩემს გარეშეც იმდენი საინტერესო უდანაშაულო ადამიანი იჯდა ციხეში სასტიკად წამებული და მათ შორის უმეტესობა ახალგაზრდობა იყო.

ბატონო მიხეილ, იმდენი დანაშაული გაქვს ჩადენილი საზოგადოების წინაშე, ამის პატიება არაფრით შეიძლება. თქვენ მთელი თაობები დაღუპეთ, და დაანგრიეთ ქვეყნის თითქმის ყველა დარგი, რომლის გამოსწორებას ათეული წლები დასჭირდება. ნაციონალური მოძრაობა უნდა გასამართლდეს!



მებადება კითხვა — თქვენს მიერ გაფუჭებული და დანგრეული საქმის შემდეგ დღესაც აგრძელებთ ქვეყნის განვითარების საწინააღმდეგო საბოტაჟს, რომ ცუდად გამოაჩინოთ ახალი ხელისუფლება, როგორც საკუთარი ხალხის წინაშე, ასევე უცხოეთშიც, რისი მაგალითებიც უკვე შესამჩნევად სახეზეა. პირადად მე, ერთ რიგით ადამიანს, მიმაჩნია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ და მათი ლიდერები ბოლო დღეებს ითვლიან და ცდილობენ მათი გამოსვლებით ხალხს, მათ მხარდამჭერებს, რომელთა რიცხვი უკვე მინიმუმამდეა დაყვანილი დაანახონ, რომ კიდევ შეუძლიათ რამის გაკეთება და დაბრუნება ხელისუფლებაში.

მათ გასაგონად მინდა ვთქვა, გონს მოეგეთ, ნუ ჩაყვებით სააკაშვილს საფლავში — ის თავის გადასარჩენად თქვენც გაგწირავთ და ქვეყანასაც გაუფუჭებს იმიჯს, როგორადაც შეუძლია. ამის მაგალითები უკვე სახეზეა. განსაკუთრებით მინდა შევახსენო იმ ადამიანებს, რომლებიც აქტიურობენ. თვითონაც კარგათ, იციან არასწორად რომ იქცევიან და საკუთარი ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე ზიზღს იწვევენ. დაფიქრდით, სანამ დროა, ერთი ქვეყნის შვილებით ვართ. ყველაფერს აქვს საზღვარი. თქვენს შვილებს ხომ უნდა შეეძლოთ თავისუფლად ცხოვრება ამ ქვეყანაში.

დღეს ქვეყანაში დაიწყო მთელი რიგი საკითხების მოგვარება. ამ მოკლე დროში ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ შესამჩნევ წინსვლას უნდა ველოდოთ ახლო მომავალში. ძველმა ხელისუფლებამ ისეთი გაპარტახებული და დანგრეული დატოვა მთელი რიგი დარგები და საწარმოები, რომლის აღდგენას ნამდვილად დრო დასჭირდება, მაგრამ პერსპექტივას უკვე ვხედავ. ერთ-ერთი ასეთი დარგია საქართველოს რკინიგზა, სადაც ჯერ კიდევ ძველი ხელისუფლების კადრები მუშაობენ, რომელმაც რკინიგზა კატასტროფამდე მიიყვანა — დიდი ვალებით, დანგრეული ინფრასტრუქტურით. უზარმაზარი თანხების განიავებით, მილიონობით თანხის გათეთრებით და სხვა. აუცილებლად საჭიროა სასწრაფოდ გამოძიება ყველაფრის, რომ რკინიგზამ შეძლოს ნორმალური საქმიანობა. მიმაჩნია მე, როგორც რკინიგზელს, რომელმაც 30 წელი გავატარე საქართველოს რკინიგზაზე სხვადასხვა თანამდებობებზე სამსახურის უფროსად და მიცნობენ რკინიგზელები, როგორც წარმატებულ მუშაკს. ვაპირებ დავბრუნდე ძველ სამსახურში. რომელიც, მიმაჩნია, რომ ჩემი მეორე ოჯახია. ვარ უკანონოდ დათხოვნილი, მაქვს უდიდესი გამოცდილება, ენერგია, სიყვარული ჩემი საქმისადმი და რაც მთავარია, მუშაობის ჟინი. არ შემიძლია არ ავღნიშნო დღეს არსებული მდგომარეობა საქართველოს რკინიგზაზე. აუცილებლად უნდა დაკომპლექტდეს პროფესიონალი კადრებით, უნდა ვენდოთ ძველ გამოცდილ კადრებს, ეს პროცესი ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო რკინიგზაზე უკვე და ნელ-ნელა ინიშნებიან პროფესიონალები, ალბათ, მოხდება დაკომპლექტება — უნდა მოინახოს რკინიგზის პირველი პირი, ისეთი პროფესიონალი-გამოცდილი, რომელ დროსაც წარულში რკინიგზა ალმავლობის გზაზე იდგა, და რაც მთავარია, უნდა დაისაჯოს ის ხალხი, რომელმაც რკინიგზა ეს საინტერესო სტრატეგიული დანიშნულების ობიექტი გაკოტრების და განადგურების პირას მიიყვანა, და უნდა შეიცვალოს არა საჭირო და გაბერილი შტატები რკინიგზის ძირითადი წამყვანი სფეროები, აქცენტი გადატანილი უნდა იქნას ტექნიკური კადრებით დაკომპლექტებაზე. მე ვფიქრობ, ამას რკინიგზის ახალი ხელმძღვანელი დროში გადაწყვეტს.

წარმატებებს ვუსურვებ ახალ ხელისუფლებას ქართული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში.

პატივისცემით საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი,
საპატიო რკინიგზელი,
დარგის დამსახურებული მუშაკი,
შრომის ორდენის კავალერი,
საქართველოს საპატრიარქოს დარბაზის გამგეობის წევრი
**რევაზ ბარამიძე**

# ვინ უწყობს ხელს ბორჯომის ხეობის ტყეების განადგურებას?

*საკითხი, რომელიც ბორჯომის ხეობის ტყეების განადგურებას ეხება, მეტად მძიმეა, რომელსაც სახელმწიფოს მხრიდან გულგრილობამ დღეს უკვე ურთულესი შედეგები მოუტანა. აღმოსავლური ნაძვი ახალი საფრთხის წინაშე დგას, უკვე მესამე წელია პერმანენტულად მეორდება მეტად საშიში მწერის – ქერქიჭამია ტიპოგრაფის აგრესიული თავდასხმები. მავნებელი შეესია ბორჯომის ხეობის ნაძვნარებს და სხვა საშიშ ქერქიჭამიებთან ერთად გავრცელდა ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის ტყეებში.*

*პრობლემასთან დაკავშირებით ვესაუბრებით ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიურ დოქტორს, ქალბატონ* **მანანა ჟყოიძეს.**

— ქალბატონო მანანა, თქვენ ბრძანდებით ის ერთადერთი მეცნიერი ქვეყანაში, რომელმაც ეს მძიმე შედეგები გარკვეული წლების წინ იწინასწარმეტყველეთ კვლევებზე დაყრდნობით, განგა-



**შიც ატეხეთ ამის თაობაზე, მაგრამ ამაოდ, ვერ მოიგეთ კახა ბენდუქიძის გული, რომელმაც თქვენი პროექტი ტყეების გადარჩენის თაობაზე პასუხის გარეშე დატოვა, რა ხდება დღეს ამ საქმის გარშემო?**

— დავიწყებ იმით, რომ უვიცი რეფორმატორების ხელში უკვე 20 წელია შეწყვეტილია ტყის დაცვა-შენარჩუნებისა და ტყით სარგებლობის გონივრული რეგულირება, მოშლილია ტყის მდგომარეობის მონიტორინგის არსებული სისტემა, რომელმაც ქვეყნის ეკონომიკას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. ეს საკითხი განსაკუთრებით მძიმე პრობლემად იქცა მას შემდეგ, რაც კახა ბენდუქიძემ აგრარულ უნივერსიტეტთან ერთად 14 სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, მათ შორის ვ. გულისაშვილის სახელობის სატყეო ინსტიტუტი შეიერთა. მან ქუჩაში გაყარა კონკურსგავლილი ღვაწლმოსილი მეცნიერები. მე, პირადად, 30 წელზე მეტია ვმუშაობ ტყისა და ბაღის მავნე მწერების მასობრივი გამრავლების მოკლე და გრძელვადიანი პროგნოზირების განხრით, რომელიც გარემოსა და ტყის დაცვის საქმეში ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა. მავნე მწერებს პერიოდულად 5-7 წელიწადში ერთხელ ახასიათებს ე.წ. მასობრივი აფეთქებები, რაც ხშირად იწვევს ტყის ფართომასშტაბიან განადგურებას, ამიტომ ზუსტ პროგნოზირებასა და მათ წინააღმდეგ პრევენციულ ღონისძიებათა ოპერატიულ ჩატარებას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ხანგრძლივი ფუნდამენტური კვლევის საფუძველზე, ტრადიციული და თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, შევიმუშავე მავნე მწერების ზუსტი პროგნოზირების მოდერნიზებული მეთოდი, რომლის გამოყენებით უჯრედის შესწავლის დონეზე დამუშავებული მაქვს 23 სახეობის უარყოფითი ეკონომიკური მნიშვნელობის მავნე მწერების პროგნოზები. ამ მიმართულებით გამოქვეყნებული მაქვს 86 ნაშრომი.

**— უკაცრავად რომ გადაწყვეტინებთ ქალბატონო მანანა ახლა სად მუშაობთ?**

— არსად, უმუშევარი ვარ, 2011 წლამდე ვიყავი ვ. გულისაშვილის სახელობის სატყეო ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი.

სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ ბორჯომის ხეობის უნიკალური საკურორტო ტყეები დღეს უკვე ეკოლოგიური კატასტროფის ზღვარზეა. უკვე მესამე წელიწადია მეორდება პერმანენტულად მეორდება საშიში მწერის – ქერქიჭამია ტიპოგრაფის აგრესიული თავდასხმები, რომელიც ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის ტყეებშიც გავრცელდა.

**— რა ზიანი მოაქვს ამ მავნე მწერს?**

— მარადამწვანე ნაძვებს ახმობს, ამიტომ წინასწარ საჭიროა მის წინააღმდეგ ბრძოლა ფერომინებით.

**— საკითხთან დაკავშირებით 2003 წელს თქვენ ინფორმაცია მიაწოდეთ მაშინ ჯერ კიდევ ქველმოქმედს ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც დახმარება აღმოუჩინა ქვეყანას, რა მოხდა მაშინ?**

— დიახ, ბატონმა ბიძინამ 2003 წელს საქართველოს შეუძინა ფერომონ – ვერტენოლის 6000 ცალი მწერსაჭერების კომპლექტი. ეს პრეპარატი სწორედ იქნა შეძენილი, მაგრამ მავნებლებთან ბრძოლა ჩატარდა უსისტემოდ, პროფესიონალების მითითებების გარეშე, რამაც სასურველი შედეგი არ გამოიღო. ამის შემდეგ საქართველოში აპრობირებული მწერების პათოლოგიის შესწავლის ექსპრეს-ჰემატოლოგური მეთოდის ბაზაზე, პირველად მსოფლიო პრაქტიკაში, ქერქიჭამია ტიპოგრაფის წინააღმდეგ შევიმუშვე ბრძოლის ახალი, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგია, რომელიც გამორიცხავს მავნებლებთან ბრძოლის ქიმიურ მეთოდებს. ჩემი პროექტი ეროვნულ-სამეცნიერო ფონდშიც წარვადგინე. სამწუხაროდ ის დარჩა დაფინანსების გარეშე, ხოლო დაფინანსდა ისეთი პროექტები, რომელიც სრულიად ოდიოზური აღმოჩნდა.

უკანონობის გვირგვინია ისიც, რომ 2009 წელს ტყის დაცვის განყოფილების გამგემ ჩემი პროექტიდან კომპიუტერის საშუალებით ახალი იდეის ქურდობა- მიტაცება განახორციელა!

2010 წელსაც გამოვაქვეყნე მოკლევადიანი პროგნოზი მავნებელი ტიპოგრაფის მოსალოდნელი ფართომასშტაბიანი აფეთქარების შესახებ ბორჯომის ხეობაში.



ამის თაობაზე ვაცნობე სატყეო ინსტიტუტის დირექტორს ბატონ ნ. ბურდულს, ტყის დაცვის განყოფილების უფროსს ბატონ ა. სუპატაშვილს და აგრარული უნივერსიტეტის პრორექტორს ბატონ ზ. ჭეიშვილს.

ამ მოხსენებით ბარათს საეჭვოდ დაედო ვეტო.

ზემოთ აღვნიშნე და გაგიმეორებთ, რომ საკითხის გარშემო ვაცნობე როგორც აგრარული უნივერსიტეტის რექტორს ბატონ ლ. გოცირიძეს, ასევე წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ კახა ბენდუქიძეს; უნივერსიტეტის პრორექტორმა ზვიად ჭეიშვილმა განმიცხადა: ტყე სახელმწიფოს კუთვნილებაა და პროექტიც მან დააფინანსოსო. არადა, კახა ბენდუქიძე ვალდებული იყო ეს პროექტი დაეფინანსებინა არა მარტო როგორც ბიზნესმენს, არამედ როგორც სატყეო ინსტიტუტის მესაკუთრეს. სამწუხაროდ, მან დააფინანსა სრულიად უსარგებლო და გამოუსადეგარი პროექტები. ერთ სამარცხვინო ფაქტსაც გავიხსენებ, აგრარულმა უნივერსიტეტმა ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ტენდერი „ბორჯომ-ბაკურიანის წიწვოვან ხეთა მასობრივი ხმობის მიზეზების კვლევაზე". ეს მაშინ გამოაცხადეს, (21.11.2011 წ.) როდესაც ბორჯომის ხეობის ნაძვნარების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე გამხმარი იყო. ეს დანაშაულია!

— სამწუხაროდ, ტყის მესვეურები უცდიან ხეები როდის გახმება, რომ ამ ფაქტის საფუძველზე მოითხოვონ ფულადი სახსრები სახელმწიფოსაგან. ეს სამარცხვინო ტენდერი ჩაატარა ტყის დაცვის განყოფილების გამგემ ა. სუპატაშვილმა. უცოდინარმა მეცნიერებმა არც კი იციან, რომ ზამთრის პერიოდში, როცა ტყე დათოვლილია, სატყეო პათოლოგიური კვლევების ჩატარება შეუძლებელია. ჩემი აღშფოთების მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ამ მავნე მწერის მოქმედების შედეგად ტყე ხმება, რის შედეგადაც სახელმწიფოსაგან ხდება გარკვეული დაფინანსების გაცემა, ტყე იჭრება და გარკვეული პირები ამ პროცესით, მათი ინტერესებიდან გამომდინარე, არაკანონიერად სარგებლობენ, მდიდრდებიან და ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

ყოველივე ზემოთ განხილულის საფუძველზე მიმაჩნია, რომ გარკვეული პირების მიერ ჩადენილ ქმედებებში აშკარად იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები.

როგორც მეტყევე-სპეციალისტები აცხადებენ, სასწრაფოდ უნდა შეიქმნას ქვეყანაში სამთავრობო კომისია, რომელიც საფუძვლიანად შეისწავლის ჩვენს ტყეებში არსებულ საგანგაშო მდგომარეობას და მიიღებს სასწრაფოდ გადამჭრელ ზომებს.

**— დღეს უკვე სხვა ხელისუფლებაა ქვეყანაში, მისთვის თუ მიგიმართავთ?**

— მივმართე, ჯერ პასუხი არ მაქვს, მაგრამ მაქვს შიში იმისა, რომ თუ სახელმწიფო კვლავ ტენდერს გამოაცხადებს და გაიღებენ სახსრებს ტყის გადასარჩენად, კვლავ იმ ხალხს ჩაუვარდებათ თანხები ხელში, ვინც აქამდე არასისტემურად განახორციელა პროცესები და შედეგს ვერ მივიღებთ. საჭიროა სპეციალისტების ჩართვა ამ საქმეში.

**— ქალბატონო მანანა, თქვენ, როგორც ერთადერთი სპეციალისტი ამ პრობლემასთან ბრძოლისა, რას თვლით საჭიროდ დღეს, რა უნდა გაკეთდეს ტყის გადასარჩენად?**

— საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მე პირადად წერილით მივმართე საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს ამის თაობაზე, მით უმეტეს, მან იცის ამის შესახებ წინა წლებიდანაც, როცა ის დაეხმარა ქვეყანას 2003 წელს.

**ეთერ კასრელიშვილი**
**599 110 200**

## დავით ნარმანია გორში სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას შეხვდა

გორში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია 24 მარტს სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდა.



შეხვედრას, მოსახლეობასა და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, იმ სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, რომლებიც დაზიანებულ სახურავებს აკეთებენ. მშენებლების განცხადებით, ისინი სამუშაოებს სულ მალე დაასრულებენ და მრავალსართულიანი ბინების პრობლემა მოგვარდება.

მინისტრთან საუბრისას მოსახლეობის იმ ნაწილმაც ითხოვა დახმარება, რომელსაც საკუთარი სახლები აქვს და სტიქიის შედეგად სახურავები დაუზიანდა. დავით ნარმანია მოსახლეობას საკითხის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო შტაბის სხდომაზე გატანას დაჰპირდა.

შეხვედრის შემდეგ მინისტრმა გორში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

2013 წლის 24 მარტს ძლიერი ქარის შედეგად გორსა და გორის მუნიციპალიტეტში 65 საცხოვრებელი ბინის სახურავი დაზიანდა. აქედან 12 სრულ, 53 კი ნაწილობრივ გადახურვას საჭიროებს. საცხოვრებელი სახლების გარდა, დაზიანებულია საჯარო, სამუსიკო და საფეხბურთო სკოლები. სამუშაოების შესასრულებლად 1 306 411 ლარია გამოყოფილი.

# დედაქალაქის არქიტექტურული ბრწყინვალება და სიღატაკე

**დედაქალაქის გენგეგმის უარყოფა და უფლებრივი ზონირების წესებით ქალაქშენებლობა**

ახალი სამთავრობო სტრუქტურები არა—თუ მოუმზადებლები აღმოჩნდნენ შექმნილი კრიზისული მდგომარეობის წინაშე, არამედ უფრო გაამძაფრეს ის: მათ მიერ, უარყოფილ იქნა ქალაქის პერსპექტიული განვითარების დაგეგმვის წესი და საერთოდ ყველანაირი ქალაქგეგმარებითი პროექტირება. დახურულ ანდა გადაკეთებულ იქნა „შ.პ.ს.“-ებად სახელმწიფო არქიტეტქურულ-ქალაქგეგმარებითი ორგანიზაციები, ლიკვიდირებულ იქნა მშენებლობის და ურბანიზაციის სამინისტრო.

ზემოთჩამოთვლილი ორგანიზაციების ნაცვლად, შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან გამოსავლელად, სამთავრობო სტრუქტურების მიერ შემუშავებულ იქნა მიწათსარგებლობის რეგულირების წესები, რაც საქალაქო ტერიტორიების უფლებრივ, ფუნქციურ ზონებად დაყოფის საფუძველზე ითვალისწინებდა შეზღუდვებს, განსხვავებული ზონალური მახასიათებლების და კოეფიციენტების მიხედვით: სართულიანობის, სიმჭიდროვის და სხვა...

შემდგომ, აღნიშნული წესების საფუძველზე შემუშავებულ იქნა ე.წ. „გენგეგმა“, რაც არ ითვალისწინებდა დედაქალაქის კომპლექსურ, ურბანულ განვითარებას ახალი ეკონომოკური პირობების საფუძველზე, სატრანსპორტო პრობლემატიკის ზრდის, საინჟინრო უზრუნველყოფის ქსელების რეკონსტრუქციის და სხვა ამგვარ საკითხთა გათვალისწინებით, არამედ ქალაქს განიხილავდა, როგორც სატატიურ, სამშენებლო ნაკვეთებად დაყოფილ ტერიტორიას.

აღნიშნული წესები გათვალიწინებული იყო არა პროფესიონალთა მიერ საქალაქო მშენებლობის შემოქმედებითად წარმართვისათვის, არამედ, სახელმწიფო მოხელეთა მიერ სრული და განუკითხავი (კომერციული თვალსაზრისით) კონტროლის დასამყარებლად არქიტეტქურულ-ქალაქმშენებლობით საქმიანობაზე.

დანერგვის პირველსავე პერიოდში თავი იჩინა ზემოთაღნიშნული წესების სიხისტემ და არაადექვატურობამ, მიწაზე კერძო მფლობელობის და საბაზრო ეკონომიკის პირობებში. მისთვის მეტი მოქნილობის მიცემის საბაბით და სინამდვილეში სამთავრობო სტრუქტურებისათვის შემოსავლების გაზრდის მიზნით, ამა თუ იმ ზონაში შემავალ ცალკეული სამშენებლო ნაკვეთისათვის შემოღებულ იქნა ზონალური სიმჭიდროვის კოეფიციენტების ყიდვის უფლება, რამაც წინასწარდადგენილი ზონალური შეზღუდვები შენობა-ნაგებობათა სართულიანობაზე, სიმჭიდროვეზე და სხვა... ვაჭრობის საგნად აქცია. ამან, თავის მხრივ, სრულ აბსურდამდე მიიყვანა რეგულირების წესები. მოხდა უკანონობის დაკანონება, ანუ კანონის თვითლიკვიდაცია.

ცნობილია, რომ უფლებრივი ზონირების პრინციპი უცხოურ პრაქტიკაში ზოგჯერ გამოიყენება როგორც ქალაქგეგმარებითი პროექტირების შემადგენელი ნაწილი. ჩვენში შემოტანილ ამ წესებში შეყვანილ იქნა პუნქტი, სადაც დასაშვებად მიიღება ობიექტის დაპროექტება—მშენებლობა ქალაქგეგმარებითი პროექტის უქონლობის შემთხვევაში, მხოლოდ რეგულირების წესებზე დაყრდნობით. ამასთან, რადგან სამთავრობო სტრუქტურების მიერ, ქალაქგეგმარებითი პროექტირება საფუძველშივე უარყოფილ იქნა, დღეს დღეობით, მოწმენი გავხდით დედაქალაქში მშენებლობების სრული განუკითხაობით წარმოებისა ცალკეულ სამშენებლო ნაკვეთებზე, მეზობელ, ასეთივე ნაკვეთებისაგან იზოლირებულად(გამიჯვნით), რაც განუწყვეტელი საჩივრების და სასამართლო გარჩევების საგნად აქცევს მშენებლობას.

ამასთან არ წყდება ისეთი კომპლექსურად გადასაწყვეტი საკითხები, როგორც საერთო სარგებლობის, კეთილმოწყობილი სივრცეების ორგანიზება, საინჟინრო უზრუნველყოფის კომპლექსური გადაწყვეტა, თუ ქალაქის სატრანსპორტო და ფეხმავალთა სასტემასთან ობიექტის ორგანული, რაციონალური კავშირების ორგანიზება, რაც საბოლოო ჯამში არაადექვატურს ხდის და უკიდურესად აძვირებს ქალაქმშენებლობით პროცესს დედაქალაქში.

**ავტორიტარულ რეჟიმში არქიტექტურის მართვის წინაპირობები**

საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმი მოაზროვნე, ინიციატივიან და საქმიან ადამიანებს ვერ იგუებდა და როგორც სოციალურ („პროლეტარიატის“, „ხალხის“, ანუ მორჩილი მასის) მტრებს ანადგურებდა, ან, უკეთეს შემთხვევაში, ახდენდა საზოგადოებისაგან მათ იზოლაციას... შედეგად საბჭოთა მოსახლეობას ჩამოუყალიბდა მენტალიტეტი, რომ „ზემოდან“ ხელმძღვანელობის გარეშე შემოქმედება, საკუთარი ინიციატივით კეთება „დასჯადია“!... მოხდა მოხელეთა განუკითხავი უფლებამოსილების დამკვიდრება და მათი ჩამოყალიბება განსაკუთრებულ სოციალურ ფენად, კასტად. უბრალო გლეხის ოცნება გახდა, მის შთამომავალს კი არ ეშრომა და ისე მოეპოვებინა პური თვისი არსობისა, არამედ გამხდარიყო „რაიკომის მდივანი“, ანდა „ცეკას ინსტრუქტორი“ მაინც... უმაღლესის დიპლომი იქცა არა ცოდნის დამადასტურებელ საბუთად, არამედ საშვად ფორმალური ძალაუფლების მოპოვების გზაზე. დიპლომის შესყიდვა შეიძლებოდა განსაზღვრულ ფასად.

ამჟამინდელ, დემოკრატიის მაშენებელ, მაგრამ ძალაუფლების ერთპიროვნული უზურპაციის ტრადიციის საქართველოში, საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ისევ და ისევ უდიდეს მნიშვნელობას იძენს საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმისგან მემკვიდრეობით გადმოსული „ხელმძღვანელ“ მოხელეთა ფენა, ის ადამიანები, რომრლთაც შემოქმედებითი უნარი არ გააჩნიათ, ანდა, თუ კი გააჩნიათ, იფარავენ, როგორც სარცხვინელ ასოს. მათი მოღვაწეობის ერთადერთი მასტიმულირებელია ზემდგომის ნაკარნახევი, რაც განუხრელად უნდა შეასრულონ. როგორც წესი ესენი შეადგენენ დესპოტი მმართველის ძირითად საზოგადოებრივ საყრდენს, მის ელექტორატს, ისევე, როგორც უზურპატორი მათი უზრუნველყოფილი არსებობის და საზოგადოებისაგან განუკითხავი საქმიანობის მტკიცე გარანტია.

**მშენებლობა ავტორიტარული რეჟიმის პირობებში**

პრეზიდენტ სააკაშვილის რეჟიმის დამკვიდრების წლებში დამყარდა და გამტკიცდა როგორც საერთოდ საზოგადოებრივი საქმიანობის, ისე კერძოდ არქიტექტურულ-სამშენებლო საქმის მართვის ავტორიტარული რეჟიმისათვის დამახასიათებელი ფორმა, რაც გამოიხატა მოხელეთა მიერ მშენებლობაზე განუკითხავი კონტროლის დაწესებაში. დედაქალაქის გენგეგმის და საერთოდ ქალაქგეგმარებითი პროექტირების ამოძირკვის შემდგომ პირველმა პირმა დაამკვიდრა მოსაზრება, რომ ქვეყნის მნიშნელოვანი მშენებლობები უნდა აწარმოონ უცხოელმა არქიტექტორებმა და მშენებლებმა, ხოლო საცხოვრებელი სახლები აპროექტონ მასთან უშუალო დამოკიდებულებაში მყოფმა „ნაციონალურმა“ არქიტექტორებმა.

ასე მოხდა ეროვნული არქიტექტურულ-შემოქმედებითი პოტენციალის სრული დაბლოკვა.

მერიის არქიტექტურის სამსახურის პროექტების შემთანხმებელი სტრუქტურა დაკომპლექტდა არქიტექტურულ საქმიანობაში არაკომპეტენტური პირებისაგან, ყოველ შემთხვევაში მათ მოეთხოვებოდათ, რომ ყოფილიყვნენ ასეთნი... თქმულის მტკიცების საფუძველს გვაძლევს ის, რომ წინასწარ შეთანხმებისას იხილავდნენ არა სრულ არქიტექტურულ პროექტს, არამედ საპროექტო შენობის „ვიზუალს“, რენდერების არსებულ გარემოში ფოტომონტაჟს. პროექტის კომპლექსურ, პროფესიონალურ ექსპერტირებაზე ზედმეტია ლაპარაკი.

ქალაქის მთავარი არქიტექტორის ადრე არსებული თანამდებობა გაუქმებულია. მის ნაცვლად უზურპატორის მიერ დანიშნულია არქიტექტურული დიპლომის არმქონე მმართველი, რომელიც შედარებით მნიშნელოვანი პროექტების ბედს წყვეტს ერთობ ლაკონიური კრიტერიუმით „მომწონს-არ მომწონს“ (იმის მიხედვით, თუ რა არის ნაკარნახევი ზემოდან).

სხვა პროექტებს განიხილავს რამდენიმე კომისია პირობითი სახელწოდებებით (მათი ფუნქცია-დანიშნულება ბუნდოვანია თვით კომისიის წევრებისათვის).

ამ კომისიების მრავალრიცხოვანი, მაღალანაზღაურებადი მოხელეების დანიშნულება უნდა იყოს ქალაქმშენებლობითი პროცესის რეგულირება... მაგრამ, ყველასათვის ნათელია, რომ მათი ერთადერთი ცხოვრებისეული მიზანია საკუთარი, ძვირადღირებული თანამდებობების შენარჩუნება, რასაც აღწევენ სხვადასხვა არაადექვატური ქმედებით, რომელთაგან მთავარია ზემოდან არასანქცირებული პროექტების მრავალგზის გამობრუნება...

როგორც წესი, პროექტები უბრუნდებათ დამკვეთებს არაარსებითი, მიზეზმიზეზობრივი, არაკომპეტენტური შენიშვნებით, როგორიცაა:—ფასადი დაიხვეწოს, ფასადი გადაწყდეს მინაში, ან პირიქით, მინების გარეშე, მოპირკეთდეს...აგრეთვე „სტილისტური“ შენიშვნებით: აქტიური, არქიტექტურული პლასტიკის დაწუნებით, ან პირიქით, უსახურობის ბრალდებით და სხვა მათთვისაც გაუაზრებელი მოთხოვნებით... პროექტების მიმართ, რომელიც შექმნილია მაღალპროფესიონალი შემოქმედი ხელოვანი არქიტექტორის მიერ იმ დროს, როდესაც თვითონ შემოქმედებითი გამოცდილება არ გააჩნიათ.

თავისი ამგვარი საქმიანობით მოხელეები, შეიძლება ითქვას, ორ კურდღელს იჭერენ:

—შემოქმედის წინაშე ძალაუფლების დემონსტრირებით მნიშვნელობას იძენენ როგორც საკუთარ თავთან, ისე საერთოდ, საზოგადოებაში.

—თავისი მაღალანაზღაურებადი პოსტების გასამართლებლად მუდმივ დასაქმებას წარმოაჩენენ.

მათ წინაშე წამდგარ შემოქმედის მიმართ აგრესიულობით ისინი ემსგავსებიან პატიმრების მწამებლებს გლდანის №8 საპყრობილედან.

ასეთ ჯოჯოხეთურ სტრუქტურაში მრავალგზის ნაწამები, გადაკეთებულ-გაუსახურებელი პროექტი ზოგჯერ შეიძლება შეითანხმონ კიდეც, მაგრამ ხშირად მენაშენე-დამკვეთი აბარებს თვით მოხელეს ან მის მიერ მითითებულ არქიტექტორს პროექტს ფასადების „დასახვეწად“, შეთანხმების გარანტიით, სათანადო ანაზღაურების გადახდით (რაც კორუფციის ერთ-ერთი სახეობაა).

შემთანხმებელი კომისიის ამგვარი მუშაობის შედეგი ასეთია:

ერთ-ერთმა ჩვენმა კოლეგამ თავისი პროექტის გადაკეთებულფასადიანი ვარიანტი ინტერნეტში ნახა როგორც უკვე შეთანხმებული, სხვა ავტორის სახელით; მეორემ თავისი დაპროექტებული ობიექტი ნახა უკვე აშენებული, მისთვის უცხო და შეუსაბამო ფასადით; მესამეს—უკვე აშენებული და ექსპლოატაციაში შესული დიდი საზოგადოებრივ-სავაჭრო კომპლექსის მეორე რიგის მშენებლობის პროექტი, დამატებით შესათანხმებლად წარმოდგენილი, ყაჩაღურად წაართვეს, დამალეს და გამოაცხადეს კონკურსი... ჩვენ ხელთ გვაქვს 5-10-ჯერ გამობრუნებული პროექტები, რომრლთა ნაწილი დღემდე შეუთანხმებელია.



**ავტორიტარული „მართვით“ გამოწვეული მორალურ-ეკონომიკური ზარალი**

ქალაქმშენებლობითი პრომლემატიკა შესაძლებელია დავყოთ სამ ძირითად ნაწილად:

პროექტირება.

მოქალაქეთა მზარდი მოთხოვნილება მშენებლობაზე.

სამშენებლო ბიზნესი.

ავტორიტარულ-მაფიოზური „მართვის“ პირობებში ჩამოყალიბებულმა სახელმწიფო მოხელეთა სტრუქტურამ ამ სამი პრობლემის ურთიერთშეთავსებით რეგულირების ნაცვლად, თვითმართვადობის პრინციპის საპირისპიროდ, მოახდინა პრობლემაში ჩაბმული ამ მხარეების მხოლოდ საკუთარ, უწყებრივ (და არა სახელმწიფოებრივ) ინტერესებზე დაქვემდებარება (შემოსავლების გაზრდის მიზნით, რასაც შეიძლება დაერქვას საზოგადოების დაკანონებული ძარცვა, სახელმწიფო კორუფცია)... მათი ქმედება მშენებლობის მონაწილეთა გამოუსავალ, სტრესულ მდგომარეობაში ჩაგდების გამო, მორალური თვალსაზრისით შეიძლება კვალიფიცირებულ იქნას, როგორც დანაშაულებრივი... ამასთან, შესაძლებელია არქიტექტორის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის განიავებით მოყენებული ზარალის თანხობრივი გათვლაც.

მაგრამ, ეს ზარალი ზღვაში წვეთია საზოგადოების იმ მორალურ თუ ფინანსურ ზარალთან შედარებით, რაც კანონიერების აბსოლუტური იგნორირებით მოახდინა ქვეყნის პირველმა პირმა. მხედველობაში გვაქვს მისი ნებით წარმოებული, ბაბილონის გოდოლისებრ დიდებული, ძვირადღფასეული, მაგრამ არაადექვატური არქიტექტურული ობიექტების მშენებლობები—თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ფოთში, მცხეთაში, სიღნაღში და სხვა, რომ აღარ ვილაპარაკოთ უადგილო ხიდებზე, გვირაბებზე, გზაგამტარებზე და სხვა... რაც ახასიათებს მას, როგორც ძველაღმოსავლური დესპოტიების მმართველს, რომელიც არქიტექტურას თვითგანდიდების საშუალებად მიიჩნევს.

XXI საუკუნეში, ევროპულობის პრეტენზიის მქონე ქვეყანაში ძალაუფლების უზურპაციის დამ ის შედეგად შექმნილი ეკონომიკური კრიზისის (მათ შორის ქალაქმშენებლობითი კრიზისის) გადაფარვა ბრჭყვიალა, არაადექვატური არქიტექტურით ჰგავს მოხუცი ქალის ღრმადდანაოჭებული სახის დაფარვას უხვი, ჭყეტელა მაკიაჟით.

**დასკვნა**

უპირველეს ყოვლისა აუცილებელია ახალი მთავრობის მიერ ოპერატიული ღონისძიებების გატარება:

1. უნდა გაუქმდეს დედაქალაქის მერიის სამსახურის მიერ, დღესდღეობით მომქმედი, არქიტექტურული პროექტების შეთანხმების წესი ავტორიტარული მართვისათვის დამახასიათებელი ფორმით. (რაც განაპირობებდა საპროექტო სამუშაოების მონოპოლიზაციას სამოხელეო სტრუქტურასთან გაუმჭვირვალე დამოკიდებულებაში მყოფ ადგილობრივ თუ უცხოელი დამპროექტებლების ხელში.)

2. მერიის და არქიტექტორთა კავშირის თანამშრომლობით უნდა ჩამოყალიბდეს საზოგადოების დემოკრატიული მოწყობის იდეოლოგიის მატარებელი კომისია მაღალპროფესიული პრაქტიკოსი არქიტექტორებისგან, დემოკრატიული თვითშერჩევით, რომელიც თავის მხრივ აირჩევს ქალაქის მთავარ არქიტექტორს და თავის თავზე აიღებს მიმდინარე საქმეების ოპერატიულად გადაწყვეტის ორგანიზებას (პროექტების შეთანხმება და სხვა).

3. უნდა ჩამოყალიბდეს სივრცითი დაგეგმვის, არქიტექტურის და ქალაქმშენებლობის მართვის პროფესიულ—ინსტიტუციური სტრუქტურა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებით, რომელიც ორგანიზაციულად არ იქნება ქალაქის მერიის თუ სხვა სახელმწიფო სტრუქტურის დაქვემდებარებაში, ანუ თავისუფალი იქნება მოხელეთა დიქტატისაგან. ეს ორგანიზაცია, უპირველეს ყოვლისა ჩვენში უკვე დამკვიდრებულ არქიტექტურულ—ქალაქგეგმარებით საკანონმდებლო დოკუმენტაციას შეცვლის ევროკომისიის წევრი ქვეყნების გამოცდილების გაანალიზების საფუძველზე შემუშავებული წესებით, ჩვენი ქვეყნის სოციალურ—ეკონომიკური, კლიმატურ—გეოგრაფიული და ეთნო—ტრადიციული მახასიათებლების გათვალისწინებით.

ზემოთ ნახსენებ სტრუქტურაში აგრეთვე უნდა შეიქმნას „ქალაქმშენებლობითი ინსტიტუტი“, საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ძირითადი ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების შესადგენად („ქვეყნის გენერალური სქემა“, მ.შ. „რაიონების სივრცითი მოწყობის სქემები“, დედაქალაქის და საქართელოს სხვა მნიშვნელოვანი ქალაქების პერსპექტიული განვითარების გენგეგმები) თანამედროვე სოციალურ—ეკონომიკური პირობების მსოფლიოში დამკვიდრებული საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნილებათა, მოსახლეობის პრიორიტეტულ დარგებში დასაქმების გათვალისწინებით ეკონომიკის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით.

**თეიმურაზ ბოჭორიშვილი**
არქიტექტორ-ურბანისტი

(იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით)







# თავსატეხი

ჰორიზონტალურად: აგასი, აქაძე, ბეჟან, ზეარი, ილიკო, ილიკუა, მორჩა, ნათია, ოლიმპია, სტელი, ფეზზი, ქაკეა, ლორელი, კულეში, ცალეში, წალა, ზაჩეა.

ვერტიკალურად: ათენა, აფსკი, აქეკია, აკალუ, გაბრო, დამზა, ვარდი, იარდი, იორკა, ლუსასა, ნიკო, ფაბრი, რაკია, ტიქტი, ფერმა, ღერეფა, შხამი, ჩაიკა, ძაბრი, წვიმა.

# სამიდან ერთი

ვერტიკალურად: 1. ბარონი, კედარი, ხუხულა. 2. მულეტი, ზელადა, მოფე-ლი. 3. ტალახი, ქოქანა, ლექსი. 4. დროშა, კალმა, ტილი. 5. ბრასა, ქრე-ლი, სტელა. 6. კაცია, ქრუზა, ქროშე. 11. ჭრიჭინა, ლაათუზი, სტუმარი. 12. ლეკეხასა, მაქსიმე, სტალინი. 13. გაბუჩია, რეჩხა, ბუკატი. 14. საკურა, ლო-კერი, ზაზუზა. 15. შაბათი, რონაბი, ლოფეკა. 16. მეთანი, ტონარია, კაზერი.

ჰორიზონტალურად: 3. ბელიკანი, საგარეჯო, ტიტიკაკა. 7. ბებუთი, ბუზება, ჯაჭვიანი. 8. ქრესტინა, სტოიკური, ლაიტერი. 9. მურადი, ჩიბური, ზერჩელა. 10. შტაბელი, ზრიალოლა, არეშარე. 13. ლიბილი, პეკასი, ბაზარი. 17. კვერთი, ზვარდია, სტატიკა. 18. ხაზური, დედუკა, გაზონი. 19. სტალინი, მეცნიერ, ხრუშჩოვი. 20. ტანანი, ნიკალა, მელუზა. 21. პლატონი, ხასტაკა, შტეკერი.

# შიფრვორდი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ■ | 25 | ■ | 31 | ■ | 10 | 23 | 7 | 9 | 1 | 2 | 16 |
| 26 | 2 | 4 | 9 | 3 | 23 | ■ | 8 | ■ | 9 | ■ | ■ |
| ■ | 24 | ■ | 19 | ■ | 21 | 8 | 30 | 2 | 7 | 2 | ■ |
| 12 | 8 | 17 | 9 | 7 | 2 | ■ | 6 | ■ | 4 | ■ | ■ |
| ■ | 6 | ■ | 5 | ■ | 15 | 7 | 2 | 29 | 16 | 3 | 2 |
| 18 | 2 | 6 | 2 | 19 | 2 | ■ | ■ | 16 | ■ | 2 | ■ |
| 23 | ■ | 16 | ■ | 9 | ■ | 14 | 2 | 28 | 2 | 4 | 2 |
| 27 | 2 | 11 | 27 | 2 | 11 | 2 | ■ | 9 | ■ | 6 | ■ |
| 9 | ■ | 16 | ■ | 23 | ■ | 22 | 8 | 6 | 22 | 2 | ■ |
| 13 | ■ | 6 | ■ | 6 | ■ | 4 | ■ | 2 | ■ | ■ | 5 |
| 2 | 19 | 2 | 25 | 2 | ■ | 23 | ■ | ■ | 33 | ■ | 6 |
| ■ | 20 | ■ | 9 | ■ | ■ | 6 | 23 | 12 | 9 | 7 | 2 |
| 19 | 2 | 5 | 6 | 23 | 7 | 2 | ■ | ■ | 6 | ■ | 32 |
| ■ | 19 | ■ | 17 | ■ | ■ | 9 | 6 | 9 | 10 | 2 | 9 |
| 32 | 16 | 21 | 2 | 3 | 9 | ■ | ■ | ■ | 2 | ■ | ■ |

ა-9, ბ-, გ-, დ-, ე-16, ვ-, ზ-, თ-, ი-2, კ-, ლ-6, მ-, ნ-, ო-23, პ-, ჟ-, რ-6,
ს-, ტ-, უ-8, ფ-, ქ-, ღ-, ყ-18, შ-, ჩ-, ც-, ძ-, წ-, ჭ-32, ხ-, ჯ-, ჰ-

# ქართულ სპორტულ სამყაროს რეალურად სურს ცვლილებები...

*წლევანდელი ევროპის ჩემპიონატი ჭიდაობაში, რომელსაც საქართველოს დედაქალაქი ერთი კვირის განმავლობაში მასპინძლობდა, კიდევ დიდხანს იქნება განსჯის საგანი. ევროპის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის* ***ცენო ცენევის*** *გარდა ვესაუბრებით ჩვენს თანამემამულეებს — რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტს, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ბიუროს წევრს, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ* ***მიხეილ მამიაშვილს*** *და ერთ-ერთ პირველ სპორტულ პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, აკადემიკოს* ***დიმიტრი მინდიაშვილს:***

**— ბატონო ცენო, კმაყოფილი თუ ხართ წლევანდელი ევროპის ჩემპიონატით, როგორც ორგანიზაციული, ასევე ტექნიკური შედეგებით?**

**ცენო ცენევი:** — ვთვლი, რომ წლევანდელმა ევროპის ჩემპიონატმა არათუ გაამართლა ჩვენი იმედები, არამედ ყოველგვარ მოლოდინსაც გადააჭარბა, ნებისმიერი ქვეყნის დელეგაციებს შორის მეგობრული ვითარება გახლდათ. რაც მთავარია, ხალიჩაზე მიმდინარე ორთაბრძოლებით ყველა კმაყოფილი დარჩა. ეს ფაქტი იმედისმომცემია იმის, რომ თანამედროვე ჭიდაობას აქვს მომავალი. ყველამ ნახა, თუ რამდენი ქვეყნის წარმომადგენელმა მოიპოვა მედლები. სწორედ ეს გვაძლევს საფუძველს, რომ წლევანდელი ევროპის ჩემპიონატი ჩავთვალოთ ოლიმპიური



ცენო ცენევი

თამაშების ეტალონად, ფაქტობრივად, ეს პირველი ოფიციალური ასპარეზობა გახლდათ ოლიმპიურ ციკლში. სიმართლეს გეუბნებით, ჩემპიონატი საუკეთესოდ, უმაღლეს დონეზე ჩატარდა, როგორც ორგანიზებული, ასევე სპორტული თვალსაზრისით.

**— ახლა დადგა საკითხი, რომ 2020 წლის ოლიმპიური თამაშებიდან ჭიდაობას პროგრამიდან ამოიღებენ.**

— ეს მართლაც დიდი პრობლემაა მთლიანად სპორტული სამყაროსთვის. პირადად ჩემთვის არასასურველი და მიუღებელია, როდესაც ერთ-ერთ ძირძველ ოლიმპიურ სახეობას ამგვარად ექცევიან. შემთხვევითი არ იყო, რომ ჭიდაობის სამყარო აღაშფოთა ამ ცნობამ და გამოთქვამენ სხვადასხვა ფორმით პროტესტს. მეორე მხრივ, ვიყოთ რეალისტები და დავინახოთ ჩვენი ნაკლი სუსტი მხარეები. ამის შემდეგ დავსახოთ გეგმა მდგომარეობის გამოსასწორებლად, რომელიც მზად გვაქვს და ვაჩვენოთ სპორტული სამყაროს, რომ რეალურად გვსურს ცვლილებები.

**— ბატონო მიხეილ, მინდა გკითხოთ თბილისში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე.**

**მიხეილ მამიაშვილი:** — პირველ რიგში, გეტყვით, რომ იმ ათასობით გულშემატკივრისა და სტუმრის მოლოდინი, აღარაფერს ვამბობ თავად მონაწილეებზე სრულიად გამართლდა. ამის მიზეზი ის გარემოებაა, რომ საქართველო ოდითგანვე ფალავნების, ბუმბერაზი მოჭიდავეების ქვეყანა იყო და არის. შემთხვევითი არ იყო, რომ ევროპის მოჭიდავეთა სამყარომ გვირგვინებით და ყვავილებით შევამკეთ უდიდესი მოჭიდავის, ახალი დროის წარმატებების ფუძემდებლის გივი კარტოზიას საფლავი. ისეთი კოლოსალური გამოცდილების ქვეყანას სხვადასხვა ას-



მიხეილ მამიაშვილი

პარეზობის მასპინძლობაში, როგორიც საქართველოა, არც ევროპის ჩემპიონატის გამართვა გუჭირდებოდა. უდიდესი მადლიერება სახელმწიფოებრივი მხარდაჭერისთვის პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს. მისი უშუალო მონაწილეობის გარეშე გაჭირდებოდა ამ დონეზე ჩატარებულიყო ჩემპიონატი. მას კარგად ესმის სპორტის, კერძოდ, ჭიდაობის მნიშვნელობა არა მარტო საქართველოსთვის, არამედ, საერთოდ, კაცობრიობისთვის. ამიტომ ვუხდი მადლობას მოჭიდავეთა დიდი ოჯახის სახელით.

**— თქვენი ფესვები საქართველოშია, ხომ?**

— დიახ, ხაშურში! ახლოს სადაც დიდი სტალინია დაბადებული.

**— როგორც ამბობენ, თქვენ აპირებთ დაიკავოთ „ფილას" პრეზიდენტის პოსტი, რომელიც ახლა ვაკანტურია.**

— არა, გამორიცხულია, ჩემი სიმპათიები უკვე გამოვხატე. მხარს დავუჭერ **მემედ ლალოვიჩს,** რომელიც ახლა ამ პოსტზე არჩევნებამდეა დროებით.

**— როგორ მიგაჩნიათ, როგორც ყოფილ მოჭიდავეს დღევანდელი ჭიდაობის წესები საჭიროებს თუ არა ცვლილებებს?**

— გარდაუვალიც არის. ისეთი წესებია მისაღები, რომლებიც ყველა ადამიანისთვის იქნება გასაგები, თუნდაც მათთვის, ვინც პირველად მივა ჭიდაობის სანახავად. ამასთან, ყველა მოჭიდავეს ჰქონდეს საშუალება გამოავლინოს საკუთარი ნიჭი და შესაძლებლობა. ეს ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია.

**— თქვენი აზრით, დარჩება თუ არა ჭიდაობა ოლიმპიურ სახეობად?**

— რთული საკითხია, მაგრამ გავართიანებთ ყველა ჩვენს ძალას, რათა ჭიდაობა დარჩეს ოლიმპიურ სახეობად. მთავარი იქნება, როგორ შეძებს „ფილა" „სეოკთან" საერთო ენის გამონახვას, ასევე ჭიდაობის ზესახელმწიფოს, ხაზგასმით ავღნიშნავ მათ შორის საქართველოს მთავრობის პოზიციას.

**— ბატონო დიმიტრი, როგორ შეაფასებთ მოჭიდავეების გამოსვლის ხარისხს წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე?**

**დიმიტრი მინდიაშვილი:** — ბოლო წლებში ჭიდაობაში შეტანილმა ცვლილებებმა სანახაობრივად დააზარალა სპორტის ეს ლამაზი სახეობა. ავიღოთ თუნდაც გდების ილეთები, რომლებსაც ბრწყინვაედ ასრულებდნენ ჩვენი სახელოვანი ფალავნები, ფაქტობრივად, დაიკარგა. წმინდა გამარჯვებები იშვიათია. ამის გარდა უამრავი ილეთი დავიწყებულია. დგომში ჭიდაობაც აღარ არის, ამის მიზეზი წესების უთავბოლო ცვლა არის. ძველი წესები უნდა დაბრუნდეს. ამით მოიგებს როგორც თავად სპორტის ეს სახეობა, მაყურებელიც სიამოვნებით ივლის ნებისმიერ შეჯიბრებებზე.

**— ბატონო დიმიტრი, დღესდღეობით რას საქმიანობთ?**

— ასაკის მიუხედავად, მალე 80 წლის ვხდები, მაინც ბევრს ვმუშაობ. ვარ კრასნოიარსკის ფიზკულტურის ინსტიტუტის დირექტორი, ჩემი სახელობის ჭიდაობის აკადემიის პრეზიდენტი, გუბერნატორის მრჩეველი, რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი, რაც მთავარია, კვირაში სამჯერ ხალიჩაზე ვარ.

**— ახლაც გყავთ შეგირდები?**

— რა თქმა უნდა, თანაც საკმაოდ ძლიერები.

**— დაბოლოს, რას ეტყვით ჩვენს ხალხს?**

— რაც აქ ცუდი ხდებოდა, განვიცდიდი, ჩემი ტკივილი იყო. სამწუხაროა, რომ დროებით დავკარგეთ აფხაზეთი და სამაჩაბლო. საქართველოში ყოველთვის იყვნენ ბრძენი ადამიანები. იმედია, ჩვენი ქვეყანა კვლავაც აღორძინდება, დაკარგულსაც დავიბრუნებთ, ყველაფერი კარგად იქნება. ამის თქმის საფუძველს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მოქმედება მაძლევს. საერთოდ, ჩემი სამშობ-



დიმიტრი მინდიაშვილი

ლო უზომოდ მიყვარს, ყოველთვის მენატრება, ყველაფერი კარგია, მაგრამ შენსას ვერაფერი შეედრება. რუსეთში ერთადერთი აკადემიკოსი ვარ სპორტულ სფეროში. ასე ვთვლი, რომ მინდიაშვილი კი არ გახდა ტიტულებიანი, არამედ ქართველი კაცი. ყველა ქართველს კი ჯანმრთელობას და ბედნიერებას ვუსურვებ. მართალია, პოლიტიკოსი არ გახლავართ, მაგრამ მერწმუნეთ, ყველაფერი კარგად იქნება.

**გია ბურდული**

551 71 27 07

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის" მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

***მთვარისა კევლიშვილი.***

ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**-შეიძლება თუ არა პირობითი მსჯავრის ვადაზე ადრე გაუქმება ან შემცირება და თუ ეს შესაძლებელია, რა შემთხვევებში?**

-დიახ, შეიძლება. მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა აღნიშნულს ითვალისწინებს. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ პირობით მსჯავრდებული გამოსაცდელი ვადის არანაკლებ ნახევრის გასვლის შემდეგ ყოფაქცევით დაამტკიცებს თავის გამოსწორებას , საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის საკითხთა განსახილველი მუდმივმოქმედი კომისის მსჯავრდებულის მიმართ კონტროლისა და დახმარების განმახორციელებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის შესახებ.

ამავე მუხლის 1-ლი პრიმა მუხლის მიხედვით, პირობით მსჯავრდებულისათვის ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით პირობითი მსჯავრის გაუქმება და ნასამართლობა მოხსნა შესაძლებელია ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, გამოსაცდელი ვადის ნახევრის გასვლამდეც.

* * *

**-ჩემმა შვილმა პირობითი მსჯავრის მოხდის პერიოდში ჩაიდინა ახალი დანაშაული. არის თუ არა შესაძლებელი, რომ მის მიმართ კვლავ გამოიყენოს სასამართლომ პირობითი სასჯელი?**

-ასეთი რამ არის შესაძლებელი. კერძოდ:

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, თუ პირობით მსჯავრდებულმა გამოსაცდელ ვადაში ჩაიდენა ახალი დანაშაული, გამონაკლისის სახით, მის მიმართ კვლავ შეიძლება პირობითი მსჯავრის გამოყენება მხოლოდ საპროცესო შეთანხმების დადებისას, რომელიც შეთანხმებული უნდა იქნას საქართველოს მთავარ პროკურორთან ან მის მოადგილესთან.

* * *

**-რა შემთხვევაში შეიძლება დაინიშნოს პირობითი სასჯელი?**

-საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე-მუხლში სრულად არის ჩამოთვლილი პირობითი მსჯავრის დანიშვნის საფუძვლები. ეს საფუძვლებია შემდეგი:

1. თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად;

2. თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე ან განზრახი მძიმე დანაშაული, დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა დაუშვებელია;

3. თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა განზრახი ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებელი დანაშაული და იგი აღიარებს დანაშაულს ან/და თანამშრომლობს გამოძიებასთან სასამართლო უფლებამოსილია, დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად, თუ მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა განსაკუთრებით მძიმე ან განზრახი მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის;

4. თუ მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევი იყო ორი ან მეტი განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის, დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა დაუშვებელია;

5. თუ მსჯავრდებულს განაჩენის გამოტანის მომენტისათვის არ შესრულებია თვრამეტი წელი და მან პირველად ჩაიდინა დანაშაული, სასამართლო უფლებამოსილია, დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობით, თუ მას ჩადენილი არა აქვს განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

* * *

**-შეიძლება თუ არა პატიმარს, მისი ყოფაქცევის გათვალისწინებით, შესაბამისმა სამსახურმა სასჯელის**



**მოუხდელი ნაწილი შეუცვალოს უფრო მსუბუქი სახის სასჯელით?**

-დიას, ასეთი რამ არის შესაძლებელი მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულის მიერ ჩადენილია ნაკლებად მძიმე დანაშაული. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სსკ-ის 73-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს შეუძლია ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის დროს მისი ყოფაქცევის გათვალისწინებით შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი უფრო მსუბუქი სახის სასჯელით. ამასთანავე, იგი შეიძლება გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან / გარდა ქონების ჩამორთმევისა.

## სიმართლე ციტრუსის შესახებ



ინტერესი ციტრუსების შესახებ იზრდება.

პირველ ადგილს მანდარინი იჭერს, მეორეზე — ფორთოხალი მოდის, შემდეგ ლიმონი და გრეიფრუტი. ეს კლასიფიკაცია გემოს მიხედვით არის შედგენილი და არა იმ ნიშნით, თუ რომელს მოაქვს უფრო მეტი სარგებელი.

როგორც წესი, მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მაროკოსა და პაკისტანიდან ექსპორტირებულ მანდარინს ყიდულობს, ეგვიპტიდან შემოტანილი ფორთოხალი კი საუკეთესოდ ითვლება. ესპანურ ლიმონზე ხომ საუბარიც ზედმეტია. მაგრამ როგორ ავარჩიოთ ხარისხიანი ციტრუსი?

წვნიანი, გემრიელი ფორთოხალი იმის გარდა, რომ ყვითლად ბზინავდეს, მძიმე და მაგარი უნდა იყოს, ლიმონიც კანით ამოირჩევა. მისი ნაყოფიც მაგარი უნდა იყოს და კაშკაშა ყვითელი ფერი უნდა ჰქონდეს. თუ ლიმონს იმისთვის ყიდულობთ, რომ მისგან ნაყენი გააკეთოთ, უმჯობესია მკვრივკანიანი ლიმონი აარჩიოთ.

არომატული ჩაის მისაღებად კანიანად გახეხილი ლიმონი ჩაყარეთ ჩაიში.

არ დაგავიწყდეთ, იმის გარდა, რომ ციტრუსის კანი, ფერი და წონა უნდა შეამოწმოთ, სუნსაც დააკვირდით, მას არომატული სურნელი უნდა ასდიოდეს. სუნით შეამჩნევთ, ახალია ციტრუსი თუ დიდხანს შენახული. ციტრუსის კანს ცოცხალი არომატი უნდა ჰქონდეს. ამისთვის მას რამდენადმე დაუმწიფებელს კრეფენ და ტრანსპორტირების შემდეგ ის მაინც ინარჩუნებს ციტრუსოვან, ეთერულ სურნელებას.



ექიმი-დიეტოლოგები მიიჩნევენ, რომ ციტრუსი წონაში კლების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სწორი კვების ინსტიტუტის მთავარი ექიმი ზაინუდინოვი აღნიშნავს, რომ ჯანმრთელ ადამიანს დღეში 400 გრ. ხილი და ბოსტნეული ესაჭიროება. ნორმის ნახევარი ციტრუსს უკავია. ციტრუსი უნდა მიიღოთ როგორც ჭამამდე, ისე ჭამის შემდეგ. ჭამამდე ციტრუსი ასტიმულირებს მადის აღმძვრელ ფერმენტებს.

თუკი თქვენი საჭმლის მომნელებელი სისტემა მწყობრშია, ციტრუსებს შეუძლია კარგი დახმარება გაგიწიოთ ვირუსულ-რესპირატორული დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლაში ცე ვიტამინის დახმარებით, რომელიც ჭარბად მოიპოვება მასში.

ზამთრის პერიოდში ციტრუსი გახეხეთ, დაუმატეთ თაფლი ან შაქარი, შედგით მაცივარში და მიიღეთ დღეში რამდენიმე კოვზი.

ორგანიზმის გასაწმენდად ციტრუსების ნაყენი საუკეთესოა. 3- ლიტრიან ქილაში ჩააწურეთ ოთხი გრეიფრუტი, 5-6 ფორთოხალი, 4-5 ლიმონი, დაამატეთ მდუღარე წყალი და შედგით მაცივარში. „იკვებეთ“ მთელი დღე ამ ნაყენით დილიდან საღამომდე. თუ მთელი დღის განმავლობაში სხვას არაფერს მიიღებთ, ეს თქვენს ორგანიზმს შესანიშნავად გაწმენდს და კიდევ ერთი გაფრთხილება — არავითარ შემთხვევაში არ მიიღოთ ციტრუსი თუ შაქრიანი დიაბეტით ან მსგავსი დაავადებით იტანჯებით.

## მუდმივი სილამაზის რეცეპტები

ზეითუნის ზეთს კანის მოვლაში დიდ და მნიშვნელოვან როლს ანიჭებენ ცნობილი ადამიანები — ტელე და კინოვარსკვლავები. მაგალითად, სოფი ლორენი მიიჩნევს, რომ ზეითუნის ზეთი საუკეთესო საშუალებაა თმისთვის, ხოლო ჯულია რობერტსი კანის დასარბილებლად კრემების ნაცვლად ზეითუნის ზეთს იყენებს. მსახიობი მიიჩნევს, რომ იგი კვებავს კანს და არბილებს მას. ზეითუნის ზეთის შემადგენლობაში შედის ბე, დე, ე ჯგუფის ვიტამინები, რეტინოლი და ვიტამინი კაც. ზეითუნის ზეთი შესანიშნავ დამარბილებელ და მკვებავ საშუალებად ითვლება მშრალი კანისთვის. მისი დახმარებით ფერხდება უჯრედების რეგენერაცია, ხოლო ნაოჭები უკვალოდ ქრება. წარმოგიდგენთ რამდენიმე რეცეპტს, რომელშიც მთავარი ინგრედიენტი ზეითუნის ზეთია.

წარმოგიდგენთ ლოსიონს, რომელიც წმენდს კანს და დამზადებულია ზეითუნის ზეთსა და კიტრის ნაყენზე

ზეითუნის ზეთი — 3 ს.კ.

კიტრის ნაყენი — 4 ს.კ.

საჭმელის სოდა — 0,5 ჩაის კოვზი.



აურიეთ ეს შემადგენლობა და წაისვით სახეზე, გაიჩერეთ 1 წუთი და შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით. ეს მასა შეგიძლიათ სამი დღის განმავლობაში შეინახოთ, რადგან კიტრის ნაყენი დიდხანს ვერ ძლებს.

შეგვიძლია მოვამზადოთ ლოსიონი ცხიმიანი კანისთვისაც.

კიტრის ნაყენს ლიმონის წვენიც უნდა დაუმატოთ, ხოლო სოდა ზუსტად იგივე პროპორციით, როგორც მშრალი კანისთვის.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ზეითუნის ზეთი კანს ტონუსს მატებს, მით უფრო, თუ მას 1 ჩაის კოვზ არაჟანსაც დაუმატებთ და სტაფილოსა და ლიმონის ნაყენსაც. აურიეთ მასში 1 სუფრის კოვზი საფუარი, წაისვით სახეზე და გაიჩერეთ 10-15 წუთი. შემდეგ ჩამოიბანეთ ნელთბილი წყლით.

ზეითუნის ზეთი წაისვით თვალის გარშემო. შეგიძლიათ შემთბარი ზეითუნის ზეთი სახის მთელ კანზე წაისვა და რბილი მასაჟი გაიკეთეთ თითებით, შემდეგ კი 30 წუთი დაწექით და დაისვენეთ. ის, რასაც ვერ შეისრუტავს კანი, გაიწმინდეთ ჰიგიენური ხელსახოცით. თქვენ მალე შეამჩნევთ თქვენს კანს, რომ ნაოჭები თანდათან ქრება, ხოლო კანი უფრო რბილი და ნაზი გახდება.

თუ გსურთ ტუჩები უფრო მომხიბვლელი და ნაზი გქონდეთ, ერთმანეთში აურიეთ ზეითუნის ზეთი და თაფლი. წაისვით ტუჩზე და მთელი ღამით გაიჩერეთ.

ვიტამინი ე, რომელიც მრავლად არის ზეითუნის ზეთში, წარმატებით ებრძვის სისხლძარღვების შევიწროებას და ბევრ სხვა დაავადებასაც შველის. თუ ზეთის სუნი და გემო არ მოგწონთ, დაუმატეთ ლიმონის წვენი.

ზეითუნის ზეთი თმებისთვისაც აუცილებელია. მას ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთშიც იყენებდნენ. თუ გსურთ თქვენი თმები უფრო ლამაზად გამოიყურებოდეს, აიღეთ კვერცხი — 1 ცალი, თაფლი ან ვაშლის ძმარი, ზეითუნის ზეთი, ყოველივე ეს წაისვით თმებზე, გაიჩერეთ 10 წუთი, შემდეგ დაიბანეთ თბილი წყლით. არაჩვეულებრივ ეფექტს მაშინვე მიიღებთ.

როგორც ხედავთ, გემრიელი და სასარგებლო ზეითუნის ზეთი თქვენი ჯანმრთელობის და სილამაზის სადარაჯოზეა.

**მოამზადა ანა ვადაჭკორიამ**


## ირმა სიხარულიძე — უებარი მკურნალი



ქალბატონ ირმა სიხარულიძეს მაშინ მივმართეთ, როცა განკურნების იმედი გადაწურული გვქონდა ათასგვარი მკურნალობით და პროცედურით თავმობეზრებულებმა ეს ბოლო ცდად მივიჩნიეთ და ამან გაამართლა. ქალბატონი ირმა სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს ხალხური მეთოდით მკურნალობს. საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამლით იგი კურნავს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, პოლიართრიტს, რადიკულიტს, კისრის, მხრის, მენჯ-ბარძაყისა და მუხლ-სახსრის ართროზებს. ქუსლზე წანაზარდს და პოდაგრას.

წამალი მცენარეულია და უკუჩვენება არ აქვს. პროცედურა ტარდება მალამოს მასაჟირებით და საფენებით. ბუნებისგან ბოძებული ამ პანაცეით ქალბატონმა ირმამ ბევრი პაციენტი დაგვაყენა ფეხზე, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

მადლიერი პაციენტები.

**ქალბატონი ირმას კოორდინატები:**
**მის: თბილისი, ფოთის ქ.№2, (მეტრო წერეთელთან)**
**ტელეფონები: 2 34 21 63, 557 35 89 00**


## ასტროლოგიური პროგნოზი


**ვერძი** — დროა, განაახლოთ თქვენი გარდერობი და ახალი ნივთები შეიძინოთ. თანამოაზრეებთან ურთიერთობა დაგეხმარებათ თქვენი მონაცემების გამომჟღავნებაში.


**კურო** — კონფლიქტური სიტუაციის თავის არიდების მიზნით, თქვენ შეეცდებით, ნაკლები დრო გაატაროთ სხვა ადამიანების გარემოცვაში.


**ტყუპები** — ამ კვირაში შეიძლება, ფარულმა სასიყვარულო ურთიერთობამ გაგიტაცოთ. ემოციურად დაიტვირთებით. გამოიჩინეთ მოთმინება. ყურადღება მიაქციეთ საყოველთაო ინტერესებს.


**კირჩხიბი** — თქვენი კარიერა მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული თქვენზე. თქვენგან დახმარებას ბევრი ადამიანი ელის. მიაქციეთ მათ ყურადღება.


**ლომი** — ძალზე დიდსულოვანი და ხელგაშლილი იქნებით საყვარელი ადამიანების მიმართ. თქვენი მახვილგონიერება მაგიურ ზეგავლენას მოახდეს ადამიანებზე.


**ქალწული** — ეცადეთ, ამ პერიოდში არ დაგეგმოთ ქირურგიული ოპერაცია და სიფრთხილე გამოიჩინოთ ნივთების მიმართ, რადგან დიდია მათი დაკარგვის ალბათობა.


**სასწორი** — თქვენი ურთიერთობა პარტნიორთან საკმაოდ გართულდება. პრობლემეის მოსაგრვალებლად აუცილებელია თქვენი ცხოვრების თანამგზავრს თავისუფალი არჩევნის საშუალება მისცეთ.


**მორიელი** — საყოფაცხოვრებო პრობლემები და ყოველდღიური წვრილმანები სერიოზული საკითხების გადაწყვეტაში შეგიშლით ხელს.


**მშვილდოსანი** — ეს კვირა ხელსაყრელი იქნება შემოქმედებითი ადამიანებისთვის. თქვენ უამრავი ახალი ჩანაფიქრი გაგიჩნდებათ და წარმატებით შეძლებთ მათ განხორციელებას.


**თხის რქა** — წარმატებით ჩაატარებთ უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ ოპერაციებს. მოგიწევთ ეკონომიკური დახმარება გაუწიოთ ნათესავებს.


**მერწყული** — დიდ ყურადღებას დაუთმობთ ოჯახური პრობლემების მოგვარებას. შეიძინეთ ლამაზი ნივთები და ამით გაიხალისეთ ცხოვრება.


**თევზები** — სრულიად დარწმუნებული იქნებით თქვენი მოსაზრებების სისწორეში და იმდენად დიპლომატიურად შეძლებთ მათ გადმოცემას, რომ თქვენი შემოსავალი უთუოდ გაიზრდება.

**სკანვორდის პასუხები:**

1.ჰამბურგერი. 2. ბოქლომი. 3. ბელგრადი. 4. ლაკოსტა. 5. ორსული. 6. ივრითი. 7. ოლიმპიადა. 8. დისკო. 9. ხელვაჩაური. 10. მრისხანე. 11. უზმო. 12. პულსი. 13. პუდრი. 14. კარაბინერი. 15. ტრიოდი. 16. სტიპენდია. 17. პედიგრი. 18. კეთილი. 19. სუნთქვა. 20. უნიტაზი. 21. სადგისი. 22. ლუჩანო. 23. სოდი. 24. ლონდრე. 25. კუტი. 26. ბენდენა. 27. ზაპესი. 28. ბანგი. 29. ბლუთუზი. 30. ნატა. 31. კვინტეტი. 32. დუნია. 33. სიპი. 34. ქოფაკი. 35. ჰაინეკენი. 36. დისპეტჩერი. 37. მალკოვიჩი. 38. ლამპა. 39. წიფელი. 40. ფიწალი. 41. ლივანოვი. 42. სელმა. 43. ტასმანი. 44. კალვე. 45. სტეკა. 46. ოლეინა. 47. ელიზავეტა. 48. ლეკური. 49. მოდენა. 50. ჩარლსტონი. 51. კერა. 52. კაზუსი. 53. ვანი. 54. პლანერი. 55. ხრიოკი. 56. პრავდა. 57. პასტელი. 58. გრეიდერი. 59. საკეისრო. 60. რაბატი. 61. ტუბერი. 62. რიბოკი. 63. კისრული. 64. კატაკანა. 65. ტიტუანი.